



MES 6 21 0000588755



17/06/2021

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2021 წლის 12 ივნისს**.

Join Zoom Meeting:

<https://us02web.zoom.us/j/2234959888>

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი, საბჭოს თავმჯდომარე;

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მარიამ ჩაგელიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი, საბჭოს წევრი;

ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში - ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი, საბჭოს წევრი;

ქრისტინა რზგოვა - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი -საბჭოს სხდომის მდივანი;

რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი, საბჭოს წევრი;

დეა აბულაძე - სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს პროგრამების მართვის დეპარტამენტის „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის“ ქვეპროგრამის - „ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა“ - პროგრამული განვითარების კოორდინატორი, საბჭოს წევრი;

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;

ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე, საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

კახაბერ ერაძე - ცენტრის დირექტორის მოადგილე;

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ კასპის კოლეჯი:

მერაბ გოხელაშვილი - კოლეჯის დირექტორი;

თამთა კვინიკაძე - კონსულტანტი;

მარიამ აბელიანი - ხარისხის მართვის მენეჯერი;

დემეტრე დემეტრაშვილი - ფინანსური მენეჯერი.

შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასია:

თინათინ მახარაძე - დირექტორი;

ლელა ბუცხრიკიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი;

აკაკი კენჭოშვილი - სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერი.

სსიპ კოლეჯი „იბერია“:

ირაკლი ავალიანი - დირექტორი;

დარეჯან ლოსაბერიძე - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი:

თეიმურაზ ასათიანი-კოლეჯის დირექტორი;

ელისაბედ ებრაღიძე-ხარისხის მართვის მენეჯერი.

შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი:

ზვიად არძენაძე- დირექტორის მოადგილე

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA:

ია ერაძე - დირექტორი;

ნათელა ჩაჩუა - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;

მარინე გვრიტიშვილი - ფინანსური მენეჯერი.

სსიპ - კოლეჯი „თეთნულდი“:

ირმა ჯაფარიძე - დირექტორი;

თეონა ჯაფარიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი.

ა(ა)იპ - კოლეჯი „იკაროსი“:

რუსუდან ჩართოლანი - დირექტორი.

სსიპ კოლეჯი „მერმისი“:

ნანა ნამგალაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი.

სსიპ კოლეჯი „ბლექსი“:

გიორგი გოგიტიძე- კოლეჯის დირექტორი;
მაია თოიძე - დირექტორის მოადგილე;
ბიძინა კირთაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი;
მირანდა გორგილაძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს ორიენტირი:

რამაზ მაჭარაშვილი - დირექტორი;
ნინო ბერიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნონა ფანჯიკიძე - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი;
თამილა ჭანტურია - იურისტი.

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“:

ნოდარ ხარაზიშვილი- დირექტორი;
გიორგი დიერაშვილი- დირექტორის მოადგილე;
თამარ გიორგობიანი - ხარისხის მართვის მენეჯერი;
მაია ოშიაძე- იურისტი.

სსიპ - კოლეჯი „სპექტრი“:

როინ (მათე) ტაკიძე - დირექტორი;
ვარლამ ავალიშვილი - დირექტორის მოადგილე;
თეიმურაზ მაჩაიძე - დირექტორის მოადგილე;
ეკატერინე მაძღარაშვილი - იურისტი;
ნოდარ მეგრელიშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი.

პროფესიული განათლების ავტორიზაციის ექსპერტები:

ნინო ხაჩიძე,
დავით გუდაძე,
ირმა ღარიბაშვილი,
მანანა კობალაძე,
იაზონ დანელია,
მანანა მახარაშვილი,
ქეთევან ბოტკოველი,
თამარ ახალაძე,
ნატალია დარჩინიანი,
მანანა მოისწრაფიშვილი,
ნაზო წიბლიაშვილი,
ნანა შარაბიძე,
თეა მახათელაშვილი,
ხათუნა წერეთელი,
თამთა კვინიკაძე,
ლევან მადათოვი,
გიორგი ბერაია,
ალექსანდრე კეკეწაძე,
მაკო ჯაოშვილი,
ზაირა ბერიძე,
ნატო გაბოშვილი,

დავით კუპატაძე,
ნია გუგუნავა,
ნატა ჩხაიძე,
თათია კაციტაძე,
ქეთევან ღვანიძე,
გიორგი ბერია,
ვახტანგ ბოგველიშვილი,
ვალერი ჯაჯანიძე.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 10:15 საათი.

თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

რამდენადაც, საბჭოს მდივანი არ ეწრებოდა სხდომას, საბჭოს თავმჯდომარემ, მდივნის მოვალეობის შესრულება, მისივე თანხმობით, დააკისრა ქრისტინა რზგოვეას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი**:

1. სსიპ კასპის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს შვეიცარული აგრარული სკოლა კავკასიის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ კოლეჯ „იბერიასთვის“ „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ კოლეჯ „იბერიასთვის“ „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ კოლეჯ „იბერიასთვის“ „ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ კოლეჯ „იბერიასთვის“ „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
7. სსიპ კოლეჯ „იბერიასთვის“ „სამკერვალო წარმოების“ (ქ. ბაღდათი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
8. სსიპ კოლეჯ „იბერიასთვის“ „თმის მომსახურების“ (ქ. ბაღდათი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „სასმელების წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
10. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
11. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის

განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

12. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „სასტუმრო მომსახურების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

13. შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯისთვის „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

14. შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯისთვის „აღმზრდელის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

15. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-სთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

16. სსიპ - კოლეჯ „თეთნულდისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

17. ა(ა)იპ - კოლეჯ „იკაროსისთვის“ „ლონისძიების ორგანიზების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

18. სსიპ კოლეჯ „მერმისისთვის“ „სარესტორნო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

19. სსიპ კოლეჯ „ბლექსისთვის“ „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

20. შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიისათვის „ფარმაცია (სააფთიაქოს)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;

21. შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიისათვის „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;

22. შპს ორიენტირისთვის „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

23. შპს ორიენტირისთვის „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

24. შპს ორიენტირისთვის „ლონისძიების ორგანიზების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

25. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ და „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

26. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

27. სსიპ კოლეჯ „სპექტრისთვის“ „ელექტრობის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

28. სსიპ კოლეჯ „სპექტრისთვის“ „ჰაერის კონდიცირების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

29. სსიპ კოლეჯ „სპექტრისთვის“ „სახვითი ხელოვნების სპეციალისტის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ხომ არ იყო რომელიმე მხრიდან შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს აქვს შუამდგომლობა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-20 და 21-ე საკითხების, კერძოდ, შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიისათვის „ფარმაცია (სააფთიაქოს)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ და შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიისათვის „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხების ამოღების თაობაზე. განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხებზე ადმინისტრაციული წარმოება შეწყდა კოლეჯის მოთხოვნის საფუძველზე, ცენტრის დირექტორის ბრძანებებით.

ასევე, ვინაიდან ექსპერტი, ირმა ღარიბაშვილი, 13 სთ-დან იმყოფება ვიზიტზე, შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, მომხდარიყო მე-11 და მე-12 საკითხების გადმოტანა დღის წესრიგით მესამე და მეოთხე საკითხებად. აღნიშნულ ცვლილებას დაეთანხმნენ სსიპ კოლეჯი იბერიის წარმომადგენლებიც.

საბჭომ დაამტკიცა შეცვლილი დღის წესრიგი:

1. სსიპ კასპის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს შვეიცარული აგრარული სკოლა კავკასიის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
4. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „სასტუმრო მომსახურების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
5. სსიპ კოლეჯ „იბერიასთვის“ „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ კოლეჯ „იბერიასთვის“ „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ კოლეჯ „იბერიასთვის“ „ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
8. სსიპ კოლეჯ „იბერიასთვის“ „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

- [illegible]

26. სსიპ კოლეჯ „სპექტრისთვის“ „ჰაერის კონდიციონერების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

27. სსიპ კოლეჯ „სპექტრისთვის“ „სახვითი ხელოვნების სპეციალისტის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

1. სსიპ კასპის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე ავტორიზაციის შესახებ საკითხი წარმოადგინეს ნინო ხაჩიძემ, დავით გუდაძემ, ირმა ღარიბაშვილმა, მანანა კობალაძემ, იაზონ დანელიამ და მანანა მახარაშვილმა.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2021 წლის 07 აპრილის N333998 ბრძანებით შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ზემოაღნიშნული შესაბამისობის შემოწმების მიზნებისთვის, „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“ მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა, რაც უზრუნველყოფილ იქნა დაწესებულების მიერ. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი სრული დოკუმენტაცია და შეიმუშავა დისტანციური ვიზიტის ფარგლებში გასაუბრების განრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებულ იქნა დაწესებულების ადმინისტრაციასთან.

მიმდინარე წლის 23, 24 და 26 აპრილს, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების Zoom-ის გამოყენებით განხორციელდა კოლეჯში დისტანციური წარმოება. დაწესებულება ოფიციალურად 2020 წელს დაარსდა, პირველად გადის ავტორიზაციას და სურს მოიპოვოს 8 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება. გასაუბრების განრიგის შესაბამისად განხორციელდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება; დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული არსებული პრაქტიკის შემოწმება და შესაბამის პირებთან გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან/განმახორციელებლებთან გასაუბრება; სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის არსებული პრაქტიკის შემოწმება,

პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან გასაუბრება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; დისტანციური წარმოების ფარგლებში ხორციელდებოდა მიგნებების გაცნობა დაწესებულების წარმომადგენლებთან.

ექსპერტთა მიერ ხარვეზები დასკვნაში დაფიქსირებული არ არის. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 სტანდარტებთან მიმართებით დაფიქსირდა შესაბამისობა, ხოლო მე-2 და მე-5 სტანდარტთან მიმართებით მეტწილი შესაბამისობა. აქვე აღნიშნა, რომ ელექტრობის პროგრამისთვის მეტწილი შესაბამისობა დაფიქსირდა 2.2. კომპონენტში, ხოლო 2.1, 2.3 და 2.4 კომპონენტში სრული შესაბამისობა.

სხვა ყველა პროგრამისთვის მეტწილი შესაბამისობა დაფიქსირდა 2.2. და 2.4 კომპონენტში, ხოლო 2.1 და 2.3 კომპონენტში სრული შესაბამისობა.

დაფიქსირებული შესაბამისობის რეკომენდაციები:

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. ამ ეტაპზე, პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სახელზე წერილი, რომლითაც ჯამში 65 კომპიუტერია მოთხოვნილი პროგრამების განხორციელების მიზნებისთვის. კოლეჯისთვის კომპიუტერების შესყიდვის შემდეგ, კომპიუტერული ქსელი გააერთიანებს სასწავლო მიზნებისთვის განკუთვნილ B გარემოს, ასევე ადმინისტრაციის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების მიზნებისთვის საჭირო კომპიუტერულ ქსელს. საკლასო ოთახებსა და ბიბლიოთეკაში განთავსდება კომპიუტერული ტექნიკა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის ერთ-ერთ აქტივობას წარმოადგენს „დაწესებულების IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის სრულყოფა დამატებითი კომპიუტერების შეძენით“. აღნიშნული შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღად განსაზღვრულია 2021 წლის 1 სექტემბერი. დაფინანსების წყაროა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.

განვითარების რეკომენდაციები:

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორი 1. სასურველია სსიპ - კასპის კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია მოიცავდეს სტრატეგიულ გეგმაში შეტანილი ცვლილებების შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირების გზებს და უფრო დეტალურად აღწერდეს პროცედურულ საკითხებს როგორც მისია, ხედვა, ღირებულებების, ასევე სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების და გაზიარების კუთხით. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირია - ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც ასევე ახდენს მონიტორინგის შედეგების შეფასებას. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმით თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირი/პირები ანგარიშვალდებული არიან კოლეჯის დირექტორის წინაშე და თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირი ანგარიშს წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. იქვე განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის განხორციელების შეფასებაზე პასუხისმგებელია კოლეჯის დირექტორი, თუმცა შეიძლება მოწვეული იყოს გარე შემფასებელიც. კოლეჯის დირექტორის მიერ ხორციელდება მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი და მუშავდება წლიური ანგარიში. გამომდინარე იქიდან, რომ ერთის მხრივ ხარისხის მართვის მენეჯერი პასუხისმგებელია მონიტორინგსა და შეფასებაზე, ხოლო მეორეს მხრივ დირექტორი არის პასუხისმგებელი

შეფასებაზე, ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას მოიცავს მეთოდოლოგია. შესაბამისად, მიზანშეწონილია რეგულაციაში გასწორდეს არსებული შეუსაბამოებები. ასევე, სასურველია კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაოების პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელი და სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, როგორც ეს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტივობაა განსაზღვრული, არ იყოს კოლეჯის დირექტორი, რადგან მონიტორინგის შუალედური/წლიური ჯამური ანგარიშის გათვალისწინებით სამოქმედო/სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი კოლეჯის დირექტორის მიერ შექმნილ სამუშაო ჯგუფთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში, მოახდენს გეგმის კორექტირებას, ჩანაწერების დაზუსტებას, ვადების გადაწევას, აქტივობის ამოღება/დამატებას. ამასთან, თუ მონიტორინგზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი, თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირი სასურველია მას წარუდგენდეს ანგარიშს და არა - დირექტორს.

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორი 3. სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს 4 სტრატეგიულ გეგმას, როდესაც სამოქმედო გეგმით გაწერილია 11 მიზანი. ძირითადად მსხვილი სტრატეგიული მიზნები დაშლილია და წარმოდგენილია რამდენიმე მიზნად, ან ამოცანები მიზნებად არის ქცეული, ასევე სამოქმედო გეგმით გარკვეული აქტივობები არის დამატებული. შესაბამისად, მიზანშეწონილია სამოქმედო გეგმა მიყვებოდეს იმ სტრატეგიულ მიზნებს, რომლებიც სტრატეგიული განვითარების გეგმაშია გაწერილი და ამ მიზნების ფარგლებში იყოს გაწერილი სხვადასხვა აქტივობები. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის ინდიკატორის ფარგლებში, სამოქმედო გეგმა უნდა მოიცავდეს საჭირო რესურსებზე ინფორმაციას. აღნიშნული ნაწილობრივ არის გათვალისწინებული დაწესებულების მიერ, რადგან გაწერილია პასუხისმგებელი პირები (ადამიანური რესურსი), თუმცა გარკვეული აქტივობების შესრულებას დამატებით სჭირდება როგორც ფინანსური, ასევე მატერიალური რესურსი, რომლებზე ინფორმაციას არ მოიცავს გეგმა. სასურველია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ითვალისწინებდნენ ფინანსურ რესურსებზე ინფორმაციას და დაწესებულებას სამოქმედო გეგმაში გაწერილი ჰქონდეს თითოეული აქტივობის სავარაუდო ფინანსური რესურსი.

მეთოდოლოგიაში გაპარულია ტექნიკური ხარვეზი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ფორმებს განხორციელების ვადებში წლების ნაცვლად მითითებული აქვს თვეები და პირიქით, რაც სასურველია, გასწორდეს.

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორი 1. სასურველია მეთოდოლოგია მოიცავდეს სტრატეგიულ გეგმაში შეტანილი ცვლილებების შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირების გზებს.

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია აპლიკანტის მიერ ჩასარიცხად წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხა.

მიზანშეწონილია არასრულწლოვან და სსსმ პირთა შემთხვევაში, კანონიერი წარმომადგენლობის დადასტურების მიზნით, აუცილებელ წარსადგენ დოკუმენტად დამატებით განისაზღვროს პროფესიული სტუდენტის დაბადების მოწმობის ასლი, ან ის დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდება კანონიერი წარმომადგენლობა.

მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ კურსდამრთავრებულზე გაიცემა შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი, მოთხოვნის შემთხვევაში კი დიპლომის დანართი. მიზანშეწონილია დიპლომის დანართი გაიცეს დიპლომთან ერთად და აღნიშნული იკვეთებოდეს რეგულაციით.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მოიცავს აპლიკანტთა ტესტირებისა და ჩარიცხვის პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებიც დარეგულირებულია პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით. გამომდინარე იქიდან,

რომ პროფესიული ტესტირების ჩატარება რეგულირდება მინისტრის ბრძანებით, არ არის საჭირო აღნიშნული ინფორმაცია ვრცლად იყოს გაწერილი კოლეჯის მიერ შემუშავებულ მარეგულირებელ წესში.

შინაგანაწესი მოიცავს წახალისებისა და დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების წესს და საფუძვლებს. დასაქმებულის და პროფესიული სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები ერთადაა გაწერილი, რაც ართულებს იდენტიფიცირებას, თუ რომელი საფუძველი ეხება ერთ ან მეორე მხარეს. რაც შეეხება დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს, ისინი ცალ-ცალკეა გაწერილი. შესაბამისად, სასურველია შრომის შინაგანაწესში დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები ცალ-ცალკე გაიწეროს. ასევე, გამომდინარე იქიდან, რომ შრომის შინაგანაწესი არ მოიცავს მხოლოდ კოლეჯსა და დასაქმებულის უფლება-მოვალეობებს, წარმოდგენილი იყოს ზოგადი სახელწოდებით - შინაგანაწესით, რადგან მოიცავს შრომის და სასწავლო შინაგანაწესს.

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მოიცავს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემას და გასაჩივრების პროცედურას. კერძოდ, შეფასებიდან რამდენ ხანში აქვს სტუდენტს აპელაციის უფლება, რა ფორმით აკეთებს ამას და ვის მიმართავს; შემდეგ რა ნაბიჯებს დგამს დაწესებულება; ვინ შედის სააპელაციო კომისიაში; რა უფლება-მოვალეობები აქვს სააპელაციო კომისიას და ბოლოს რა ფორმით და რა ვადაში მიდის დაინტერესებულ პროფესიულ სტუდენტამდე მიღებული გადაწყვეტილება. აღნიშნული გაწერილია მხოლოდ იმ შემთხვევებისთვის, როდესაც მოდული არ არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, რადგან რეგულაციაში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს: „მოდულის დასრულების შემდგომ, პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის/შედეგების დაუდასტურებლობის შემთხვევაში, არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში (არ იგულისხმება წინმსწრები მოდული) მოდულის განმახორციელებელი სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან შეთანხმებით ნიშნავს განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების თარიღს და ახდენს შესაბამისი პროფესიული სტუდენტის/სტუდენტების ინფორმირებას.“ შესაბამისად, მიზანშეწონილია რეგულაციით გაწერილი იყოს როდის, რა ფორმით შეუძლია სტუდენტს მოითხოვოს განმეორებით შეფასებაზე გასვლა, როდესაც საქმე ეხება მოდულს, რომელიც არის სხვა შემდგომ მოდულზე დაშვების წინაპირობა. ამ შემთხვევაში გაწერილი უნდა იყოს ყველა ის პროცედურული საკითხები, რომლებიც გაწერილია იმ შემთხვევაზე, როდესაც მოდული არ არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა. ასევე, მიზანშეწონილია ამავე ვადებში გათვალისწინებული იყოს გასაჩივრების პროცედურები. ასევე, დაწესებულებას შეუძლია აღნიშნული რეგულაცია გაავრცელოს ორივე შემთხვევაზე, რაც რეგულაციით უნდა გამოკვეთოს.

სასურველია რეგულაციით იკვეთებოდეს, რამდენ ხანში ხდება პროფესიული სტუდენტის ინფორმირება მიღებულ შედეგებთან დაკავშირებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების ნიმუშით ირკვევა, რომ პროფესიული სტუდენტი მოდულის ხელმეორედ გავლის შემთხვევაში თავად იხდის კრედიტების საფასურს, თუმცა აღნიშნული არ იკვეთება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. შესაბამისად, სასურველია ეს ორი დოკუმენტი შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან.

ინდიკატორი 4. სასურველია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილებოდეს ფორმალური ან არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული განათლების აღიარება. ასევე სასურველია რეგულაციით იკვეთებოდეს სსსმ/შშმ პირის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენლის/მხარდაჭერის ჩართულობა ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პროცესში.

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას ინდიკატორი 1. დაწესებულების სტრუქტურით გათვალისწინებული არაა სტრუქტურული ერთეულები, როდესაც მაგალითად მატერიალური რესურსების უზრუნველყოფისა და ლოჯისტიკის მენეჯერს ექვემდებარება 5 თანამშრომელი. ასევე, სასწავლო პროცესის მიმართულებით რამდენიმე პოზიციაა / სტრუქტურული პირია გათვალისწინებული, როდესაც

შესაძლებელია ერთ სტრუქტურულ ერთეულში გაერთიანდნენ ისინი. შესაბამისად, მსგავს შემთხვევებში, სასურველია ჩამოყალიბებული იყოს სტრუქტურული ერთეულები, რომლებისთვისაც დამატებით შემუშავებულები იქნება სამსახურის დებულებები.

ინდიკატორი 2. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით უმეტესად იკვეთება, რომ დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელება ხელშეწყობილია ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის სწორად გადანაწილებით, თუმცა გეგმებით გარკვეულ აქტივობაზე პასუხისმგებელ პირად დირექტორის მოადგილეა განსაზღვრული, როდესაც ასეთი პოზიცია დაწესებულებაში არ არსებობს.

ასევე, სამუშაო აღწერილობით ფინანსური მენეჯერის ფუნქციაში შედის ბიუჯეტის შედგენა, როდესაც სამოქმედო და სტრატეგიული გეგმით აღნიშნულ აქტივობაზე პასუხისმგებელ პირად ფინანსური მენეჯერი გაწერილი არაა. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუებით ირკვევა, რომ სამინისტროსთან საშტატო ერთეულების შეთანხმებამდე მოხდა გეგმების დამტკიცება, რამაც გამოიწვია ტექნიკური უზუსტობები. შესაბამისად, სასურველია სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობები.

სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირია - ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც ასევე ახდენს მონიტორინგის შედეგების შეფასებას, რაც განსაზღვრულია სამუშაო აღწერილობის დოკუმენტირებით. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმით თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირი ანგარიშვალდებულია კოლეჯის დირექტორის წინაშე და თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირები ანგარიშს წარადგენენ კოლეჯის დირექტორთან. იქვე განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის განხორციელების შეფასებაზე პასუხისმგებელია კოლეჯის დირექტორი. კოლეჯის დირექტორის მიერ ხორციელდება მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი და მუშავდება წლიური ანგარიში.

გამომდინარე იქიდან, რომ ერთის მხრივ ხარისხის მართვის მენეჯერია პასუხისმგებელი მონიტორინგსა და შეფასებაზე, ხოლო მეორეს მხრივ დირექტორი არის პასუხისმგებელი შეფასებაზე, ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას მოიცავს მეთოდოლოგია.

სასურველია კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელი და სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი არ იყოს კოლეჯის დირექტორი, რადგან არ არის მიზანშეწონილი მისი აქტიური ჩართულობით შემუშავებულ გეგმას თვითონვე ამტკიცებდეს. შესაბამისად, მიზანშეწონილია ამ თვალსაზრისით გადაიხედოს დოკუმენტები, მათში გასწორდეს არსებული შეუსაბამოებები და ისინი შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან.

4.1.2 ჰსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას ინდიკატორი 1. შინაგანაწესი მოიცავს წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებების გამოყენების წესს და საფუძვლებს. დასაქმებულის და პროფესიული სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები ერთადაა გაწერილი, რაც ართულებს იდენტიფიცირებას, რომელი საფუძველი ეხება ერთ ან მეორე მხარეს. რაც შეეხება დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს, ისინი ცალ-ცალკეა გაწერილი. შესაბამისად, სასურველია შრომის შინაგანაწესში დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები ცალ-ცალკე გაიწეროს. ასევე, გამომდინარე იქიდან, რომ შრომის შინაგანაწესი არ მოიცავს მხოლოდ კოლეჯსა და დასაქმებულის უფლება-მოვალეობებს, წარმოდგენილი იყოს ზოგადი სახელწოდებით - შინაგანაწესით, რადგან მოიცავს შრომის და სასწავლო შინაგანაწესს.

საბჭს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შრომის შინაგანაწესით არის დარეგულირებული ურთიერთობა დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის. დაინტერესდა რატომ უნდა იყოს ერთი სახელწოდებით, რა არის ისეთი რაც შრომის შინაგანაწესის სტრუქტურაში არ ჯდება, რაზეც პასუხი მიიღო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარისგან, რომ პროფესიულ სტუდენტებთან დაკავშირებული საკითხები (უფლებამოსილება, დისციპლინარული საკითხები და ა.შ).

თავმჯდომარე დაინტერესდა თუ შინაგანაწესი დასაქმებულის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი იქნება, როგორ უნდა იყოს სტუდენტებთან დაკავშირებული საკითხები შრომითი

ხელშეკრულების ნაწილი. დაინტერესდა, რატომ არ მიეცა დაწესებულებას რეკომენდაცია ამ საკითხების გამიჯვნის თაობაზე.

ნინო ხაჩიძემ აღნიშნა, რომ სწორედ ამ მუხლების გამიჯვნას ეხება მისი რეკომენდაცია. შესაძლოა ერთ დოკუმენტად იყოს საერთო სახელით, თუმცა შინაარსობრივად გამიჯნული მუხლების მიხედვით. შენიშნა, რომ დაწესებულებას გასაუბრების დროს ორივე ალტერნატივა შესთავაზეს (სახელის განზოგადება ან რეგულაციების გამიჯვნა) და სწორედ საკითხთა გამიჯვნა გადაწყვიტეს კოლეჯის წარმომადგენლებმა, რაც წარმოადგინეს არგუმენტირებულ პოზიციაში.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შინაგანაწესის სახელის დარქმევა არ იქნება მიზანშეწონილი, ვინაიდან ადამიანური რესურსების ნაწილი არ მოიცავს სტუდენტებთან დაკავშირებით საკითხებს, ადამიანურ რესურსები მოიცავს დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის ურთიერთობას და არ შეიძლება ორი ერთმენეთისაგან განსხვავებული პოლიტიკის დოკუმენტი ერთად იყოს წარმოდგენილი. ამდენად სახელის ცვლილება არ მოაგვარებს პრობლემას, სწორი რეკომენდაცია იქნება გაიმიჯნოს სტუდენტთა ქცევის და ა. შ ნაწილი და შრომითი ურთიერთობების ნაწილი ერთმანეთისგან და ჩამოყალიბდეს ცალ-ცალკე რეგულაცია.

ინდიკატორი 3. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შტატით და შტატგარეშე/დროებით დაქირავებული თანამშრომლების პირადი საქმეები. სამუშაო აღწერილობების დოკუმენტით გაწერილია მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები - განათლება, სამუშაო გამოცდილება. აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლით გამოიკვეთა შემდეგი:

- სამუშაო აღწერილობების დოკუმენტითა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით განსაზღვრულია, რომ ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს წიგნების დამუშავებას საბიბლიოთეკო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, თუმცა მისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნად გაწერილია ბაკალავრის ხარისხი და სასურველია 1 წლიანი სამუშაო გამოცდილება (არ ხდება კონკრეტიზაცია, თუ რომელი მიმართულებით). გამომდინარე იქიდან, რომ მან უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წიგნადი ფონდის დამუშავება, მიზანშეწონილია საბიბლიოთეკო სტანდარტების ცოდნის და კომპეტენციის დადასტურება რაიმე ფორმით იყოს გაწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნებში.
- მედდის საკვალიფიკაციო მოთხოვნად გაწერილია ბაკალავრის ხარისხი სამედიცინო მიმართულებით. სასურველია საკვალიფიკაციო მოთხოვნად განსაზღვრული იყოს საექტნო საქმის მიმართულებით პროფესიული განათლებაც. ანუ მოთხოვნილ იქნეს ან ერთი ან მეორე საკვალიფიკაციო მოთხოვნა, პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორი 1. გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობს დაწყებითი პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი, სასურველია რეგულაციაში გასწორდეს არსებული ტექნიკური უზუსტობა.

დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები უნდა იყოს დანომრილი, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძული, მათი სანდოობა და მთლიანობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი. შესაბამისად, მიზანშეწონილია ბიბლიოთეკაში არსებული ჟურნალების მთლიანობა იყოს უზრუნველყოფილი.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორი 4. კატალოგით განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, თუმცა პროგრამის მოცულობა გაწერილია მხოლოდ ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის.

შესაბამისად, სასურველია პროგრამის ხანგრძლივობის შესაბამისად, გაიწეროს პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის.

მეორე სტანდარტის რეკომენდაციები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედულება“

შესაბამისობის რეკომენდაციები:

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

ინდიკატორი 2. შედულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ჩარჩო დოკუმენტისგან განსხვავებით არ მოიცავს პროგრამაზე დაშვების წინაპირობად: „სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა“. ვინაიდან აღნიშნული სპეციალობა ეკუთვნის მძიმე, მავნე და საშიშპირობიან სამუშაოებს, მიზანშეწონილია გასწორდეს პროგრამაში უზუსტობა და პროგრამის დაშვების წინაპირობა შესაბამისობაში მოვიდეს ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობებთან.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით ინდიკატორი 1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, სადაც გაწერილია C გარემოს მშენებლობის დასრულებისა და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით პროგრამის სრულყოფის შესახებ. სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრულია 2021 წლის 01 სექტემბერი. განსაზღვრულია შემსრულებელი, დაფინანსების წყარო და დაშვების ინდიკატორები. კოლეჯმა დაადგინა სტანდარტის მეტწილი შესაბამისობა. ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების შეფასებას და მოცემული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილი შესაბამისობა, რადგან C გარემოს მშენებლობა და აღჭურვილობის შესყიდვის პროცესი დასრულებული არაა. შესაბამისად, ამ ეტაპზე პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტწილად უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

ინდიკატორი 6. დაწესებულებას საშტატო განრიგით აყვანილი ყავს შესაბამისი კვალიფიკაციის თანამშრომელი, რომელსაც სამუშაო აღწერილობაში გაწერილი აქვს ინდივიდუალურად საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით რისკების შეფასების ფორმის შექმნა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება. რადგან პროგრამის აღჭურვილობის ძირითად ნაწილზე შესყიდვების პროცედურები ჯერ კიდევ მიმდინარეობს, ასევე არ არის დასრულების C გარემოს მშენებლობა, აღნიშნული ფორმა შემუშავებული არ არის. შესაბამისად, კოლეჯის დირექტორს ბრძანებით დამტკიცებულია „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, სადაც გაწერილია შესაბამისი პასუხისმგებელი პირები და შესრულების ვადები.

C გარემოში, სწავლის დაწყებამდე, უზრუნველყოფილ იქნეს უსაფრთხოების დაცვის საშუალებებით, სადაც გამოეკვრება უსაფრთხოების ზოგადი და სპეციალური წესები პროგრამის სპეციფიკის შესაბამისად.

აღნიშნა, რომ განვითარების რეკომენდაციები 8-ვე პროგრამის ფარგლებში ძირითადად მსგავსია. წარმოადგინა „შედულების“ პროგრამისთვის გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციები და აღნიშნა, რომ სხვა პროგრამებთან მიმართებით მხოლოდ განსხვავებულ განმავითარებელ რეკომენდაციებს გამოყოფდა.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. სასურველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესით განსაზღვრული იყოს, როგორ ხდება პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევა, ან/და დამტკიცება; როგორ ხდება პროგრამის გაუქმება; რა მექანიზმებზე დაყრდნობით ხორციელდება პროგრამის განვითარებაზე ზრუნვა.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი:

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის დამტკიცების შესახებ ბრძანების რეკვიზიტები და პროგრამაზე დატანილი ბრძანების რეკვიზიტები არ ემთხვევა ერთმანეთს.
- პროგრამაში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს: „აღნიშნული კვალიფიკაციები განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მექანიკა და ლითონის საქმე - კოდი 0715.“

ჩარჩო დოკუმენტი აერთიანებს ორ კვალიფიკაციას, თუმცა დაწესებულებას შემუშავებული აქვს ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის ფარგლებში გაიცემა ერთი კვალიფიკაცია. შესაბამისად, სასურველია გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა.

- პროგრამაში გაწერილია შემდეგი: „ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას“. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროგრამის შემუშავების შემდეგ, დაწესებულების მიერ ჩარჩო დოკუმენტის ნაცვლად გამოყენებული უნდა იყოს სიტყვა - პროგრამა.
- პროგრამაში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს: „მოდულების, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.“ პროგრამის ფარგლებში ისწავლება მხოლოდ ერთი ქართული ენის მოდული. შესაბამისად, სასურველია გასწორდეს არსებული ტექნიკური უზუსტობა.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესში გაწერილია, რომ პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები, სასწავლო გეგმა და პროფესიული განათლების მასწავლებლები. წარმოდგენილი პროგრამა დამატებით მოიცავს მატერიალურ რესურსზე ინფორმაციას, რომელიც პროგრამის განუყოფელი ნაწილია. შესაბამისად, სასურველია ამ კუთხით რეგულაციაში შევიდეს ცვლილება. ასევე, სასურველია პროგრამაში თითოეული მოდული ცალკე დანართად გაიწეროს, რადგან შეიძლებოდა იდენტიფიცირება, რომელი მოდული პროგრამის რომელი დანართია.
- მოდულის სახელწოდებებზე ინფორმაციას ზოგადი ინფორმაციის ნაწილი არ მოიცავს, რადგან დატანილია მოდულის თავფურცელზე. გამომდინარე იქიდან, რომ მოდულის ზოგადი ინფორმაციის ნაწილში, დაწესებულებას არ აქვს ცვლილებების განხორციელების უფლება, მიზანშეწონილია ზოგადი ინფორმაციის ნაწილი უცვლელად იყოს წარმოდგენილი.
- პროგრამაში არ არის განსაზღვრული სწავლის ხანგრძლივობა. შესაბამისად, სასურველია პროგრამაში გაიწეროს პროგრამის ხანგრძლივობა.
- მოდულებში გაწერილია სწავლა/სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა - ორიენტირებული სასწავლო ოთახზე/ სახელოსნოზე. გასწორდეს მოდულებში აღნიშნული ჩანაწერი და დაზუსტდეს სწავლა/სწავლების მეთოდები.

პროგრამის ძირითადი დოკუმენტისა და შესაბამისი დანართების შესწავლის საფუძველზე გამოკვეთილი გარემოებების გათვალისწინებით, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა

რეკომენდაცია პროგრამის ადაპტირებისა და განმტკიცების მიზნებისთვის შეიმუშაოს იმგვარი მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს ტექნიკური ხასიათის უზუსტობების არსებობას და უზრუნველყოფს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებისა და შიდა რეგულაციების მოთხოვნებთან შესაბამისობას.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით ინდიკატორი 5. „შედულება ვოლფრამის (TIG) ელექტროდით ინერტულ აირში“ მოდულის ფარგლებში, რეკომენდირებულია დაწესებულება გაეცნოს „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის“ სააგენტოს რესურსებს შედულების საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით. აღნიშნულ ორგანიზაციას გააჩნია სხვადასხვა სახის და მასალის შედულებისთვის ISO სტანდარტები, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სწავლების პროცესში.

შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ ვინაიდან პროგრამა სხვადასხვა სახის შედულების ტიპს მოიცავს, ამდენად მიზანშეწონილად მიიჩნია რეკომენდაცია ყველა სახის შედულებას ეხებოდეს და ორგანიზაცია გაეცნოს საერთაშორისო სტანდარტებს ყველა სახის შედულების კუთხით და არა მხოლოდ ვოლფრამის (TIG) ელექტროდით ინერტულ აირში შედულებას, მაგალითად ხელით ელექტრორკალურს, ავტომატურს და ა. შ.

დარგის ექსპერტმა, ირმა ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ შედულების მიმართულებით აქვთ კოლეჯის მასწავლებლებს გადამზადება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების პროექტების ფარგლებში, ამდენად იცნობენ საერთაშორისო სტანდარტებს. თვითონ ჩარჩო დოკუმენტის მოდულში არ არის სასწავლო რესურსებად ISO სტანდარტები. აღნიშნა, რომ მისთვის მისაღებია შორენა ჯაფარიძის მოსაზრება და აქვე განმარტა, რომ რადგან მხოლოდ ამ მოდულის ფარგლებში იქნა მითითებული სტანდარტები სასწავლო რესურსად, ამიტომ მიიღო ასეთი ფორმულირება რეკომენდაციამ.

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

ინდიკატორი 2. პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა დაწესებულებას შეუძლია როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე, ცენტრში წინადადებების ინიცირებების გზით. შესაბამისად, სასურველია აღნიშნული იკვეთებოდეს რეგულაციით. ასევე, სასურველია გაწერილი იყოს როგორ და რა შემთხვევაში იწყება ცვლილების პროცესი.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მოიცავს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემას და გასაჩივრების პროცედურას. კერძოდ, შეფასებიდან რამდენ ხანში აქვს სტუდენტს აპელაციის უფლება, რა ფორმით აკეთებს ამას და ვის მიმართავს; შემდეგ რა ნაბიჯებს დგამს დაწესებულება; ვინ შედის სააპელაციო კომისიაში; რა უფლება-მოვალეობები აქვს სააპელაციო კომისიას და ბოლოს რა ფორმით და რა ვადაში მიდის დაინტერესებულ პროფესიულ სტუდენტამდე მიღებული გადაწყვეტილება. აღნიშნული გაწერილია მხოლოდ იმ შემთხვევებისთვის, როდესაც მოდული არ არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა. შესაბამისად, მიზანშეწონილია რეგულაციით გაწერილი იყოს როდის, რა ფორმით შეუძლია სტუდენტს მოითხოვოს განმეორებით შეფასებაზე გასვლა, როდესაც საქმე ეხება მოდულს, რომელიც არის სხვა შემდგომ მოდულზე დაშვების წინაპირობა. ამ შემთხვევაში გაწერილი უნდა იყოს ყველა ის პროცედურული საკითხები, რომლებიც გაწერილია იმ შემთხვევაზე, როდესაც მოდული არ არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა. ასევე, მიზანშეწონილია ამავე ვადებში გათვალისწინებულ იქნას გასაჩივრების პროცედურები. ასევე, დაწესებულებას შეუძლია აღნიშნული რეგულაცია გაავრცელოს ორივე შემთხვევაზე, რაც რეგულაციით უნდა გამოკვეთოს.

სასურველია რეგულაციით იკვეთებოდეს, რამდენ ხანში ხდება პროფესიული სტუდენტის ინფორმირება მიღებულ შედეგებთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 2. სასურველია ვერიფიკაციის მექანიზმით გაწერილი იყოს ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი.

ზღვრული რაოდენობა პროგრამაზე მოთხოვნილია 30, რასაც ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფი.

აღნიშნა, რომ სხვა დანარჩენი პროგრამის ფარგლებში მხოლოდ იმ რეკომენდაციებს გააჟღერებდა რაც განსხვავებულია კონკრეტული პროგრამისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „თაბაშირ მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“

შესაბამისობის რეკომენდაციები.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, სადაც გაწერილია C გარემოს მშენებლობის დასრულებისა და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით პროგრამის სრულყოფის შესახებ. სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრულია 2021 წლის 01 სექტემბერი. განსაზღვრულია შემსრულებელი, დაფინანსების წყარო და შესრულების ინდიკატორები. კოლეჯმა დაადგინა სტანდარტის მეტწილი შესაბამისობა. ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების შეფასებას და მოცემული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილი შესაბამისობა, გამომდინარე იქიდან, რომ არ არის C გარემოს მშენებლობის პროცესი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესყიდვის პროცედურები დასრულებული.

შესაბამისად, ამ ეტაპზე პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტწილად უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. შესაბამისად, სწავლის დაწყებამდე დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარის მობილიზება.

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

6. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მშენებლობის პროცესის დასრულების შემდეგ C გარემოში უსაფრთხოების საკითხები იქნება დაცული რეგულაციების შესაბამისად. C გარემოში სამუშაოების დასრულების შემდგომ შეფასდება რისკები და შემუშავდება შესაბამისი პრევენციული ზომები. დაწესებულებამ წარმოადგინა „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“ და აღნიშნული ინდიკატორი შეაფასა მეტწილ შესაბამისობად. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას აქვს სწორი ხედვა უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. ვინაიდან C გარემოს მშენებლობა არ არის დასრულებული, უსაფრთხოების კუთხით მისი შეფასება შეუძლებელია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის“ გათვალისწინებით აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა მეტწილ შესაბამისობად.

აღნიშნული პროცესის დასრულების შემდეგ, სასწავლო პროცესი წარიმართება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

განვითარების რეკომენდაციები

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

ინდიკატორი 8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი:

- მისანიჭებელ კვალიფიკაციაში ჩარჩენილია შეცდომით სიტყვა - „Structures“.

პროგრამის ძირითადი დოკუმენტისა და შესაბამისი დანართების შესწავლის საფუძველზე გამოკვეთილი გარემოებების გათვალისწინებით, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია პროგრამის ადაპტირებისა და განმტკიცების მიზნებისთვის შეიმუშაოს იმგვარი მექანიზმი, რომელიც გამოირიცხავს ტექნიკური ხასიათის უზუსტობების არსებობას და უზრუნველყოფს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებისა და შიდა რეგულაციების მოთხოვნებთან შესაბამისობას.

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. სასწავლო გეგმის შესწავლისას გამოიკვეთა შემდეგი:

- „რაოდენობრივი წიგნიერების“ მოდულის შესწავლა იწყება მე-13 სასწავლო კვირას და გრძელდება 12 კვირა, ხოლო „ტიხრების კონსტრუქციის მონტაჟის“, „მრუდწირული კონსტრუქციების აგების“ და „შეკიდული ჭერებისა და მანსარდის მონტაჟის“ მოდულების შესწავლა იწყება მე-12 და მე-13 კვირას. სასწავლო კურსების სწავლების ლოგიკურობიდან გამომდინარე, სასურველია „რაოდენობრივი წიგნიერების“ მოდულის სწავლება დაიწყოს სასწავლო წლის დასაწყისიდან, ვინაიდან აღნიშნული მოდულით შეისწავლება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა - ყოველდღიური სამომხმარებლო/საყოფაცხოვრებო საჭიროებების შესაბამისი არითმეტიკული გამოთვლების შესრულება (ფართობი, მოცულობა და სხვ.) და გეომეტრიულ ფიგურათა გაზომვები.
- მოდული „მეწარმეობა 1“ იწყება მეათე სასწავლო კვირიდან და გრძელდება მე-16 კვირის ჩათვლით. მოდულის განხორციელება რეკომენდებულია პროგრამის მეორე ნაწილში, როდესაც სტუდენტებს უკვე აქვთ გარკვეული დარგობრივი ცოდნა პროცესებისა და ტექნოლოგიის შესახებ, რაც აუცილებელია მე-2 სწავლის შედეგის მისაღწევად.

პროგრამა 46 კვირიანია. შესაბამისად, სასურველია სასწავლო გეგმაში შევიდეს ცვლილება და მოდულის განხორციელება დაიწყოს პროგრამის მეორე ნახევარში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამღებრო სამუშაოების წარმოება“

შესაბამისობის რეკომენდაციები:

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, სადაც გაწერილია C გარემოს მშენებლობის და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით პროგრამის სრულყოფის შესახებ. სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრულია 2021 წლის 01 სექტემბერი. განსაზღვრულია შემსრულებელი, დაფინანსების წყარო და შესრულების ინდიკატორები. კოლეჯმა დაადგინა სტანდარტის მეტწილი შესაბამისობა. ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების შეფასებას და მოცემული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილი შესაბამისობა, რადგან არ არის დასრულებული მშენებლობა და არც მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არის სრულად შესყიდული. შესაბამისად, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტწილად უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. შესაბამისად, სწავლის დაწყებამდე დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ინვენტარის/აღჭურვილობის მობილიზება.

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

6. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მშენებლობის პროცესის დასრულების შემდეგ C გარემოში უსაფრთხოების საკითხები იქნება დაცული რეგულაციების შესაბამისად. C გარემოში სამუშაოების დასრულების შემდგომ შეფასდება რისკები და შემუშავდება შესაბამისი პრევენციული ზომები. დაწესებულებამ წარმოადგინა „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“ და აღნიშნული ინდიკატორი შეაფასა მეტწილ შესაბამისობად. ექსპერტთა შეფასებით,

დაწესებულებას აქვს სწორი ხედვა უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. ვინაიდან C გარემოს მშენებლობა არ არის დასრულებული, შესაბამისად უსაფრთხოების კუთხით მისი შეფასება შეუძლებელია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის“ გათვალისწინებით აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა მეტწილ შესაბამისობად.

აღნიშნული პროცესის დასრულების შემდეგ, სასწავლო პროცესი წარიმართება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

განვითარების რეკომენდაციები

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად პროგრამის ძირითადი დოკუმენტისა და შესაბამისი დანართების შესწავლის საფუძველზე გამოკვეთილი გარემოებების გათვალისწინებით, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია პროგრამის ადაპტირებისა და განმტკიცების მიზნებისთვის შეიმუშაოს იმგვარი მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს ტექნიკური ხასიათის უზუსტობების არსებობას და უზრუნველყოფს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებისა და შიდა რეგულაციების მოთხოვნებთან შესაბამისობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „იატაკისა და ფილის სამუშაოები“

დაწესებულებას პროგრამაზე მოთხოვნილი აქვს 60 პროფესიული სტუდენტის რაოდენობა, თუმცა ექსპერტები არ ეთანხმებიან და რაოდენობა განსაზღვრეს 30, შემდეგი დასაბუთებით:

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია შემდეგი სასწავლო გარემო: ერთი A გარემო - აუდიტორია 204, ერთი B გარემო - აუდიტორია 103, და ერთი C გარემო - პრაქტიკის სივრცე). A გარემოს დატვირთვა შეადგენს 23,65%-ს (413 საათი), B გარემოს დატვირთვა 3.84%-ს (67 საათი), ხოლო C გარემოს დატვირთვა 72.51%-ს (1266 საათი). გამომდინარე იქიდან, რომ C გარემოს დატვირთვა ერთი ჯგუფისთვის შეადგენს საშუალოდ 20-25 საათს, ხოლო ორი ცვლის პირობებში გარემოს გამტარიანობა განსაზღვრულია 60 საათით (აღნიშნული გაწერილია დაწესებულების რეგულაციით), პროგრამაზე ზღვრული რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს 30 პროფესიული სტუდენტით.

შესაბამისობის რეკომენდაციები

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, სადაც გაწერილია C გარემოს მშენებლობის დასრულებისა და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით პროგრამის სრულყოფის შესახებ. სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრულია 2021 წლის 01 სექტემბერი. განსაზღვრულია შემსრულებელი, დაფინანსების წყარო და შესრულების ინდიკატორები. კოლეჯმა დაადგინა სტანდარტის მეტწილი შესაბამისობა. ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების შეფასებას და მოცემული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილი შესაბამისობა. შესაბამისად, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტწილად უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. შესაბამისად, სწავლის დაწყებამდე დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარის/აღჭურვილობის მობილიზება.

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

6. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მშენებლობის პროცესის დასრულების შემდეგ C გარემოში უსაფრთხოების საკითხები იქნება დაცული რეგულაციების შესაბამისად. C

გარემოში სამუშაოების დასრულების შემდგომ შეფასდება რისკები და შემუშავდება შესაბამისი პრევენციული ზომები. დაწესებულებამ წარმოადგინა „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“ და აღნიშნული ინდიკატორი შეაფასა მეტწილ შესაბამისობად. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას აქვს სწორი ხედვა უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. ვინაიდან C გარემოს მშენებლობა არ არის დასრულებული, უსაფრთხოების კუთხით მისი შეფასება შეუძლებელია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის“ გათვალისწინებით აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა მეტწილ შესაბამისობად. აღნიშნული პროცესის დასრულების შემდეგ, სასწავლო პროცესი წარიმართება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

განვითარების რეკომენდაციები

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. სასურველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესით განსაზღვრული იყოს, როგორ ხდება პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევა, ან/და დამტკიცება; როგორ ხდება პროგრამის გაუქმება; რა მექანიზმებზე დაყრდნობით ხორციელდება პროგრამის განვითარებაზე ზრუნვა.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი:

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის დამტკიცების შესახებ ბრძანების რეკვიზიტები და პროგრამაზე დატანილი ბრძანების რეკვიზიტები არ ემთხვევა ერთმანეთს. პროგრამაში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს: „აღნიშნული კვალიფიკაციები განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის

ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია - კოდი 0732.“ ჩარჩო დოკუმენტი აერთიანებს სამ კვალიფიკაციას, თუმცა დაწესებულებას შემუშავებული აქვს ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. შესაბამისად, სასურველია გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა.

- პროგრამაში გაწერილია შემდეგი: „ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას“. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროგრამის შემუშავების შემდეგ, დაწესებულების მიერ ჩარჩო დოკუმენტის ნაცვლად გამოყენებული უნდა იყოს - პროგრამა.
- პროგრამაში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს: „მოდულების, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.“ პროგრამის ფარგლებში ისწავლება მხოლოდ ერთი ქართული ენის მოდული. შესაბამისად, სასურველია გასწორდეს არსებული ტექნიკური უზუსტობა.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესში გაწერილია, რომ პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები, სასწავლო გეგმა და პროფესიული განათლების მასწავლებლები. წარმოდგენილი პროგრამა დამატებით მოიცავს მატერიალურ რესურსზე ინფორმაციას. შესაბამისად, სასურველია ამ კუთხით რეგულაციაში შევიდეს ცვლილება. ასევე, სასურველია პროგრამაში თითოეული მოდული ცალკე დანართად გაიწეროს, რადგან შეიძლებოდა იდენტიფიცირება, რომელი მოდული პროგრამის რომელი დანართია.

- მოდულის სახელწოდებებზე ინფორმაციას ზოგადი ინფორმაციის ნაწილი არ მოიცავს, რადგან დატანილია მოდულის თავფურცელზე. გამომდინარე იქიდან, რომ მოდულის ზოგადი ინფორმაციის ნაწილში დაწესებულებას არ აქვს ცვლილებების განხორციელების უფლება, მიზანშეწონილია ზოგადი ინფორმაციის ნაწილი უცვლელად იყოს წარმოდგენილი.
- პროგრამაში არ არის განსაზღვრული სწავლის ხანგრძლივობა. შესაბამისად, სასურველია პროგრამაში გაიწეროს პროგრამის ხანგრძლივობა. მოდულების ადაპტირებისას ვხვდებით სხვადასხვა სახის ტექნიკური ხასიათის ხარვეზებს, რომლებიც სასურველია გასწორდეს, მათ შორის მოდულის განხორციელების მიდგომებში არის მსგავსი ხარვეზები.

პროგრამის ძირითადი დოკუმენტისა და შესაბამისი დანართების შესწავლის საფუძველზე გამოკვეთილი გარემოებების გათვალისწინებით, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია პროგრამის ადაპტირებისა და განმტკიცების მიზნებისთვის შეიმუშაოს იმგვარი მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს ტექნიკური ხასიათის უზუსტობების არსებობას და უზრუნველყოფს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებისა და შიდა რეგულაციების მოთხოვნებთან შესაბამისობას.

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

2. პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა დაწესებულებას შეუძლია როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე, ცენტრში წინადადებების ინიცირების გზით. შესაბამისად, სასურველია აღნიშნული იკვეთებოდეს რეგულაციით. ასევე, სასურველია გაწერილი იყოს როგორ და რა შემთხვევაში იწყება ცვლილების პროცესი.

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი:

- რაოდენობრივი წიგნიერების მოდულის სწავლება იწყება მე-6 სასწავლო კვირას და გრძელდება 12 კვირა, ხოლო „ვინილის ტიპის და რბილი იატაკის ზედაპირის მოჭიმვის“ და „ბეტონისა და პოლიმერული სამრეწველო იატაკის მოჭიმვის“ მოდულების სწავლება იწყება მე-10 კვირას. მოდულების სწავლების ლოგიკურობიდან გამომდინარე, სასურველია „რაოდენობრივი წიგნიერების“ მოდულის სწავლება დაიწყოს სასწავლო წლის დასაწყისიდან, ვინაიდან აღნიშნული მოდულით შეისწავლება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა - ყოველდღიური სამომხმარებლო/საყოფაცხოვრებო საჭიროებების შესაბამისი არითმეტიკული გამოთვლების შესრულება (ფართობი, მოცულობა და სხვ.) და გეომეტრიულ ფიგურათა გაზომვები.
- მოდული „მეწარმეობა 1“ იწყება მეშვიდე სასწავლო კვირიდან და გრძელდება 5 კვირის განმავლობაში. მოდულის განხორციელება რეკომენდებულია პროგრამის მეორე ნაწილში, როდესაც სტუდენტებს უკვე აქვთ გარკვეული დარგობრივი ცოდნა პროცესებისა და ტექნოლოგიის შესახებ, რაც აუცილებელია მე-2 სწავლის შედეგის მისაღწევად. პროგრამა 59 კვირიანია. შესაბამისად, სასურველია სასწავლო გეგმაში შევიდეს ცვლილება და მოდულის განხორციელება დაიწყოს პროგრამის მეორე ნახევარში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამკერვალო წარმოება“

დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს 60 პროფესიული სტუდენტი, თუმცა ექსპერტები არ დაეთანხმნენ ამ რაოდენობას და განუსაზღვრეს 30 სტუდენტი.

პროგრამის ხანგრძლივობაა 76 სასწავლო კვირა, რაც გულისხმობს ორ სასწავლო წელს. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუებით დადგინდა, რომ ისინი გეგმავენ ყოველწლიურად მიიღონ 30 პროფესიული სტუდენტი. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის

ფარგლებში გათვალისწინებულია ერთი C გარემო, მისი გამტარიანობა უზრუნველყოფს მხოლოდ 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას. შესაბამისად, პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად შესაძლებელია განისაზღვროს 30.

შესაბამისობის რეკომენდაციები:

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, სადაც გაწერილია მატერიალურ- ტექნიკური აღჭურვილობით პროგრამის სრულყოფის შესახებ. პროცესის დასრულების ვადად განსაზღვრულია 2021 წლის 01 სექტემბერი. განსაზღვრულია შემსრულებელი, დაფინანსების წყარო და შესრულების ინდიკატორები. რადგან აღჭურვილობის ნაწილი შესყიდული არ არის, კოლეჯმა დაადგინა სტანდარტის მეტწილი შესაბამისობა. ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების შეფასებას და მოცემული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილი შესაბამისობა. შესაბამისად, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტწილად უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. შესაბამისად, სწავლის დაწყებამდე დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარის/აღჭურვილობის მობილიზება.

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

ინდიკატორი 6. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის აღჭურვილობის ნაწილზე შესყიდვის პროცედურები ჯერ კიდევ მიმდინარეობს, ხოლო ნაწილი კოლეჯს მიაწოდეს დისტანციურ წარმოებამდე რამდენიმე დღით ადრე, სამკერვალო წარმოების პროგრამისთვის რისკების შეფასების ფორმა შემუშავებული არ არის. შესაბამისად, კოლეჯის დირექტორს ბრძანებით დამტკიცებულია „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, სადაც გაწერილია შესაბამისი პასუხისმგებელი პირები და შესრულების ვადები.

აღნიშნული პროცესის დასრულების შემდეგ, სასწავლო პროცესი წარიმართება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

განვითარების რეკომენდაციები:

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. სასურველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესით განსაზღვრული იყოს, როგორ ხდება პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევა, ან/და დამტკიცება; როგორ ხდება პროგრამის გაუქმება; რა მექანიზმებზე დაყრდნობით ხორციელდება პროგრამის განვითარებაზე ზრუნვა.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი:

- ტექნიკურ ხარვეზს ვხვდებით პროგრამის კვალიფიკაციის მინიჭების ნაწილში. კერძოდ: „საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად ქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული - ჯამური 99 კრედიტი. ხოლო არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტებმა 104 კრედიტი;“ გამომდინარე იქიდან, რომ ქართული ენის მოდული არის 15 კრედიტიანი, მნიშვნელოვანია გასწორდეს აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი.
- მოდულის სახელწოდებებზე ინფორმაციას ზოგადი ინფორმაციის ნაწილი არ მოიცავს, რადგან დატანილია მოდულის თავფურცელზე. გამომდინარე იქიდან, რომ მოდულის ზოგადი ინფორმაციის ნაწილში დაწესებულებას არ აქვს ცვლილებების განხორციელების უფლება, მიზანშეწონილია ზოგადი ინფორმაციის ნაწილი უცვლელად იყოს წარმოდგენილი.

- არცერთი პროფესიული მოდული ზოგადი ინფორმაციის ნაწილში არ მოიცავს ცვლილების აქტს, რომელიც გაწერილია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით.

პროგრამის ძირითადი დოკუმენტისა და შესაბამისი დანართების შესწავლის საფუძველზე გამოკვეთილი გარემოებების გათვალისწინებით, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია პროგრამის ადაპტირებისა და განმტკიცების მიზნებისთვის შეიმუშაოს იმგვარი მექანიზმი, რომელიც გამოირიცხავს ტექნიკური ხასიათის უზუსტობების არსებობას და უზრუნველყოფს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებისა და შიდა რეგულაციების მოთხოვნებთან შესაბამისობას.

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

5. მემორანდუმებს არ აქვთ რეგისტრაციის ნომერი მინიჭებული და მოდულის დასახელება სრულად არ არის წარმოდგენილი. ასევე შპს „ლიდერი“ -თან გაფორმებულ მემორანდუმში დასაზუსტებელია ს/კ, რადგან სხვადასხვა ინფორმაციაა წარმოდგენილი საინდივიდუალური კოდის შესახებ. შესაბამისად, სასურველია მემორანდუმები გადაიხედოს და განხორციელდეს მათში ცვლილებები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას-გაცემულია იგივე რეკომენდაცია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“

შესაბამისობის რეკომენდაციები:

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, სადაც გაწერილია მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით პროგრამის სრულყოფის შესახებ. პროცესის დასრულების ვადად განსაზღვრულია 2021 წლის 01 სექტემბერი. განსაზღვრულია შემსრულებელი, დაფინანსების წყარო და შესრულების ინდიკატორები. კოლეჯმა დაადგინა სტანდარტის მეტწილი შესაბამისობა. ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების შეფასებას, რადგან მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დიდი ნაწილი (კომპიუტერები) არ არის შესყიდული. აქედან გამომდინარე, მოცემული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილი შესაბამისობა. შესაბამისად, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტწილად უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

6. დაწესებულებას საშტატო განრიგით აყვანილი ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის თანამშრომელი, რომელსაც სამუშაო აღწერილობაში გაწერილი აქვს ინდივიდუალურად საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით რისკების შეფასების ფორმის შექმნა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება. რადგან პროგრამის აღჭურვილობის ძირითად ნაწილზე შესყიდვების პროცედურები ჯერ კიდევ მიმდინარეობს, აღნიშნული ფორმა შემუშავებული არ არის. შესაბამისად, კოლეჯის დირექტორს ბრძანებით დამტკიცებულია „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, სადაც გაწერილია შესაბამისი პასუხისმგებელი პირები და შესრულების ვადები.

აღნიშნული პროცესის დასრულების შემდეგ, სასწავლო პროცესი წარიმართება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

განვითარების რეკომენდაციები:

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. სასურველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესით განსაზღვრული იყოს, როგორ ხდება პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევა, ან/და დამტკიცება; როგორ ხდება პროგრამის გაუქმება; რა მექანიზმებზე დაყრდნობით ხორციელდება პროგრამის განვითარებაზე ზრუნვა.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი:

- პროგრამაში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს: „აღნიშნული კვალიფიკაციები განათლების საერთაშორისო

კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება - კოდი 0612.“ ჩარჩო დოკუმენტი აერთიანებს სამ კვალიფიკაციას, თუმცა დაწესებულებას შემუშავებული აქვს ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. შესაბამისად, სასურველია გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა.

- პროგრამაში გაწერილია შემდეგი: „ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას“. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროგრამის შემუშავების შემდეგ, დაწესებულების მიერ ჩარჩო დოკუმენტის ნაცვლად გამოყენებული უნდა იყოს - პროგრამა.

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესში გაწერილია, რომ პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები, სასწავლო გეგმა და პროფესიული განათლების მასწავლებლები. წარმოდგენილი პროგრამა დამატებით მოიცავს მატერიალურ რესურსზე ინფორმაციას. შესაბამისად, სასურველია ამ კუთხით რეგულაციაში შევიდეს ცვლილება. ასევე, სასურველია პროგრამაში თითოეული მოდული ცალკე დანართად გაიწეროს, რადგან შეიძლება იდენტიფიცირება, რომელი მოდული პროგრამის რომელი დანართია.

- მოდულის სახელწოდებებზე ინფორმაციას ზოგადი ინფორმაციის ნაწილი არ მოიცავს, რადგან დატანილია მოდულის თავფურცელზე. გამომდინარე იქიდან, რომ მოდულის ზოგადი ინფორმაციის ნაწილში დაწესებულებას არ აქვს ცვლილებების განხორციელების უფლება, მიზანშეწონილია ზოგადი ინფორმაციის ნაწილი უცვლელად იყოს წარმოდგენილი.

- პროგრამაში არ არის განსაზღვრული სწავლის ხანგრძლივობა. შესაბამისად, სასურველია პროგრამაში გაიწეროს პროგრამის ხანგრძლივობა.

- პროგრამაში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს: „საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად ქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული - ჯამური 90 კრედიტი. არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტმა 120 კრედიტი.“

პროგრამის ფარგლებში არ გაიცემა საბაზო კვალიფიკაცია. შესაბამისად, მიზანშეწონილია პროგრამაში გასწორდეს ტექნიკური შეუსაბამობა.

- სასურველია მოდულებში გადაიხედოს მოდულის განხორციელების მიდგომები, სრულად ადაპტირდეს, რადგან ასახოს ის მიდგომები, რომლითაც დაწესებულება განხორციელებს მათ. მაგალითად, ერთ-ერთ მოდულში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს: „პრაქტიკული პროექტის მოდულის მეორე სწავლის შედეგი „პროფესიული ამოცანის დამოუკიდებლად შესრულება“ სასურველია განხორციელდეს საწარმოში, სადაც სტუდენტს მოუწევს საქმიანობა რეალურ სამუშაო გარემოში.“

- რამდენიმე მოდულს შეფასების მიმართულებად გაწერილი აქვს გამოკითხვა, ხოლო დამხმარე ჩანაწერებში შეფასების მეთოდად გაწერილია შემდეგი: „პრაქტიკული დავალების შესრულების პროცესზე დაკვირვება და შეფასება.“

სასურველია შეფასების მეთოდები გამომდინარეობდეს შეფასების მიმართულებიდან.

- ქართული ენის მოდულებს თავფურცელზე მითითებული აქვს შემდეგი: „საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის ზოგადი მოდული“. პროგრამის ფარგლებში არ გაიცემა საბაზო კვალიფიკაცია. შესაბამისად, მიზანშეწონილია პროგრამაში გასწორდეს მსგავსი შეუსაბამობა.

- სასურველია მოდულებში მითითებულ ელექტრონულ რესურსებს მიეთითოს, რომ ის არის ელექტრონული.

პროგრამის ძირითადი დოკუმენტისა და შესაბამისი დანართების შესწავლის საფუძველზე გამოკვეთილი გარემოებების გათვალისწინებით, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია პროგრამის ადაპტირებისა და განმტკიცების მიზნებისთვის შეიმუშაოს იმგვარი მექანიზმი, რომელიც გამოირიცხავს ტექნიკური ხასიათის უზუსტობების არსებობას და უზრუნველყოფს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებისა და შიდა რეგულაციების მოთხოვნებთან შესაბამისობას.

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. სასწავლო გეგმით ქართული ენის მოდულებს შორის არ არის გათვალისწინებული განმეორებითი შეფასებისთვის დროის ინტერვალი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისთვის. ასევე, სწავლების ლოგიკურობიდან გამომდინარე, სასურველია ჯერ ისწავლებოდეს კომპიუტერის აქსესუარები და მას შემდეგ კომპიუტერული ქსელი ორგანიზებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვიზაჟის მომსახურება“

შესაბამისობის რეკომენდაციები:

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, სადაც გაწერილია ტექნიკური აღჭურვილობით (მცირე ნაწილი) პროგრამის სრულყოფის შესახებ. სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრულია 2021 წლის 01 სექტემბერი. განსაზღვრულია შემსრულებელი, დაფინანსების წყარო და შესრულების ინდიკატორები. კოლეჯმა დაადგინა სტანდარტის მეტწილი შესაბამისობა. ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების შეფასებას და მოცემული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილი შესაბამისობა, რადგან მატერიალური-ტექნიკური ბაზის შესყიდვის პროცედურები არ არის დასრულებული.

შესაბამისად, ამ ეტაპზე პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტწილად უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

6. სასწავლო პროცესი წარმართება AC გარემო, თუმცა კაბინეტს არ აქვს ფუნჯების გასუფთავება-დეზინფექციისთვის კუთხე - სველი წერტილი (ონკანი, ნიჟარა, მაგიდა სადეზინფექციო კონტეინერებისთვის). დაწესებულების მიერ წარმოდგენილია დირექტორის 2021 წლის 18 თებერვლის #24 ბრძანებით დამტკიცებული „სამუშაო სივრცეში რისკების შეფასების წესი“, თუმცა არ არის რისკები იდენტიფიცირებული, მათ შორის „ვიზაჟის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

სამუშაო გარემოსთვის.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, გეგმავენ სადეზინფექციო-სასტერილიზაციო კაბინეტის ცალკე მოწყობას, რისთვისაც გამოყოფილია იმავე სართულზე სივრცე. ამ ეტაპისთვის დაწესებულებას არ აქვს არც დაგეგმარების და არც უსაფრთხოების წესების შესახებ შემუშავებული დოკუმენტაცია. პროგრამის სამუშაო კაბინეტების შრომის უსაფრთხოების შესახებ საკითხების და პროცედურების შესრულება გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმაში, რომლის დასრულების ვადად განსაზღვრულია 01.09.2021 წელი. აღნიშნული პროცესის დასრულების შემდეგ, სასწავლო პროცესი წარმართება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

განვითარების რეკომენდაციები

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. სასურველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესით განსაზღვრული იყოს, როგორ ხდება პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევა, ან/და დამტკიცება; როგორ ხდება პროგრამის გაუქმება; რა მექანიზმებზე დაყრდნობით ხორციელდება პროგრამის განვითარებაზე ზრუნვა.

4. საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული რესურსი შესაბამისი პროგრამით/მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შინაარსისაა. აღსანიშნია, რომ დაწესებულების მიერ დარგობრივ მოდულებში მითითებული ინტერნეტ- რესურსი არ წარმოადგენს სასწავლო/საგანმანათლებლო რესურსს, არამედ სასწავლო ცენტრების ვებ მისამართებია, ამასთან

არააქტიური. ინტერნეტ სივრცეში მრავლადაა პროფესიის შესაბამისი სხვადასხვა თემატური ვიდეო გაკვეთილები, ვიდეორგოლები (მომსახურების ტექნოლოგიების შესრულება, სამუშაო ორგანიზება და ა.შ.), რომელთა სასწავლო რესურსად გამოყენება მიზანშეწონილია, დარგში არსებული სასწავლო რესურსის სიმწირიდან გამომდინარე. სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს და გაამდიდროს მოდულებში ინტერნეტრესურსების კორექტირება-აქტუალიზება.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი:

- პროგრამაში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს: „ჩარჩო დოკუმენტი ითვალისწინებს 2 არჩევით მოდულს - ჯამური 5 კრედიტის მოცულობით“. დაწესებულებას არჩევითი მოდულები არ აქვს ჩადებული პროგრამაში. შესაბამისად, სასურველია გასწორდეს ტექნიკური შეუსაბამობა.

- პროგრამაში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს: „მოდულების, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.“ პროგრამა მოიცავს მხოლოდ ერთ, ქართული ენის მოდულს.

- მოდულის სახელწოდებებზე ინფორმაციას ზოგადი ინფორმაციის ნაწილი არ მოიცავს, რადგან დატანილია მოდულის თავფურცელზე. გამომდინარე იქიდან, რომ მოდულის ზოგადი ინფორმაციის ნაწილში დაწესებულებას არ აქვს ცვლილებების განხორციელების უფლება, მიზანშეწონილია ზოგადი ინფორმაციის ნაწილი უცვლელად იყოს წარმოდგენილი. უცვლელად არის წარმოდგენილი მხოლოდ ზოგადი მოდულების ზოგადი ინფორმაციის ნაწილი.

- პროგრამაში არ არის განსაზღვრული სწავლის ხანგრძლივობა. შესაბამისად, სასურველია პროგრამაში გაიწეროს პროგრამის ხანგრძლივობა.

- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, მოდულებში არ არის გაწერილი მოდულთა ცვლილების თარიღი.

გადაიხედოს მოდულის განხორციელების მიდგომები, ისინი სრულად ადაპტირდეს, რადგან სასურველია მან ასახოს ის მიდგომები, რომლითაც დაწესებულება გეგმავს განხორციელოს მოდული.

პროგრამის ძირითადი დოკუმენტისა და შესაბამისი დანართების შესწავლის საფუძველზე გამოკვეთილი გარემოებების გათვალისწინებით, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია პროგრამის ადაპტირებისა და განმტკიცების მიზნებისთვის შეიმუშაოს იმგვარი მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს ტექნიკური ხასიათის უზუსტობების არსებობას და უზრუნველყოფს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებისა და შიდა რეგულაციების მოთხოვნებთან შესაბამისობას.

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კომპეტენციის მიღწევისთვის სასურველია მოდული „სპეციატვა და ფერთა თეორია“, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა

სახის ფორმები, ნაკვეთები, პროპორციები, სიმეტრია, ასიმეტრია და ა.შ., წინ უსწრებდეს დარგობრივ მოდულებს, გამომდინარე იქედან, რომ მოდულის სწავლის შედეგები წარმოადგენს საბაზისო ცოდნა-უნარებს დარგობრივი მოდულების შესწავლისთვის.

ასევე, სასწავლო გეგმით, „მეწარმეობა 1“ სწავლება დაგეგმილია პროგრამის განხორციელების დასაწყისშივე (1-7 სასწავლო კვირა). დაწესებულების მიერ მოდულის განხორციელების კონცეფციაში მითითებულია, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ შერჩეული ბიზნეს საქმიანობის სფერო ძირითადი სპეციალობიდან უნდა იყოს ან ასევე შესაძლებელია მომიჯნავე სფერო, რომელშიც გამოიყენებენ შეძენილ დარგობრივ ცოდნასა და უნარებს. სასწავლო გეგმის მიხედვით პირველი დარგობრივი მოდულის სწავლება იწყება მე-14 კვირიდან, რაც ვერ მისცემს პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობას, სწორად განსაზღვრონ ბიზნეს გეგმისთვის აუცილებელი საკითხები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრობა“

შესაბამისობის რეკომენდაციები:

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, სადაც გაწერილია B გარემოს მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით სრულყოფის შესახებ. სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრულია 2021 წლის 01 სექტემბერი. განსაზღვრულია შემსრულებელი, დაფინანსების წყარო და შესრულების ინდიკატორები. კოლეჯმა დაადგინა სტანდარტის მეტწილი შესაბამისობა. ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების შეფასებას და მოცემული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილი შესაბამისობა. შესაბამისად, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტწილად უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

განვითარების რეკომენდაციები:

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი:

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის დამტკიცების შესახებ ბრძანების რეკვიზიტები და პროგრამაზე დატანილი ბრძანების რეკვიზიტები არ ემთხვევა ერთმანეთს.
- პროგრამაში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს: „აღნიშნული კვალიფიკაციები განათლების საერთაშორისო

კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - ელექტროტექნიკა და ენერგია - კოდი 0713.“

ჩარჩო დოკუმენტი აერთიანებს ორ კვალიფიკაციას, თუმცა დაწესებულებას შემუშავებული აქვს ერთი პროგრამა. შესაბამისად, სასურველია გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა.

- პროგრამაში გაწერილია შემდეგი: „ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას“. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროგრამის შემუშავების შემდეგ, დაწესებულების მიერ ჩარჩო დოკუმენტის ნაცვლად გამოყენებული უნდა იყოს - პროგრამა.

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესში გაწერილია, რომ პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები, სასწავლო გეგმა და პროფესიული განათლების მასწავლებლები. წარმოდგენილი პროგრამა დამატებით მოიცავს მატერიალურ რესურსზე ინფორმაციას. შესაბამისად, სასურველია ამ კუთხით რეგულაციაში შევიდეს ცვლილება. ასევე, სასურველია პროგრამაში თითოეული მოდული ცალკე დანართად გაიწეროს, რადგან შეიძლებოდა იდენტიფიცირება, რომელი მოდული პროგრამის რომელი დანართია.

- მოდულის სახელწოდებებზე ინფორმაციას ზოგადი ინფორმაციის ნაწილი არ მოიცავს, რადგან დატანილია მოდულის თავფურცელზე. გამომდინარე იქიდან, რომ მოდულის ზოგადი ინფორმაციის ნაწილში დაწესებულებას არ აქვს ცვლილებების განხორციელების უფლება, მიზანშეწონილია ზოგადი ინფორმაციის ნაწილი უცვლელად იყოს წარმოდგენილი. პროგრამაში არ არის განსაზღვრული სწავლის ხანგრძლივობა. შესაბამისად, სასურველია პროგრამაში გაიწეროს პროგრამის ხანგრძლივობა.

- მოდულები „ელექტრული და ელექტრონული პრინციპები“, „საინჟინრო ხაზვა“ შეფასების მეთოდად ითვალისწინებს შემდეგს: „პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს განუსაზღვრავს შესასრულებელ პრაქტიკულ დავალებას, დავალების შესრულებას პროცესში აფასებს და პარალელურად პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს თეორიულ საკითხებს გამოკითხავს“, შეფასების მიმართულებად გაწერილია გამოკითხვა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია შეფასების მეთოდები გამომდინარეობდეს შეფასების მიმართულებიდან და ამ ფორმით იყოს გაწერილი მოდულებში.

გადაიხედოს მოდულის განხორციელების მიდგომები, ისინი სრულად ადაპტირდეს, რადგან სასურველია მან ასახოს ის მიდგომები, რომლითაც დაწესებულება გეგმავს განხორციელოს მოდული.

პროგრამის ძირითადი დოკუმენტისა და შესაბამისი დანართების შესწავლის საფუძველზე გამოკვეთილი გარემოებების გათვალისწინებით, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია პროგრამის ადაპტირებისა და განმტკიცების მიზნებისთვის შეიმუშაოს იმგვარი მექანიზმი, რომელიც გამოირჩევა ტექნიკური ხასიათის უზუსტობების არსებობას და უზრუნველყოფს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებისა და შიდა რეგულაციების მოთხოვნებთან შესაბამისობას.

საჭოს თავმჯდომარემ დარგის ექსპერტებს სთხოვა პოზიცია.

დარგის ექსპერტმა იაზონ დანელიამ აღნიშნა, რომ იყო მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით პრობლემა და შესაბამისობის გეგმა იქნა წარმოდგენილი. ასევე რეკომენდაცია იყო მოდულების სრულყოფილად განხორციელების მიზნით პროფესიული მასწავლებლების გადამზადებაზე და ამაზეც დაეთანხმა დაწესებულება და შესაბამისობის გეგმაში ასახეს.

დარგის ექსპერტმა, ირმა ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ 4 პროგრამის დარგის ექსპერტად იყო განსაზღვრული. მან აქცენტი გააკეთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, არ იყო რიგი აღჭურვილობა შეძენილი და შესაბამისად არ იყო გამოკრული უსაფრთხოების პლაკატები და წესები. აღნიშნა, რომ დოკუმენტაცია უსაფრთხოების საკითხებზე კარგად იყო შემუშავებული და ორგანიზაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ კარგად აქვთ გააზრებული უსაფრთხოების მნიშვნელოვნება.

მანანა მახარაშვილმა აღნიშნა, რომ არ ჩანს პროგრამაში ესთეტიურ დერმო პიგმენტაციას მულაჟებზე ატარებენ, თუ მოდელებზე. გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მლაჟებზე განხორციელდება სწავლება. თუ მოდელებზე იქნებოდა სწავლება, ამ შემთხვევაში, სასტერილიზაციო აუცილებელია. სისტემურ დონეზე გასარკვევი საკითხია, უნდა ისწავლებოდეს თუ არა ესთეტიური დერმო პიგმენტაცია საბაზო განათლების მქონე პირებისთვის. დაწესებულებამ განაცხადა, რომ უკვე აქვთ სასტერილიზაციო და გამოყოფილი აქვთ გარემო, ამდენად ისე უნდა დაგეგმონ გარემო, რომ ჯვარედინი დაბინძურება თავიდან იქნეს აცილებული. პროგრამისთვის პრაქტიკის 5 ობიექტი ჰყავთ, რომელთა გარემოების ფოტომასალაც მოაწოდეს ექსპერტებს. მისი მოსაზრებით, საწარმოო პრაქტიკა ამ პროგრამაში აზრს მოკლებულია, თუმცა ამ დროისთვის კვოტის ფარგლებში პარტნიორი ორგანიზაციები თანამშრომლობაზე თანხმობას და მზაობას აცხადებენ სტუდენტების მიღებაზე.

შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ ამ პროგრამის შეფასებისას 2.2. ში მეტწილი შესაბამისობა აქვთ დაფიქსირებული, დაინტერესდა, ხომ არ შეიცვალა ეს შეფასება, თუ მონიტორინგის ჩანიშვნა კვლავ საჭიროა.

ნინო ხაჩიძემ აღნიშნა, რომ კომპიუტერების შესყიდვა არ მომხდარა, რომელიც ვიზაჟის მომსახურების პროგრამისთვისაც საჭიროა, ამდენად შეფასება არ იცვლება და მონიტორინგი საჭიროა. მანანა მახარაშვილმა აღნიშნა, რომ ზემოხსენებულ სასტერილიზაციოს გარდა დარგობრივ კაბინეტში ყველაფერი უკვე ადგილზე იყო განთავსებული, სახარჯი მასალების გარდა. აქვე შენიშნა, რომ სასტერილიზაციო უკვე შესაბამის გარემოში განთავსებულია.

შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა დაწესებულებას ხომ არ დაუფიქსირებია რაიმე პრობლემური საკითხები „ელექტრობის“ ჩარჩო დოკუმენტთან დაკავშირებით, ვინაიდან ხშირად ორგანიზაციები ცენტრსაც მიმართავენ აღნიშნულ ჩარჩო დოკუმენტში ცვლილების თაობაზე.

დარგის ექსპერტმა, დავით გუდაძემ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე რაიმე სახის პრობლემატიკა არ დაუფიქსირებია ორგანიზაციას და გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ განხორციელების ეტაპზე, პროგრამის განვითარების მიზნით, მოხდება საჭიროების მიხედვით პროგრამის ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარესთან ერთად შეაჯამა საკითხის განხილვა:

ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 სტანდარტებთან მიმართებით დაფიქსირდა შესაბამისობა, ხოლო მე-5 სტანდარტთან მიმართებით მეტწილი შესაბამისობა 5.2 კომპონენტში. ხოლო მე-2 და მე-5 სტანდარტთან მიმართებით მეტწილი შესაბამისობა. აქვე აღნიშნა შეფასება თითოეული პროგრამისთვის:

- 1) შედუღება - მეტწილი შესაბამისობა დაფიქსირდა 2.2. და 2.4 კომპონენტში, ხოლო 2.1 და 2.3 კომპონენტში სრული შესაბამისობა. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 30.
- 2) თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი - მეტწილი შესაბამისობა დაფიქსირდა 2.2. და 2.4 კომპონენტში, ხოლო 2.1 და 2.3 კომპონენტში სრული შესაბამისობა. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 40.
- 3) სამღებრო სამუშაოების წარმოება - მეტწილი შესაბამისობა დაფიქსირდა 2.2. და 2.4 კომპონენტში, ხოლო 2.1 და 2.3 კომპონენტში სრული შესაბამისობა. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 40.
- 4) იატაკისა და ფილის სამუშაოები-მეტწილი შესაბამისობა დაფიქსირდა 2.2. და 2.4 კომპონენტში, ხოლო 2.1 და 2.3 კომპონენტში სრული შესაბამისობა. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 30 ექსპერტთა შეფასებით.
- 5) სამკერვალო წარმოება - მეტწილი შესაბამისობა დაფიქსირდა 2.2. და 2.4 კომპონენტში, ხოლო 2.1 და 2.3 კომპონენტში სრული შესაბამისობა. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 30 ექსპერტთა შეფასებით.
- 6) კომპიუტერული ქსელი და სისტემები - მეტწილი შესაბამისობა დაფიქსირდა 2.2. და 2.4 კომპონენტში, ხოლო 2.1 და 2.3 კომპონენტში სრული შესაბამისობა. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 40.
- 7) ვიზაჟის მომსახურება - მეტწილი შესაბამისობა დაფიქსირდა 2.2. და 2.4 კომპონენტში, ხოლო 2.1 და 2.3 კომპონენტში სრული შესაბამისობა. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 30.
- 8) ელექტრობა - მეტწილი შესაბამისობა დაფიქსირდა 2.2. კომპონენტში, ხოლო 2.1, 2.3 და 2.4 კომპონენტში სრული შესაბამისობა. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 40.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დასკვნაში სხვაგვარად არის მონიშნული და 5.3 კომპონენტიც შეფასებულია მეტწილი შესაბამისობით. ნინო ხაჩიძემ განმარტა, რომ დასკვნის

ფორმის სტანდარტული ჩანაწერები არ შეუცვლია და მის მიერ მონიშნულია სტანდარტის შეფასებები და არა კონკრეტული კომპონენტების შეფასებები. კომპონენტების შეფასება მონიშნულია შესაბამისი აღწერილობების შემდეგ.

თავმჯდომარემ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დასკვნის ფორმის ცვლილების თაობაზე, რამდენაც შეფასების არსებული ჩანაწერები ხშირად შეცდომაში შემყვანია, ზოგი ექსპერტი ცვლის და რეალურ შეფასებას აფიქსირებს, ხოლო ზოგი - არ ცვლის სტანდარტულ ჩანაწერებს.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა კოლეჯის წარმომადგენლებს.

კოლეჯის დირექტორმა, მერაბ გოხელაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნას ეთანხმება, ეთანხმება დასკვნაში მოცემულ კომპეტენტურ და განვითარებაზე ორიენტირებულ რეკომენდაციებს. კოლეჯი ორიენტირებულია იყოს გამორჩეული და ემსახურება საოკუპაციო ხაზთან ახლოს, რეგიონის და ბიზნესის საჭიროებას და ეს 8 პროგრამა სწორედ ასე იქნა შერჩეული. მადლობა გადაუხადა პროცესში მონაწილე ყველა მხარეს, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციებს.

აქვე აღნიშნა, რომ აღჭურვილობა უკვე ყველაფერი შესყიდული, 95 % უკვე ადგილზეა, ხოლო დანარჩენი ნაწილი უახლოეს დღეებში ადგილზე იქნება. მიმდინარეობს სახელოსნოების მშენებლობა, რომლის ნახევარზე მეტი უკვე აშენებულია და გადახურულია. ყველაზე ცუდ ვარიანტში, აგვისტოს დასაწყისში მშენებლობა უკვე დასრულებული იქნება, რომელიც მოემსახურება 4 პროგრამას.

შენიშნა, რომ კომპიუტერებისთვის თანხა უკვე კოლეჯის ბალანსზეა, მთავრობის ადმინისტრაცია კონსოლიდირებულ ტენდერს აცხადებს და უკვე დასრულებულია მოლაპარაკებები, რის საფუძველზეც 65 კომპიუტერი კოლეჯს ექნება რამდენიმე კვირაში. თუ რაიმე პრობლემა შეიქმნა, კოლეჯი საკუთარი ფინანსებით შეიძენს ამ კომპიუტერებს. კოლეჯი, საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, გეგმავს სათბურის აშენებას და დაიმატებს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს და მოკლევადიან მომზადების / გადამზადების პროგრამებს.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამების პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ კასპის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

სსიპ კასპის კოლეჯს (ს/კ:205405480) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი.

სსიპ კასპის კოლეჯს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (**დანართი 1**).

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას, რომ ექსპერტებმა დაადგინეს და საბჭოც დაეთანხმა, რომ პირველი სტანდარტი არის სრულად შესაბამისობაში, ასევე მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტები, ხოლო მეხუთე სტანდარტის 5.2 კომპონენტი არის მეტწილ შესაბამისობაში, ასევე ელექტრობის პროგრამისთვის 2.2 კომპონენტი- მეტწილ შესაბამისობაში, დანარჩენი 7 პროგრამისთვის 2.2 და 2.4 კომპონენტები- მეტწილ შესაბამისობაში, გამომდინარე აქედან მეორე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა როგორც

მეტწილი, ამიტომ საბჭომ შუამდგომლობით მიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, რათა დაინიშნოს მონიტორინგი აღნიშნული სტანდარტების შესაბამისი კომპონენტების გადამოწმების მიზნით. ასევე უნდა განისაზღვროს რა პერიოდში დაინიშნოს აღნიშნული მონიტორინგი, არაუმეტეს 6 თვის ვადისა. სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა ზუსტი თარიღის დასახელება. ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებამ უნდა დაასახელოს თარიღი, თუ როდის ექნება დასრულებული გეგმით გათვალისწინებული ყველა აქტივობა.

დაწესებულების დირექტორმა მადლობა გადაუხდა საბჭოს და წარმატებები უსურვა. დაწესებულების დირექტორმა მონიტორინგის ვადად 20 ოქტომბერი დაასახელა.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტებზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად შეფასებული იყო ექსპერტების მიერ დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტები: 5.2., ასევე, ელექტრონობის პროგრამისთვის 2.2 კომპონენტი, ხოლო - დანარჩენი 7 პროგრამისთვის 2.2 და 2.4 კომპონენტები - მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2021 წლის 20 ოქტომბრიდან.

აქვე აღნიშნა, რომ საბჭო არ განსაზღვრავს მონიტორინგის ფორმას, მიზანშეწონილია მონიტორინგის ფორმა ცენტრმა შეარჩიოს შემოწმების ფარგლებიდან და მონიტორინგის პერიოდისთვის ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, თუმცა უფრო მეტად მიზანშეწონილია ვიზიტი, ამასთანავე ფიზიკური ვიზიტი თუ საქმე ეხება მატერიალურ რესურსებს. ამდენად შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, ამ და სხვა ყველა შემთხვევაში, როცა საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის თაობაზე, მონიტორინგის განხორციელების ფორმა განისაზღვროს ცენტრის მიერ.

ნატა კვაჭანტირაძე შემოუერთდა საბჭოს სხდომას პირველ საკითხზე კენჭისყრის შემდეგ.

2. შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე ავტორიზაციის შესახებ საკითხი წარმოადგინეს ქეთევან ბოტკოველმა და თამარ ახალაძემ.

2021 წლის 29 აპრილის №429157 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს შვეიცარიულ აგრარულ სკოლა კავკასიის პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

7 მაისს განხორციელდა ჩართვა. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, პროგრამების ხელმძღვანელებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, შრომის უსაფრთხოების მენეჯერს და ბიბლიოთეკარს. ექსპერტებმა ონლაინ დაათვალიერეს სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, დასასვენებელი/სარეკრეაციო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, სველი წერტილები და შენობაში განთავსებული სხვა სივრცეები. განხორციელდა ასევე საგანმანათლებლო პროგრამების „ფერმერი“ და „რძის პროდუქტების

წარმოება“ მატერიალური რესურსის დათვალიერება. ასევე, განხორციელდა ჩართვა ფერმიდან და ექსპერტები გაესაუბრნენ პრაქტიკის თითქმის ყველა ობიექტის წარმომადგენელს.

ექსპერტმა კოლეჯის შექმნის ისტორია გააცნო საბჭოს, ასევე წარმოადგინა კოლეჯის შესაბამისი ფოტო და ვიდეომასალა.

აღნიშნა, რომ ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 სტანდარტებთან მიმართებით დაფიქსირდა შესაბამისობა, ხოლო მე-2 და მე-5 სტანდარტთან მიმართებით მეტწილი შესაბამისობა.

დასკვნაში ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია: ვადების დაცვით, შეასრულოს სტანდარტის შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი აქტივობები. წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, იდენტიფიცირებულია შეუსაბამოები და დაგეგმილია განსახორციელებელი აქტივობები, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მე-5 და მე-2 სტანდარტებთან მიმართებაში.

შესაბამისობის გეგმის თანახმად, დაწესებულება გეგმავს 6 თვის ვადაში უზრუნველყოფს დაწესებულება ყველა საჭირო მატერიალური რესურსით. გეგმაში აღწერილია შეუსაბამოები სტანდარტისა და კომპონენტის მითითებით (2.2.1; 5.1.1; 5.1.2 შეფასებულია მეტწილად), განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, დაწყება/დასრულების სავარაუდო თარიღები, განმახორციელებელი პირი (მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი) და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი (დირექტორი), მითითებულია ასევე განხორციელებაში ჩართული სხვა მხარეები (ავეჯისა და ტექნიკის კომპანია; გენერალური კონტრაქტორი - სამშენებლო კომპანია შპს „ინტეკი“; დანადგარების მომწოდებელი), დაფინანსების წყაროდ მითითებულია დონორი ორგანიზაცია და თვითდაფინანსება, განსაზღვრულია თანხის ოდენობა და ასევე რისკების ალბათობა.

გეგმაში ასახული შეუსაბამოებებია:

5.1.1.1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;

შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა/ები:

დაწესებულება გეგმავს მატერიალური რესურსების მობილიზებას (დაწყების ვადაა 10 აპრილი, ხოლო დასრულების ვადა 10 სექტემბერი).

5.1.2.1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;

შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა/ები: დაწესებულებას ექნება მდგრადობის შესახებ დასკვნა,

დაწესებულება მოიპოვებს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის დასკვნას (დაწყების ვადაა 14 აპრილი, ხოლო დასრულების ვადა 10 სექტემბერი).

5.1.2.4 დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა/ები: განხორციელდება დაწესებულების გარე და შიდა პერიმეტრზე ვიდეოკამერების მონტაჟი

(დაწყების ვადაა 14 აპრილი, ხოლო დასრულების ვადა 10 სექტემბერი).

2.2.1.1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა/ები: განხორციელდება ფერმერის და რძის პროდუქტების წარმოების პროგრამებით გათვალისწინებული მატერიალური რესურსების მობილიზება დაწესებულებაში

(დაწყების ვადაა 14 აპრილი, ხოლო დასრულების ვადა 10 სექტემბერი).

წარმოდგენილი სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შეუსაბამოების აღმოსაფხვრელად დაწესებულებას დადებული აქვს ხელშეკრულებები შესაბამის ორგანიზაციებთან განსაზღვრული ვადებით, რაც უზრუნველყოფს მათ სრულყოფილად შესრულებას.

ორივე პროგრამის ფარგლებში 2.2. კომპონენტში დაფიქსირდა მეტწილი შესაბამისობა, წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა. ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას ამ დროისთვის მოწყობილი აქვს საველე ფერმა, რომელიც ფუნქციონირებს, სანამ აშენდება ფერმა. ჩამოყვანილი ჰყავს შვეიცარიული გენეტიკის/ჯიშის 33 საქონელი. კოლეჯს აქვს ძროხის მაკეტი, რომელიც იშლება მარტივ მამრავლებად და კარგი თვალსაჩინოებაა ძროხის აგებულების შესწავლისთვის, ასევე. კოლეჯს აქვს სხვადასხვა ფუნქციის მოდელები.

პროგრამებში ჩართულია 17 განმახორციელებელი კვალიფიციური პროფესიული მასწავლებელი, მათ შორის პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლები უცხოეთიდან.

დარგის ექსპერტმა, თამარ ახალაძემ აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელებას კოლეჯი გეგმავს შვეიცარიაში არსებული თანამედროვე მეთოდების და ტექნიკის გამოყენებით. პროგრამაში ჩართული არიან შვეიცარიელი კონსულტანტები. კოლეჯს ნაფიქრი აქვს პროგრამის ყოველ დეტალზე. მატერიალური რესურსით სრულყოფილად არ არის ჯერ კოლეჯი აღჭურვილი, მიმდინარეობს ფერმის მშენებლობა და რძის გადამამუშავებელი ქარხანის ტექნიკური აღჭურვა, რაც უნდა დასრულდეს 10 სექტემბრამდე. პედაგოგებად შერჩეულია კვალიფიციური პირები. სწავლის შედეგების ნაწილი, რომელთა მიღწევს კოლეჯი ვერ შეძლებს ადგილზე, გატანილია პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე, მათთან გასაუბრებით დასტურდება პროგრამის განხორციელებაში ჩართვის მზაობა. გამოყო ერთ-ერთი პარტნიორი ორგანიზაცია შპს „მარნეული აგრო“, რომელიც ერთ-ერთი მსხვილი ორგანიზაციაა ქართულ ბაზარზე. კოლეჯს ამ დროისთვის ჰყავს მხოლოდ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ამდენად ღორებთან, ცხვრებთან, ასევე ფრინველთან დაკავშირებული სწავლის შედეგებისთვის კოლეჯს ჰყავს პარტნიორი ორგანიზაციები, თუმცა სამომავლოდ გეგმავენ საკუთარ ბაზაზე იყოლიონ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გარდა სხვა ცხოველებიც.

კოლეჯს სურს ორივე პროგრამისთვის 16-16 სტუდენტის მიღება, თითოეული მიღებისთვის 8-8 სტუდენტისთვის თითოეული პროგრამისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

კოლეჯის დირექტორმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამსახურისთვის. აღნიშნა, რომ კოლეჯის შენობა უკვე ექსპლუატაციაშია მიღებული, სახანძრო უსაფრთხოების დასკვნას უკვე ელოდება დაწესებულება, რამდენადაც შეფასება უკვე განხორციელდა შესაბამისი უწყების მიერ. უკვე დაწყებულია კამერების სამონიტორინგო სისტემის დამონტაჟება. პროვაიდერ ორგანიზაციისთან უკვე გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. ფერმისთვის განკუთვნილი აღჭურვილობის ნაწილი უკვე განთავსებულია კოლეჯში, ხოლო დანარჩენი - ზაფხულის ბოლომდე ჩამოვა საქართველოში. ფერმა ამ ეტაპზე განთავსებულია საველე ფერმაში, თუმცა აქტიურად ფუნქციონირებს. რძის რეალიზებას უკვე ახდენენ. ქარხის დანადგარები უკვე სრულად ადგილზეა განთავსებული და დანადგარების ტექნიკური მონტაჟი უნდა შესრულდეს შევეიცარელი ორგანიზაციის მიერ, რომლებიც 1 ივლისს ჩამოვლენ და განახორციელებენ შესაბამის სამუშაოებს. ამის შემდეგ ყველის ქარხანა დაიწყებს ფუნქციონირებას.

დირექტორმა აღნიშნა, რომ სამუშაო პლატფორმა, მთავარი დანადგარის ადგილი, ერთდროულად 8 სტუდენტისთვისაა მოწყობილი და კოლეჯი ორიენტირებულია სწავლის ხარისხზე და არა სტუდენტთა დიდ რაოდენობაზე. ამიტანა განპირობებული პროგრამებზე მოთხოვნილი სტუდენტთა რაოდენობა.

საბჭოს წევრმა ქრისტინა რზგოევამ იკითხა ფინანსური კუთხით რენტაბელური თუა პროგრამა. კოლეჯის დირექტორმა განმარტა, რომ კოლეჯი ეკუთვნის ა(ა)იპ გამოყენებითი და განათლების განვითარების ქართულ ასოციაციას, არაკომერციულ ორგანიზაციას, რომლის მიზანია პროფესიული და სხვა ტიპის განათლების ხელშეწყობა. ამდენად კოლეჯის ფუნქციონირება არ უკავშირდება მოგებას, ხარჯების დაფარვა კი უზრუნველყოფილი იქნება დონორი ორგანიზაციების ჩართულობით. ამ ეტაპამდეც, კოლეჯის ხარჯების ფარავს დონაციები, ასევე აღნიშნა, რომ შვეიცარიის მხარის ინიციატივით, შეიქმნა დმანისის მხარდაჭერის ფონდი, რომელიც ემსახურება კოლეჯის ფუნქციონირებას, ხარჯების დაფარვას.

ნინო ველთაურმა იკითხა, რამდენადაც 6 წლით ენიჭება კოლეჯს ავტორიზაცია, რამდენად რენტაბელური იქნება ამ პროგრამების განხორციელება, ხომ არ გეგმავს კოლეჯი ეკონომიკურ საქმიანობას.

თინათინ მახარაძემ აღნიშნა, რომ კოლეჯი არ იქნება მხოლოდ დონორი ორგანიზაციების დაფინანსების იმედად, კოლეჯს აქვს ყველის ქარხანა, რომის წარმადობა 2000 ლიტრია, რომლის ფუნქცია არ იქნება მხოლოდ სტუდენტების პრაქტიკა, არამედ ქარხანაში მომზადებული ყველის რეალიზება მოხდება, ანუ იქნება კომერციულად დატვირთული. კოლეჯს აქვს ყველის საცავი, რომლის მიმართულებაც დამწიფებული მთის ყველი. ზაფხულის მანძილზე უფრო დიდი რაოდენობით იქნება რძე და ზაფხულის მანძილზე შეგროვდება ყველის მარაგი, რაც ზამთრის მანძილზე კოლეჯის ფინანსურ სტაბილურობას უზრუნველყოფს.

ნინო ველთაურმა მადლობა გადაუხადა პასუხისთვის და რეკომენდირებულად მიიჩნია, სამომავლოდ გაიზარდოს პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა.

შორენა ჯაფარიძემ იკითხა სწავლის საფასურის ოდენობა, რაზეც მიიღო პასუხი, რომ საფასურია 1200 \$ წელიწადში, რაც მოიცავს ძირითადად საცხოვრებელ ხარჯებს.

შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა კონკრეტულად რა დახმარება გაუწია შვეიცარიულმა მხარემ კოლეჯს სასწავლო რესურსებთან დაკავშირებით.

კოლეჯის დირექტორმა განმარტა, რომ კოლეჯმა შეიძინა შვეიცარიული სასოფლო სამეურნეო სასწავლო პროგრამების ცენტრალური გამომცემლობის ლიცენზია და უკვე დაწყებულია ამ სასწავლო რესურსების თარგმნა და ადაპტირება. ასევე, ყველის წარმოების მიმართულებით პლანტაჰოფმა მიაწდა კოლეჯს -ყველის წარმოების კურსი, ყოველდღიური კურსი, რომლის მიხედვითაც წარმოება მიმდინარეობს. ეს წიგნიც ითარგმნება გერმანული ენიდან.

ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ რამდენადაც მისთვის ცნობილია, ამ სასწავლო ლიტერატურის თარგმნის შემდეგ კოლეჯი გეგმავს პროგრამებში გარკვეული ცვლილებების ინიცირებასაც.

შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ ასევე მისასალმებელი იქნება თუ კოლეჯი შეიმუშავებს ვიდეო რგოლებს სასწავლო მიზნით. კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, ხომ უფრო მეტი ადამიანისთვის ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, ფიქრობენ პირდაპირი ტრანსლაციის დაგეგმვას კოლეჯში და მუშაობენ ამ მიმართულებით.

შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, კოლეჯი თუ გეგმავს, ამ მიმართულებით მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელებას, რაზეც კოლეჯის დირექტორმა უპასუხა, რომ ამ ეტაპზე დამატებით ადმინისტრაციულ საქმიანობის გაზრდა არ სურთ, რათა ეს არ აისახოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხზე და ამჯერად მხოლოდ არაფორმალური განათლების კუთხით ორ დღიან მასტერკლასებს გეგმავენ არსებული ფერმერებისთვის. სამომავლოდ კი შესაძლებელია მომზადების და გადამზადების პროგრამების მომზადებაც.

რუსუდან გიგაშვილი დაინტერესდა, რა სეგმენტზეა გათვლილი პროგრამა, სწავლის საფასურიდან გამომდინარე, ხომ არ იქნება შემზღუდველი დაინტერესებული პირებისთვის, როგორ მოახდინა განფასება კოლეჯმა.

კოლეჯის დირექტორმა შენიშნა, რომ საფასურის ძირითადი ნაწილი განსაზღვრა საერთო საცხოვრებლის მომსახურების და კვების საფასურმა. თუ იქნება ისეთი სტუდენტი ვისაც კამპუსის მომსახურება არ დასჭირდება ეს საფასური შესაბამისად დაკორექტირდება.

შორენა ჯაფარიძეც დაეთანხმა საბჭოს წევრს, რუსუდან გიგაშვილს და გამოთქვა მოსაზრება, რომ სწავლის საფასური ხელისშემშლელი გარემოება შეიძლება იყოს დაინტერესებული პირებისთვის.

ქრისტინა რზგოვეა და შორენა ჯაფარიძე დაინტერესდნენ საცხოვრებლის გარეშე საფასური რამდენი იქნება და სად დასაქმდებიან პირები, ხომ არ აქვთ შესწავლილი ბაზარი ამ კუთხით, ხომ არ არის გაფორმებული მემორანდუმი პოტენციურ დამსაქმებლებთან, რადგან დუალური მიდგომით თუ განხორციელდება პროგრამა ანაზღაურებასაც მიიღებს სტუდენტი და სწავლის საფასურის ნაწილის გადახდას მაინც შეძლებს.

კოლეჯის დირექტორმა განმარტა, რადგან ცოტა რაოდენობის სტუდენტს იღებენ კოლეჯს სურს ადგილზე იცხოვროს პროფესიულმა სტუდენტებმა, გამონაკლისი იქნება ის შემთხვევა, თუ სტუდენტი მეზობელ სოფელში, ახლოსვე იცხოვრებს, ვინაიდან დამატებით სერვისების მიწოდებას გეგმავენ, მაგალითად უცხო ენის გაძლიერების კუთხით. აღნიშნა, რომ დამფუძნებელი ორგანიზაციების ჩართულობით, მათ გამოცდილებაზე დაყრდნობით, კვლევა ჩატარებულია საქართველოს მასშტაბით ფერმების პრობლემების, კადრების კვალიფიკაციის ნაკლებობასთან დაკავშირებით. შვეიცარიის წარმომადგენლებმა ქვეყნის მასშტაბით 25 ფერმა შემოიარეს და გამოიკვლიეს საჭიროებები. ამდენად კოლეჯმა ზუსტად იცის რა უნდა შეასწავლონ სტუდენტებს, რომ იყვნენ მოთხოვნადი. კოლეჯის მიზანია კურსდამთავრებულებმა შეძლონ საქმეში საკუთარი ფერმები. რა თქმა უნდა შესაძლებელია უკვე არსებულ ორგანიზაციებში დასაქმდნენ, თუმცა კოლეჯი ბიზნესის შექმნის კომპეტენციების გაძლიერების მიზნით შეიმუშავებს 6 თვიან პროგრამებს, კურსდამთავრებულებისთვის ბიზნეს უნარების შესასწავლად, თავად შექმნან ორგანიზაცია. კოლეჯს აქვს სურვილიც, შესაძლებელია, კოლეჯმა ერთი სული საქონელი, რომელსაც თვითონ გაზრდიან სასწავლო პერიოდში, სამომავლოდ გასამრავლებლად აჩუქოს კურსდამთავრებულს, ვინაიდან შესაძლოა თვითონ ვერ შეძლონ ყიდვა ფინანსების გამო.

აქვე შენიშნა, რომ დამსაქმებელი ორგანიზაციები, განსაკუთრებით რძის დამუშავების მიმართულებით, თვითონ გამოხატავენ კვალიფიციური კადრების სიმცირეს და მზაობას დააფინანსონ თითო სტუდენტის სწავლის საფასური. ქვეყანას აქვს დიდი რაოდენობით სამოვრები, რესურსი, რომ არ შემოდის ამდენი რაოდენობით რძის ფხვნილი. კოლეჯის მიზანია ქვეყანაში საღი რძის წარმოება.

ნატა კვაჭანტირაძე დაინტერესდა გაცვლითი პროგრამები ხომ არ იგეგმება. კოლეჯის დირექტორმა უპასუხა, რომ პლანტაჟოფში ამ დროისთვის კოლეჯის თანამშრომლები არაერთხელ გადამზადდნენ, შემდგომშიც იგეგმება სასწავლო ტურები.

საბჭომ პროგრამების მდგრადობის მიზნით, კოლეჯს რეკომენდაცია მისცა სამომავლოდ, გაზარდონ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა პროგრამაზე ან დაიმატონ სხვა პროფესიული პროგრამები.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამების პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

შპს შვეიცარიულ აგრარულ სკოლა კავკასიას (ს/კ:404550525) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი.

შპს შვეიცარიულ აგრარულ სკოლა კავკასიას მიენიჭოს უფლებამოსილება განხორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 2)**.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას, რომ ექსპერტებმა დაადგინეს და საბჭოც დაეთანხმა, რომ პირველი სტანდარტი არის სრულად შესაბამისობაში, ასევე მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტები, ხოლო მეხუთე სტანდარტის 5.1 კომპონენტი არის მეტწილ შესაბამისობაში, ასევე ორივე პროგრამისთვის 2.2 კომპონენტი- მეტწილ შესაბამისობაში, გამომდინარე აქედან მეორე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა როგორც მეტწილი, საბჭომ შუამდგომლობით მიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, რათა დაინიშნოს მონიტორინგი აღნიშნული სტანდარტების შესაბამისი კომპონენტების გადამოწმების მიზნით. ასევე უნდა განისაზღვროს რა პერიოდში დაინიშნოს აღნიშნული მონიტორინგი, არაუმეტეს 6 თვის ვადისა. სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა ზუსტი თარიღის დასახელება. ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებამ უნდა დაასახელოს თარიღი, თუ როდის ექნება დასრულებული გეგმით გათვალისწინებული ყველა აქტივობა.

დაწესებულების დირექტორმა მადლობა გადაუხდა საბჭოს და წარმატებები უსურვა. დაწესებულების დირექტორმა მონიტორინგის ვადად 4 ნოემბერი დაასახელა.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმკომპონენტებზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად იყო შეფასებული ექსპერტები სმიერ და დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტები: 5.1., ასევე, ორივე პროგრამისთვის 2.2 კომპონენტი, მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2021 წლის 4 ნოემბრიდან.

საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა დეა აბულაძემ.

3. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე ავტორიზაციის შესახებ საკითხი წარმოადგინეს ირმა ღარიბაშვილმა და იაზონ დანელიამ.

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2021 წლის 15 მარტს წარმოდგენილ იქნა განაცხადი „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებული და არაინტეგრირებული პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 12 აპრილის ბრძანების მიხედვით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობა წარიმართა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, 26 აპრილს გასაუბრება ჩატარდა პლატფორმა „ზუმის“-ის მეშვეობით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ავტორიზაციის ექსპერტთა ექსპერტთა ჯგუფს წინასწარ მიეწოდა კოლეჯის მიერ ცენტრში წარდგენილი განაცხადი პროგრამის დამატების შესახებ სხვა თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად. ექსპერტებმა წინასწარ შეისწავლეს აღნიშნული მასალები და კოლეჯიდან ოფიციალურად გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია. საგანმანათლებლო დაწესებულებამ დამატებითი დოკუმენტაციის სახით წარმოადგინა როგორც ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი დოკუმენტაცია, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ცვლილებებით, მათ შორის განაცხადი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან.

ექსპერტთა მიერ, ვიზიტისას შეხვედრა განხორციელდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. შემოწმდა პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსი.

ექსპერტებმა მოისმინეს კოლეჯის ადმინისტრაციის ხედვა პროფესიული პროგრამების განვითარებასთან და განხორციელებასთან დაკავშირებით. პროგრამებისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტაციას, მექანიზმებს და კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტაციას. გადამოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო ინფორმაცია პროგრამის შესახებ, აღნიშნა, რომ სულ პროგრამისთვის მოთხოვნილია 30 სტუდენტის ადგილი, აქედან 15 ინტეგრირებულ პროგრამაზე.

აღნიშნა, რომ შეფასებული ყველა კომპონენტი არის სრულ შესაბამისობაში. აქვე შენიშნა, რომ დაწერებულების შეფასებით, 2.2 კომპონენტი შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით, თუმცა დისტანციური ჩართვის დროს მატერიალური რესურსი ადგილზე იქნა წარმოდგენილი, წარმოადგინეს ასევე შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები, ამდენად ექსპერტთა შეფასებით 2.2 კომპონენტი შეფასდა სრული შესაბამისობით. შესაბამისად მეორე სტანდარტი სრულ შესაბამისობაშია.

გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები, რომელსაც ეთანხმება დაწესებულება და რეკომენდაციის შესრულების შესახებ წარმოადგინა ინფორმაცია არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯს (ს/კ:236098851) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (დანართი 3).

4. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „სასტუმრო მომსახურების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე ავტორიზაციის შესახებ საკითხი წარმოადგინეს - ირმა ღარიბაშვილმა და თამთა კვინიკაძემ.

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის“ მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2021 წლის 15 მარტს წარმოდგენილ იქნა განაცხადი „სასტუმრო მომსახურების“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესახებ.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 12 აპრილის ბრძანების (№345234) მიხედვით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობა წარიმართა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, 21 აპრილს დღის 10:00 საათიდან. გასაუბრება ჩატარდა პლატფორმა „ზუმის“-ის მეშვეობით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ავტორიზაციის ექსპერტთა ექსპერტთა ჯგუფს წინასწარ მიეწოდა კოლეჯის მიერ ცენტრში წარდგენილი განაცხადი პროგრამის ინტეგრირების შესახებ სხვა თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად. ექსპერტებმა წინასწარ შეისწავლეს აღნიშნული მასალები და კოლეჯიდან ოფიციალურად გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია. საგანმანათლებლო დაწესებულებამ დამატებითი დოკუმენტაციის სახით წარმოადგინა როგორც ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი დოკუმენტაცია, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ცვლილებებით, მათ შორის განაცხადი. ექსპერტთა მიერ, ვიზიტისას შეხვედრა განხორციელდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და კომპანიების წარმომადგენლებთან - ინსტრუქტორებთან, შემოწმდა პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსი.

ხარვეზი და სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.

დაფიქსირდა განვითარების რეკომენდაცია:

ინდიკატორი 2.1.1.(6) - კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 15 თებერვლის N04-13 ბრძანებით დამტკიცებულ „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიულ პროგრამაში მიეთითოს ცვლილების შესახებ ინფორმაცია, დირექტორის 2021 წლის 16 აპრილის N04-50 ბრძანების შესაბამისად.

ინდიკატორი 2.2.1. (1) - სასტუმრო „ლმ ქლაბთან“ გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში გაიწეროს პრაქტიკის ობიექტზე გატანილი მოდულების დასახელებები. მემორანდუმს დანართის სახით დაერთოს ობიექტზე გატანილი მოდულების სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო აღჭურვილობის ჩამონათვალი.

სტანდარტის ყველა კომპონენტი სრული შესაბამისობით შეფასდა. რეკომენდაციას ეთანხმება დაწესებულებავდა წარმოადგინა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად.

პროგრამა ხორციელდება ორ მისამართზე, დაბა სტეფანწმინდაში და ასევე მცხეთის რაიონი სოფ. წინამძღვრიანთკარში და ინტეგრირება სურს მხოლოდ წინამძღვრიანთკარში, სადაც პროგრამაზე განსაზღვრულია 30 სტუდენტი, აქედან 15 სტუდენტის მიღება სურთ ინტეგრირებულ პროგრამაზე.

აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელებაში სულ 31 პირია ჩართული, აქედან 9 პირი - ინტეგრირებულ მოდულების განხორციელებაში. ყველა განმახორციელებლის კვალიფიკაცია დადასტურდა. კოლეჯი უკვე ახორციელებს ერთ ინტეგრირებულ პროგრამას, ამდენად ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებს აქვთ სწავლების გამოცდილება. კოლეჯს აქვს შესაბამისი გარემოები სრულად აღჭურვილი, ასევე დაცულია უსაფრთხოების ზომები.

სამი მოდულის ფარგლებში პრაქტიკულ კომპონენტისთვის გაფორმებულია 3 პრაქტიკის ობიექტთან, აქედან ერთ-ერთთან მოხდა გასაუბრება და დადასტურდა თანამშრომლობის მზაობა.

საბჭოს წარმოუდგინა პროგრამისთვის გამოყოფილი გარემოების შესაბამისი ფოტომასალა.

კოლეჯის წარმომადგენელმა, ელისაბედ ებრალიძემ აღნიშნა, რომ ყველა ინტეგრირებული მოდულის განმახორციელებელი გადამზადებულია და უკვე ჩართული არიან ინტეგრირებული მოდულების განხორციელებაში. აღნიშნა, რომ ეთანხმებიან დასკვნას და რეკომენდაციების შესრულებაზე უკვე წარმოადგინეს ცენტრში განახლებული დოკუმენტები დასკვნის პროექტზე არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „სასტუმრო მომსახურების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯს (ს/კ:236098851) მიენიჭოს უფლება განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სასტუმრო მომსახურების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (დანართი 4).

5. სსიპ კოლეჯ „იბერიასთვის“ „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე ავტორიზაციის შესახებ საკითხი წარმოადგინეს ირმა ღარიბაშვილმა და ნატალია დარჩინიანმა.

სსიპ კოლეჯ „იბერიას“ მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილ იქნა განაცხადი „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ. სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 17 მარტის ბრძანების (№245697) საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობა.

ექსპერტთა მიერ, ვიზიტისას გადამოწმდა საგანმანათლებლო დაწესებულების პირობები. შეხვედრა განხორციელდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და კომპანიების წარმომადგენლებთან - ინსტრუქტორებთან, შემოწმდა კოლეჯის მატერიალური რესურსი, ექსპერტებმა დაათვალიერეს პრაქტიკის ობიექტები.

ექსპერტებმა მოისმინეს კოლეჯის ადმინისტრაციის ხედვა პროფესიული პროგრამების განვითარებასთან და განხორციელებასთან დაკავშირებით. პროგრამებისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტაციას, მექანიზმებს, მათი გამოყენების დამადასტურებელ საბუთებსა და კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტაციას. გადამოწმდა ადამიანური რესურსის პირადი საქმეები. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში გადაამოწმა კოლეჯის ვებგვერდი, კატალოგი.

ვიზიტის პროცესში ხარვეზები არ დაფიქსირებულა. განაცხადის ფორმაში დაწესებულებას მეტწილად ჰქონდა მეორე სტანდარტი შეფასებული და ასევე ექსპერტთა მიერ შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

საბჭოს წარმოდგინა დაწესებულების სასწავლო გარემოების შესაბამისი მასალები. აღნიშნა, რომ რიგი აღჭურვილობა შესყიდვის პროცესშია, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, ამდენად 2.2. კომპონენტი ექსპერტების მიერ შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

ექსპერტთა მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია:

ინდიკატორი 2.2.1. (1) - სწავლის დაწყებამდე დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარის მობილიზება. ასევე, რეკომენდირებულია დაწესებულებამ იზრუნოს პროგრამის შემუშავებაში ჩართული პერსონალის შესაძლებლობების გაძლიერებაზე.

ინდიკატორი 2.2.1.(7) - რენტაბელობის ზღვრული რაოდენობა გათვლილია პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალურ რაოდენობაზე - 30 სტუდენტისთვის. დაწესებულებამ რენტაბელობის ზღვარი უნდა განსაზღვროს პროფესიულ სტუდენტთა მინიმალურ რაოდენობის გათვალისწინებით.

განვითარების რეკომენდაცია:

ინდიკატორი 2.1.1. (1) - დირექტორის 2019 წლის 18 იანვრის N15 ბრძანებაში „სსიპ-საზოგადოებრივ კოლეჯში „იბერია“ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“ განხორციელდეს ცვლილება. დოკუმენტის დასახელებიდან და 1.1 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „საზოგადოებრივი“.

ასევე, საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშაოს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების ერთიანი კრიტერიუმები, რომელიც მეტად გამყარებული იქნება გამოკითხვებით, კვლევებით და სხვა მტკიცებულებებით.

ინდიკატორი 2.1.1. (3) - სსიპ „კოლეჯის „იბერია“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ 2.4 პუნქტში მითითებული ჩანაწერი „საწარმო პრაქტიკის ობიექტები“ შესაბამისობაში მოვიდეს ავტორიზაციის სტანდარტის ჩანაწერთან.

ინდიკატორი 2.1.1. (4)- ქვეყანაში არსებული პანდემიით გამოწვეული საგანგებო სიტუაციიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ნაბეჭდი სახის სასწავლო რესურსი გაციფრულდეს.

ინდიკატორი 2.2.1. (2) - სასურველია, საგანმანათლებლო დაწესებულებამ დანერგოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროებების შეფასების და განხორციელების ინსტიტუციური მექანიზმები.

ინდიკატორი 2.2.1. (3) - დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტში გაიწეროს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პერსონალის მიღების შემთხვევაში, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის ცნობის წარმოდგენის შესახებ.

ინდიკატორი 2.3.1. (1) დაწესებულების მიერ ხარისხის მექანიზმები გაწერილია ორ დოკუმენტში - „სსიპ „იბერია“ პროფესიული განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“ და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის,

განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“. სასურველია, „სსიპ „იბერია“ პროფესიული განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების“ დოკუმენტს მიეცეს კონსოლიდირებული სახე ხარისხის მექანიზმების ერთ სისტემაში მოყვანის მიზნით.

ინდიკატორი 2.4.2. (3) - დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. სასურველია, დაწესებულებამ მოახდინოს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებებისა და უწყისების გაციფრულება.

აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილ რაოდენობას - 30 სტუდენტს. კოლეჯს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული აქვს 4 პრაქტიკის ობიექტთან, ექსპერტები გაესაუბრნენ ორი ობიექტის წარმომადგენლებს, რომლის დროსაც ასევე ყურადღება გამახვილდა უსაფრთხოების საკითხებზე, რომლის წესები დაცულია და მზად არიან სტუდენტთა მისაღებად.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ კოლეჯი ეთანხმება ექსპერტთა რეკომენდაციებს და განმავითარებელი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოადგინა ინფორმაცია არგუმენტირებულ პოზიციაში.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტებინა კოლეჯის ხელმძღვანელობას, რა ვადებში დასრულდებოდა შესყიდვები და აღჭურვილობის სრულად უზრუნველყოფა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესყიდვების პროცესი მიმდინარეობს, და ითხოვეს, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს 2021 წლის 15 სექტემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი „იბერიასთვის“ „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და გადაწყვეტილების 12 ივნისიდან ძალაში შესვლის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

სსიპ კოლეჯ „იბერიას“ (ს/კ:212682051) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (**დანართი 5**).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 12 ივნისი.

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად იყო შეფასებული ექსპერტების მიერ და დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტი: 2.2. მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2021 წლის 15 სექტემბრიდან.

6. სსიპ კოლეჯ „იბერიასთვის“ „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა .

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე ავტორიზაციის შესახებ საკითხი წარმოადგინეს ირმა ღარიბაშვილმა და მანანა კობალაძემ.

სსიპ კოლეჯ „იბერიას“ მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილ იქნა განაცხადი „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 17 მარტს ბრძანების (№245696) საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობა.

ექსპერტთა მიერ, ვიზიტისას გადამოწმდა საგანმანათლებლო დაწესებულების პირობები. შეხვედრა განხორციელდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და კომპანიების წარმომადგენლებთან - ინსტრუქტორებთან, შემოწმდა კოლეჯის მატერიალური რესურსი, ექსპერტებმა დაათვალიერეს პრაქტიკის ობიექტები.

ექსპერტებმა მოისმინეს კოლეჯის ადმინისტრაციის ხედვა პროფესიული პროგრამების განვითარებასთან და განხორციელებასთან დაკავშირებით. პროგრამებისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტაციას, მექანიზმებს, მათი გამოყენების დამადასტურებელ საბუთებსა და კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტაციას. გადამოწმდა ადამიანური რესურსის პირადი საქმეები. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში გადაამოწმა კოლეჯის ვებგვერდი, კატალოგი.

ვიზიტის პროცესში ხარვეზები არ დაფიქსირებულა. განაცხადის ფორმაში დაწესებულებას მეტწილად ჰქონდა მეორე სტანდარტი შეფასებული და ასევე ექსპერტთა მიერ შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

საბჭოს წარმოუდგინა დაწესებულების სასწავლო გარემოების შესაბამისი მასალები.

აღნიშნა, რომ რიგი აღჭურვილობა შესყიდვის პროცესშია, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, ამდენად 2.2. კომპონენტი ექსპერტების მიერ შეფასდა მეტწილი შესაბამისობით. ექსპერტთა მიერ გაიცა უმეტესწილად შესაბამისობის ანალოგიური რეკომენდაციები, რაც წინა საკითხის დროს გაჟღერდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ, ამდენად განმავითარებელი რეკომენდაციებიდან აქცენტი გააკეთა განსხვავებულ რეკომენდაციებზე.

შესაბამისობის რეკომენდაციები:

ინდიკატორი 2.2.1. (1)- სწავლის დაწყებამდე დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარის მობილიზება. ასევე, რეკომენდირებულია დაწესებულებამ იზრუნოს პროგრამის შემუშავებაში ჩართული პერსონალის შესაძლებლობების გაძლიერებაზე.

ინდიკატორი 2.2.1. (7)- რენტაბელობის ზღვრული რაოდენობა გათვლილია პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალურ რაოდენობაზე - 30 სტუდენტისთვის. დაწესებულებამ რენტაბელობის ზღვარი უნდა განსაზღვროს პროფესიულ სტუდენტთა მინიმალურ რაოდენობის გათვალისწინებით.

განვითარების რეკომენდაცია:

ინდიკატორი 2.1.1. (1)-საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშაოს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების ერთიანი კრიტერიუმები, რომელიც მეტად გამყარებული იქნება გამოკითხვებით, კვლევებით და სხვა მტკიცებულებებით.

ინდიკატორი 2.2.1. (3) -სასურველია დირექტორის N19 ბრძანებით (24.02.2021) დამტკიცებულ შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციაში პუნქტებად გამოიყოს საკერავ მანქანებთან და ტენ-თბურ დანადგარებთან უსაფრთხოდ მუშაობის წესები.

ინდიკატორი 2.4.1. (1) - სასწავლო გეგმაში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა. შესაბამისობაში მოვიდეს ცენტრის დირექტორის 2021 წლის 20 თებერვლის N140303 ბრძანებასთან და ამოღებულ იქნეს „დაშვების წინაპირობის“ გრაფა.

ინდიკატორი 2.4.1. (6) - სასურველია დირექტორის N19 ბრძანებით (24.02.2021) დამტკიცებულ შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

- ტერმინი „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი“ შეიცვალოს ტერმინით - სამკერვალო წარმოების სპეციალისტი;
- ტერმინი „მოსწავლე“ შეიცვალოს ტერმინით - პროფესიული სტუდენტი;
- ტერმინი „მასწავლებელი“ შეიცვალოს ტერმინით - პროფესიული განათლების მასწავლებელი.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ კოლეჯი ეთანხმება ექსპერტთა რეკომენდაციებს და განმავითარებელი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოადგინა ინფორმაცია არგუმენტირებულ პოზიციაში.

აღნიშნა, რომ კოლეჯი თანამშრომლობს პრაქტიკის 4 ობიექტთან და აქედან ერთთან, სააქციო საზოგადოება სამკერვალო ფაბრიკა „იმერთან“ მოხდა გასაუბრება. ეს ობიექტი საკმაოდ დიდი ფაბრიკაა და მრავალრიცხოვანი დასაქმებული თანამშრომელი ჰყავთ. გამოთქვას მინიმუმ 30 კურსდამთავრებულის დასაქმების სურვილი და შესაძლებლობა.

საბჭოს წარმოუდგინა დაწესებულების სასწავლო გარემოების შესაბამისი მასალები. აღიშნა, რომ C გარემოსთვის მოწყობილი გარემო მოწყობილი პროგრამის შესაბამისად, ჭერის სიმაღლის და ფართობის კუთხით. ინვენტარის შესყიდვა დაწყებულია და შესაბამისობის გეგმის მიხედვით სასწავლო პროცესის დაწყებამდე დასრულდება.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დასკვნაში კვალიფიკაციის ველში ტექნიკური უზუსტობაა დაფიქსირებული და უნდა იყოს საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია, ნაცვლად მითითებული საშუალო პროფესიული კვალიფიკაციისა, ვინაიდან პროგრამის დონეა მესამე.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა კოლეჯის წარმომადგენლებს.

კოლეჯის წარმომადგენელმა დარეჯან ლოსაბერიძემ აღნიშნა, რომ კოლეჯი ეთანხმება ექსპერტთა რეკომენდაციებს და განმავითარებელი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოადგინა ინფორმაცია არგუმენტირებულ პოზიციაში. უკვე განაახლეს შინაგანაწესი, რომელშიც დაემატა მუხლი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის ცნობის წარმოდგენის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტებინა კოლეჯის ხელმძღვანელობას, რა ვადებში დასრულდებოდა შესყიდვები და აღჭურვილობის სრულად უზრუნველყოფა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესყიდვების პროცესი მიმდინარეობს, და ითხოვეს, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს 2021 წლის 15 სექტემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი „იბერიასთვის“ „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და გადაწყვეტილების 12 ივნისიდან ძალაში შესვლის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

სსიპ კოლეჯი „იბერიას“ (ს/კ:212682051) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 6).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 12 ივნისი.

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად იყო შეფასებული ექსპერტების მიერ და დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტი: 2.2. მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2021 წლის 15 სექტემბრიდან.

7. სსიპ კოლეჯი „იბერიასთვის“ „ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე ავტორიზაციის შესახებ საკითხი წარმოადგინეს მანანა მოისწრაფიშვილმა. მუხრან გაფრინდაშვილი საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა.

სსიპ - კოლეჯი „იბერიის“ მიერ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილ იქნა განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხის მხატვრული დამუშავება“ დამატების შესახებ. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 17 თებერვლის 245695 ბრძანებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010

წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

აღნიშნა, რომ წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები შესრულებულია.

აღნიშნა, რომ ხარვეზები არ დაფიქსირებულა. აღნიშნა, რომ რიგი რეკომენდაციები უკვე გაჟღერდა ამ დაწესებულების წინა საკითხების განხილვის დროს და აღარ გაიმეორებდა.

განმავითარებელი რეკომენდაციები:

2.2.1.(1)

მიზანშეწონილია პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილ C გარემოში ცალკე სივრცე იქნას გამოყოფილი სამღებრო სამუშაოებისათვის.

აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების მისაღწევად არსებული მატერიალური რესურსი საკმარისი იყო, თუმცა კოლეჯს მეტწილი შეფასება ჰქონდა შეფასებული ეს კომპონენტი, ვინაიდან პროგრამის განვითარების მიზნით ამატებს უახლეს აპარატურას ამდენად, ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების შეფასებას და 2.2. კომპონენტში დაფიქსირდა მეტწილი შესაბამისობა.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მონიტორინგს აზრი არ აქვს, სწავლის შედეგების მიღწევა როგორც აღინიშნა უკვე შესაძლებელია არსებული რესურსების გათვალისწინებით, სტანდარტი სრულად დაკმაყოფილებულია თუ ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნებს პასუხობს პროგრამით განსაზღვრული მატერიალური რესურსი.

საბჭოს წევრები დაეთანხმნენ მის მოსაზრებას და საბჭოს მიერ 2.2. კომპონენტის მეტწილი შესაბამისობის შეფასება შეიცვალა სრული შესაბამისობით.

საბჭომ მიმართა ორგანიზაციას, დანადგარების განახლებასთან დაკავშირებით შესყიდვების დასრულების შემდეგ ეცნობოს ცენტრს და საბჭოს მიეწოდოს ინფორმაცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამაზე 20 სტუდენტის რაოდენობაა მოთხოვნილი. პროგრამისთვის განკუთვნილი A და B გარემოები 15-15 ადგილიანია, თუმცა C გარემოში ერთდროულად მხოლოდ 10 სტუდენტისთვისაა ადგილი, ამიტომ რაოდენობის გაანგარიშებისას ამათ იქონია გავლენა და 20 ადგილია მოთხოვნილი. გაცნობითი პრაქტიკისთვის კოლეჯს ჰყავს პარტნიორი, სადაც ასევე შესაძლებელია 20 სტუდენტის მიღება.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ხის მხატვრული დამუშავება“ აქვს 2 არჩევითი მოდული: „ხის კარ-ფანჯრებისა და კიბის დამზადება“ 7 კრედიტის მოცულობით და „იატაკის მოწყობა“ 4 კრედიტის მოცულობით, ჯამში 11 კრედიტი (89 კრედიტიანი პროგრამიდან დაახლოებით 12 % მოცულობით), რომლებიც ლოგიკურ კავშირშია როგორც მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ისე, პროფესიული სტუდენტის შესაძლო მომავალ საქმიანობასთანაც.

სულ პროგრამას განახორციელებს 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის პროფესიულ დარგობრივ მოდულებს განახორციელებს 3 პროფესიული მასწავლებელი, რომელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების რაოდენობის მიხედვით საკმარისია. ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიულ მასწავლებელთა კვალიფიკაცია და

სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას.

საბჭოს წარმოდგინა დაწესებულების სასწავლო გარემოების შესაბამისი მასალები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი „იბერიასთვის“ „ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და გადაწყვეტილების 12 ივნისიდან ძალაში შესვლის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

სსიპ კოლეჯ „იბერიას“ (ს/კ:212682051) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 7).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 12 ივნისი.

8. სსიპ კოლეჯ „იბერიასთვის“ „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე ავტორიზაციის შესახებ საკითხი წარმოადგინა მანანა მოისწრაფიშვილმა. დარგის ექსპერტი ნინო მოწყობილი არ იმყოფებოდა საბჭოს სხდომაზე.

სსიპ - კოლეჯ „იბერიის“ მიერ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილ იქნა განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "სასტუმრო მომსახურება" დამატების შესახებ. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 17 თებერვლის N 245693 ბრძანებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. 2021 წლის 31 მარტს „სასტუმრო მომსახურების“ პროგრამის განხილვის მიზნით ჩატარდა დისტანციური ვიზიტი, კომუნიკაციის თანამედროვე

ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს, მატერიალური რესურსების კოორდინატორს, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერს, ბიბლიოთეკარს.

ექსპერტების მიერ განხორციელდა დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიმართებაში კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ბიბლიოთეკის ონლაინ დათვალიერება. განხორციელდა ასევე საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან გასაუბრება.

დასკვნაში ხარვეზები არ დაფიქსირებულა დაფიქსირდა ერთი შესაბამისობის რეკომენდაცია:

2.2.1. (1) - დაწესებულებამ საჭიროა სწავლის დაწყებამდე შეიძინოს აღჭურვილობის ჩამონათვალში გაწერილი მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ და სასტუმრო მომსახურების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი, რომელიც წარმოდგენილი აქვს გაუმჯობესების გეგმით.

გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები, რომლებიც უკვე გაჟღერდა საბჭოს სხდომაზე ამ დაწესებულების წინა საკითხების განხილვის დროს.

მანანა მოისწრაფიშვილმა აღნიშნა, დასკვნაში კრედიტების მოცულობა არასწორადაა მითითებული. უნდა იყოს ინტეგრირებული სასწავლო გეგმისთვის ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 140 კრედიტი; არაინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 80 კრედიტი, ხოლო ინტეგრირებული სასწავლო გეგმისთვის არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 170 კრედიტი და არაინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 110 კრედიტი.

აქვე აღნიშნა, რომ დასკვნის პროექტში დაფიქსირებული იყო რეკომენდაცია, რომ სასწავლო პროცესის დაწყებამდე უნდა დასრულებულიყო ინტეგრირებული მოდულებისთვის მასწავლებლების შერჩევა. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოციციაში წარმოადგინა მტკიცებულება მასწავლებელთა შერჩევის თაობაზე, კერძოდ, შეირჩა 10 განმახორციელებელი პირი, ამდენად ეს რეკომენდაცია დასკვნაში დაფიქსირებული აღარაა ექსპერტების მიერ, თუმცა მათ უნდა ჩაუტარდეთ შესაბამისი ტრენინგები.

კოლეჯს აქვს მოქმედი სასტუმრო ჩვეულებრივი მიმღებით, რეალურად ფუნქციონირებს უფრო მეტად როგორც სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი, თუმცა ამავდროულად სასწავლო პროცესიც წარმართება აღნიშნულ პროგრამაზე. საბჭოს წარმოდგინა სასტუმროს შესაბამისი ფოტომასალა. საბჭო დაინტერესდა უკვე ფუნქციონირებს თუ არა სასტუმრო, რადგანაც ფოტოებზე წარმოდგენილი ასახული სიტუაცია არ მეტყველებს სასტუმროს სტანდარტებით ფუნქციონირებაზე და ეჭვქვეშ დგება სწავლის შედეგებზე სწორად გასვლის საკითხი. საბჭომ ამ მოსაზრებაზე მიიღო დაწესებულების პასუხი, რომ ჯერ არ ფუნქციონირებენ, როგორც სასტუმრო და სტანდარტები სრულად დაკმაყოფილდება სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე, როცა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აღჭურვილობებით მოხდება სრულყოფილად აღჭურვა. ამ დროისთვის დააკმაყოფილებენ საერთაშორისო მიღებულ სტანდარტებს სასტუმრო მომსახურებაში. აქვე აღნიშნა, რომ სწავლის შედეგებზე სწორად გასასვლელად პროგრამის ხელმძღვანელად და პროფესიულ მასწავლებლებად ჩართულია მოქმედი სასტუმროს თანამშრომლები, რომლებიც არიან ახალგაზრდა მოტივირებული პირები, სიახლეებზე ორიენტირებული. შენიშნა, რომ ფოტოებზე წარმოდგენილი გარემოები ესთეტიკური თვალსაზრისით მისაღები არაა და ამას იაზრებენ, ამდენად სასწავლო პროცესის დროს მატერიალური რესურსი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწესრიგდება.

პროცესი წარიმართება თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით და მონიტორინგის დროს სრულიად შეცვლილი გარემო იქნება.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტებინა კოლეჯის ხელმძღვანელობას, რა ვადებში დასრულდებოდა შესყიდვები და აღჭურვილობის სრულად უზრუნველყოფა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესყიდვების პროცესი მიმდინარეობს, და ითხოვეს, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს 2021 წლის 15 სექტემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „იბერიასთვის“ „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და გადაწყვეტილების 12 ივნისიდან ძალაში შესვლის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

სსიპ კოლეჯ „იბერია“ (ს/კ:212682051) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (დანართი 8)

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 12 ივნისი.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად იყო შეფასებული ექსპერტების მიერ და დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტი: 2.2. მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2021 წლის 15 სექტემბრიდან მონიტორინგის განხორციელების ფორმა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

9. სსიპ კოლეჯ „იბერიასთვის“ „სამკერვალო წარმოების“ (ქ. ბაღდათი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე ავტორიზაციის შესახებ საკითხი წარმოადგინეს ნაზო წიბლიაშვილმა და მანანა კობალაძემ.

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 7 აპრილის №333969 ბრძანებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს საფუძველზე დაევალია დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება. ექსპერტთა მიერ დამატებით იქნა გამოთხოვილი პროგრამისთვის განკუთვნილი მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და პროფესიულ მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქ. ბაღდათის მისამართი სსიპ- კოლეჯ „იბერიას“ განუყოფელი ნაწილია.

დაწესებულების მიერ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტი შეფასებულია „მეტწილი შესაბამისობით“ და 2.2.1(1) კომპონენტის გაუმჯობესების მიზნით წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით იდენტიფიცირებულია შეუსაბამობა, განსაზღვრულია კომპონენტების შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა, სავარაუდო დაწყება-დასრულების თარიღი, პასუხისმგებელი პირები, შემსრულებლები, შესრულების ინდიკატორი, დადასტურების წყარო. 2021 წ. 21 აპრილს განხორციელდა დისტანციური ჩართვა დაწესებულებასთან. განრიგის დაცვით მოხდა გასაუბრება, დირექტორთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, სასწავლო პროცესისა და სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ბიბლიოთეკართან. ჩართვის დროს განხილული იყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. დათვალიერებული და გადამოწმებული იქნა სასწავლო გარემოები, მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკა, კოლეჯის ინფრასტრუქტურა და პრაქტიკის ბაზები. შემოწმებული დოკუმენტების და განხორციელებული ჩართვის საფუძველზე აღნიშნული პროგრამის ავტორიზაციის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი ექსპერტთა მიერ შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება შეაფასეს ექსპერტებმა და შესრულებულია რეკომენდაციები.

ხარვეზები არ გამოვლენილა.

რიგი განვითარების რეკომენდაციები დაწესებულებამ გაითვალისწინა და წარმოადგინა ინფორმაცია / მტკიცებულებები არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად:

2.2.1(3). პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია გაიცა რეკომენდაცია პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩაუტარდეთ დამატებითი ტრენინგები შეფასების და მტკიცებულებების შეგროვების კომპეტენციის გამოსამუშავებლად.

2.2.1(7).პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კოლეჯს განსაზღვრული აქვს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, სადაც გაწერილია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. არ ემთხვევა ერთმანეთს შემოსავლები და ხარჯები. ასევე არაა განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარი, რენტაბელობის ზღვრის გრაფაში დაწესებულებას გაწერილი აქვს ხარჯის თანხა. რეკომენდაცია გაიცა დაწესებულებამ გადახედოს საპროგნოზო ბიუჯეტს და სწორად გაწეროს დოკუმენტი.

თავმჯდომარე დაინტერესდა მატერიალური რესურსის რა ნაწილი იყო შესასყიდი.

დარგის ექსპერტმა მანანა კობალაძემ აღნიშნა, რომ საქარგავი მანქანა და ერთი უთო იყო მხოლოდ ადგილზე. შესასყიდი იყო 15 უნივერსალური საკერავი მანქანა და სპეც მანქანები, რომელთა შესყიდვაზე ტენდერის გამარჯვებული იყო გამოვლენილი და გასაუბრებისას

დადგინდა, რომ მიწოდება დასრულდებოდა უახლოეს მომავალში, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაზე გამოყოფილ დროზე ადრე.

კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 95 % აღჭურვილობის უკვე ადგილზეა, მოწოდება დარჩა 3 სპეც მანქანის, რომელიც სავარაუდოდ 25 ივლისს იქნება ადგილზე მოწოდებული, სხვა დანარჩენი მანქანები ადგილზეა განთავსებული და დამონტაჟებული.

გაიცა განვითარების კიდევ რამდენიმე რეკომენდაცია:

2.1.1(8). პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დაწესებულებას არა აქვს წარმოდგენილი 2021 წლის 20 თებერვალს ბრძ. №140303 დამტკიცებული ჩარჩო-დოკუმენტის დანართი 2- „სარეკომენდაციო მიდგომები დისტანციური სწავლებისა და შეფასების შესაძლებლობებთან დაკავშირებით“. გაიცა რეკომენდაცია დანართი 2-ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით დამტკიცების შესახებ.

2.2.1(1). პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

დაწესებულებას 2021 წლის 24 თებერვალს გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმები პრაქტიკული კომპონენტის და შემდგომი დასაქმების უზრუნველსაყოფად ინდივიდუალურ 5 მეწარმესთან.

დისტანციური ვიზიტის დროს განხორციელდა კოლეჯის პარტნიორი კომპანიების ობიექტების დათვალიერება. ექსპერტებმა მოინახულეს ორი ინდ მეწარმის, სამკერვალო საყოფაცხოვრებო ობიექტის ბაზა და სამკერვალო სახლი. დათვალიერების შედეგად ექსპერტთა შეფასებით პრაქტიკის ობიექტების გარემო - პირობები, რომლის ფარგლებშიც უნდა განხორციელდეს მოდულის „გაცნობითი პრაქტიკის-სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა“ მიზნობრივი ექსკურსია და მოდულის „საწარმოო პრაქტიკის - სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა“ სწავლის შედეგების მიღწევა არ შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს. ობიექტებზე პროფესიულ სტუდენტთა შეყვანა არაა რეკომენდირებული, რადგან ერთ ობიექტში არ იყო დაცული ჰიგიენური-სანიტარული ნორმები, კერძოდ შენობაში იყო ბეტონის იატაკი, შეიმჩნეოდა ჭერიდან ჩამონადენი წყალი და გაჩენილი იყო ობი, ერთ ნაწილში ეყარა საყოფაცხოვრებო ნარჩენი, არ იყო დაცული უსფრთხოების ნორმებიც, საუთოო და საგამომჭრელო მაგიდასთან იყო ღია გაყვანილობა და მოძველებული სიცოცხლისთვის სახიფთო უთო, არც ერთ შენობაში არ იყო ცეხლმაქრი, წარმოდგენილი იყო რუსული წარმოების თითო დასახელების საკერავი მანქანა "чайка 132M" და „подольск“, რომლებიც შეუსაბამოა თანამედროვე ტექნიკურ აღჭურვილობასთან. კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დანარჩენი სამი პრაქტიკის ობიექტიც მსგავსი ტიპის იყო, აქედან გამომდინარე აღარ განხორციელდა ჩართვა დანარჩენ სამ ობიექტთან, რეკომენდაცია მიეცა კოლეჯს მოდული „საწარმოო პრაქტიკა - სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა“ განხორციელოს მათ მფლობელობაში არსებული თანამედროვე, მატერიალური ტექნიკური აღჭურვილობით მოწყობილ C გარემოში, რაც ექსპერტთა შეფასებით სავსებით შესაძლებელია.

გამომდინარე დაწესებულების მიერ შერჩეული პრაქტიკის ობიექტებიდან, გაიცა რეკომენდაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისას, დაწესებულებამ გაითვალისწინოს პრაქტიკის ობიექტის გარემო პირობები და შესაძლებლობები განსახორციელებელი მოდულის სწავლის შედეგების მისაღწევად.

ვინაიდან ექსპერტების მიერ დაწუნებული იყო კოლეჯის პრაქტიკის ბაზები, მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა-სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა/0712001/“, სწავლის შედეგის მისაღწევად გაიცა რეკომენდაცია მოდულში გაჩნდეს დამხმარე ჩანაწერი მოდულის განხორციელების შესახებ, კერძოდ „მოდულის ფარგლებში დაგეგმილია სასწავლო ვიზიტები საწარმოში (სამკერვალო ფაბრიკა), სადაც პროფესიული სტუდენტები გაეცნობიან მომავალი პროფესიის სამუშაო გარემოს და მის სპეციფიკას, ორგანიზაციულ სტრუქტურას, შინაგანაწესს და დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობას“, ტექნოლოგიური ოპერაციების თანმიმდევრობას და ა.შ..

თავმჯდომარე დაინტერესდა პროგრამის მიზანშეწონილობის საკითხით, თუ პროგრამისთვის შესაბამისი პარტნიორი ორგანიზაციის მოძიებაც ვერ მოხერხდა, სად დასაქმდებიან კურსდამთავრებულები.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში პროგრამის საჭიროება დასაბუთებული იყო გარემოებით, რომ ვითარდება სასტუმრო ინდუსტრია და დასაქმების პერსპექტივები, კოლეჯს ჰქონდა მსგავსი საგნობრივი პროგრამის გამოცდილება და დასაქმების კარგი მაჩვენებელი, ასევე გარემოება, რომ კურსდამთავრებულების მეტი წილი თვითდასაქმებულები არიან. ბაღდათის რაიონის კვლევა იყო ჩატარებული, რომლის ანალიზის საფუძველზე პროგრამა ხელს შეუწყობს პირთა თვითდასაქმებას და რეგიონში დამაგრებას.

თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენ პროფესიულ სტუდენტს ითხოვს კოლეჯი პროგრამაზე, რაზეც ნაზო წიბლიაშვილმა უპასუხა, რომ სურთ 30 სტუდენტის მიღება, ცვლების გათვალისწინებით თითოეულ ჯგუფში 15-15 სტუდენტი.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ამ რაოდენობისთვის ძალიან არადამაჯერებელია წარმოდგენილი დასაბუთება.

მარიამ ჩაგელიშვილი დაინტერესდა, წარმოდგენილ დოკუმენტში როგორაა გაწერილი პროგრამის საჭიროების დასაბუთება, თუ ის ინფორმაციაა გაწერილი მხოლოდ რაც წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ. ნაზო წიბლიაშვილმა აღნიშნა, რომ მისი ზეპირსიტყვიერი განმარტება ეყრდნობა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა კოლეჯი სოფლის მეურნეობების მიმართულებით რატომ არ აკეთებს აქცენტს ბაღდათში. სად უნდა დასაქმდეს სამკერვალო წარმოების კურსდამთავრებულები, როცა წარმოდგენილ პარტნიორ ინდ მეწარმეებთან ასეთი მდგომარეობაა. აღნიშნა, რომ მეტი კვლევა უნდა იყოს ჩატარებული და გადაწყვეტილებები მეტად დასაბუთებული. ცენტრმა ექსპერტებს მისცეს რეკომენდაცია პროგრამის საჭიროების დასაბუთებას მეტად მიექცეს ყურადღება, რომ იყოს უფრო მყარი და არგუმენტირებული. მარიამ ჩაგელიშვილმა აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით, საბჭომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საკითხს. შენიშნა, რომ ხშირია აპელირება, რომ ანალოგიური შინაარსის მსგავსი პროგრამა ოდესღაც ხორციელდებოდა, ეს ვერ იქნება საკმარისი არგუმენტაცია, რამდენადაც ცვალებად გარემოში ვცხოვრობთ, რა შესაძლოა ერთ დროს აქტუალური პროგრამა ეხლა არ იყოს მოთხოვნადი და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული.

დარეჯან ლოსაბერიძემ აღნიშნა, რომ ეს პროგრამა ნამდვილად აძლევს პირს თვითდასაქმების საშუალებას. აღნიშნა, რომ კოლეჯმა იხელმძღვანელა იმერეთის რეგიონი 2018-2020 წლის, არა კონკრეტულად ბაღდათის, თუმცა იმერეთის რეგიონში მოთხოვნადი პროფესიების ნუსხით და მზარდი მოთხოვნაა რეგიონში ტექსტილის დამუშავებაზე. ქუთაისში ნამდვილად ბევრი საწარმოა, სადაც შეიძლება დასაქმდნენ ეს პირები. ბაღდათი ქუთაისიდან შორს არ მდებარეობს და დასაქმების შემთხვევაში პირის ტრანსპორტირება პრობლემას არ წარმოადგენს. ხშირ

შემთხვევაში დამსაქმებელი ორგანიზაცია თვითონ უწევს ტრანსპორტირებას ორგანიზებას მიმდებარე სოფლებიდან, ამდენად ეს პროგრამა რეგიონის ქალთა კონტიგენტის დასაქმების ხელშეწყობი იქნება.

პრაქტიკის ობიექტების ფონზე, კოლეჯს სურს მეტად განვითარდეს ადგილობრივი ინდივიდუალური საწარმოებიც. პროგრამის ერთი მასწავლებელი არის ქუთაისიდან, მაგრამ ახლოსაა მანძილით და დაახლოებით ნახევარ საათში იქნება ადგილზე. მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს. ქუთაისიდან პროგრამის განმახორციელებელი პირის სიარულის პრაქტიკა აქვთ თმის მომსახურების პროგრამაზეც.

2.2.1(3). პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

გაიცა რეკომენდაცია პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩაუტარდეთ დამატებითი ტრენინგები შეფასების და მტკიცებულებების შეგროვების კომპეტენციის გამოსამუშავებლად.

2.2.1(4). საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია მხოლოდ საგნობრივი პროგრამების განხორციელების გამოცდილება. გამომდინარე იქედან, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი უნდა უზრუნველყოფდეს პროფესიული სტუდენტებისათვის და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის სწავლების სპეციფიკის გაცნობას, მოდულების განმახორციელებლების კონსულტირებას კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში, მონაწილეობდეს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია-ვერიფიკაციაში, გაიცა რეკომენდაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს ჩაუტარდეს ინტენსიური ტრენინგების ციკლი/გადამზადება, რათა შეძლოს მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულება.

საბჭოს წარმოდგინა დაწესებულების სასწავლო გარემოების შესაბამისი მასალები.

შორენა ჯაფარიძემ შეაჯამა, რომ მხოლოდ 2.2 კომპონენტთან ფიქსირდება მეტწილი შესაბამისობა და კოლეჯს წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა. აღნიშულს დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტებინა კოლეჯის ხელმძღვანელობას, რა ვადებში დასრულდებოდა შესყიდვები და აღჭურვილობის სრულად უზრუნველყოფა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესყიდვების პროცესი მიმდინარეობს, და ითხოვეს, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს 2021 წლის 15 სექტემბრიდან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი „იბერიასთვის“ „სამკერვალო წარმოების“ (ქ. ბაღდათი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

სსიპ კოლეჯ „იბერიას“ (ს/კ:212682051) მიენიჭოს უფლება დამატებით განხორციელოს დანართით განსაზღვრული „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ქ. ბაღდათი) (დანართი 9).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად იყო შეფასებული ექსპერტების მიერ და დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტი: 2.2. მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2021 წლის 15 სექტემბრიდან

10. სსიპ კოლეჯ „იბერიასთვის“ „თმის მომსახურების“ (ქ. ბაღდათი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე ავტორიზაციის შესახებ საკითხი წარმოადგინეს ნაზო წიბლიაშვილმა და ნატალია დარჩინიანმა.

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 7 აპრილის №333966 ბრძანებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს სსიპ კოლეჯ „იბერიას“ წერილის საფუძველზე დაევალა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქ. ბაღდათის მისამართი სსიპ - კოლეჯ „იბერიას“ განუყოფელი ნაწილია.

დაწესებულების მიერ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტი შეფასებულია „მეტწილი შესაბამისობით“ და 2.2.1(1) კომპონენტის გაუმჯობესების მიზნით წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით იდენტიფიცირებულია შეუსაბამობა, განსაზღვრულია კომპონენტების შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა, სავარაუდო დაწყება-დასრულების თარიღი, პასუხისმგებელი პირები, შემსრულებლები, შესრულების ინდიკატორი, დადასტურების წყარო. 2021 წ. 21 აპრილს განხორციელდა დისტანციური ჩართვა დაწესებულებასთან. განრიგის დაცვით მოხდა გასაუბრება, დირექტორთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, სასწავლო პროცესისა და სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ბიბლიოთეკართან. ჩართვის დროს განხილული იყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. დათვალიერებული და გადამოწმებული იქნა სასწავლო გარემოები, მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკა, კოლეჯის ინფრასტრუქტურა და პრაქტიკის ბაზები. შემოწმებული დოკუმენტების და განხორციელებული ჩართვის საფუძველზე აღნიშნული პროგრამის ავტორიზაციის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი ექსპერტთა მიერ შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასეს ექსპერტებმა და შესრულებულია რეკომენდაციები.

ხარვეზები არ გამოვლენილა.

რიგი განვითარების რეკომენდაციები დაწესებულებამ გაითვალისწინა და წარმოადგინა ინფორმაცია. მტკიცებულებები არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად:

2.2.1(3). პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია გაიცა რეკომენდაცია პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩაუტარდეთ დამატებითი ტრენინგები შეფასების და მტკიცებულებების შეგროვების კომპეტენციის გამოსამუშავებლად.

ექსპერტმა დაასახელა პროგრამის მონაცემები. აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელების საჭიროების დასაბუთება ეყრდნობოდა კოლეჯის მსგავსი საგნობრივი პროგრამის განხორციელების გამოცდილებას, კურსდამთავრებულთა დასაქმების 65%-იან მაჩვენებელს. პრაქტიკის ობიექტებიდან 2 არის კოლეჯის კურსდამთავრებულების. ბაღდათში დაწესებულებას გაფორმებული აქვს სულ 4 პრაქტიკის ობიექტთან. გასაუბრება განხორციელდა ყველა პრაქტიკის ობიექტებთან გასაუბრება და აღნიშნავენ, რომ დენადობა ხშირია დარგში და საჭიროებენ კადრებს, ასევე აპირებენ გაფართოებას და საჭიროა დამატებითი კადრი.

აღნიშნა, რომ კოლეჯს მატერიალური რესურსების უმეტესი ნაწილი ადგილზე ჰქონდა. აღნიშნული შესყიდვებიდან მოსაწოდებელი დარჩა მხოლოდ თმის მანეკენები, ასევე, დაწესებულებისთვის მისაწოდებელია ფენი პროფესიონალური.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტებინა კოლეჯის ხელმძღვანელობას, რა ვადებში დასრულდებოდა შესყიდვები და აღჭურვილობის სრულად უზრუნველყოფა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესყიდვების პროცესი მიმდინარეობს, და ითხოვეს, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს 2021 წლის 15 სექტემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი „იბერიასთვის“ „თმის მომსახურების“ (ქ. ბაღდათი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

სსიპ კოლეჯი „იბერიას“ (ს/კ:212682051) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ქ. ბაღდათი) **(დანართი 10)**.

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად იყო შეფასებული ექსპერტების მიერ და დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტი: 2.2. მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2021 წლის 15 სექტემბრიდან.

11. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „სასმელების წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე ავტორიზაციის შესახებ საკითხი წარმოადგინეს ნანა შარაბიძემ და თეა მახათელაშვილმა.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №345261(12.04.2021წ) საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასმელების წარმოება“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების განხორციელება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ჯგუფმა შეისწავლა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2021 წლის 15 მარტს წარმოდგენილი განაცხადი თანდართული დოკუმენტებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასმელების წარმოება“ დამატების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა დოკუმენტაციის წინასწარი შესწავლის შემდგომ, მოითხოვა გარკვეული დოკუმენტების დამატებით გადმოგზავნა, რაც განხორციელდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩართულობით. დაწესებულებამ დამატებით დოკუმენტებთან ერთად, ავტორიზაციის დებულებით განსაზღვრულ ვადაში, წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასმელების წარმოება“ სრული ახალი პაკეტი, რომელშიც პარტნიორი ორგანიზაციების რიცხვი შემცირდა 4 - ამდე და სწავლის შედეგების მხოლოდ 30% მიიღწევა პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე, შესაბამისად პროგრამის განხორციელების ფორმა შეიცვალა და გახდა მოდულური.

22 აპრილს განხორციელდა დისტანციური გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციასთან, ხარისხის მენეჯერთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულების განმახორციელებელ პირებთან. ასევე, დისტანციურად განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „სასმელების წარმოება“ განკუთვნილი სასწავლო სივრცის გადამოწმება და მასში განთავსებული მატერიალური რესურსების, ასევე საბიბლიოთეკო სივრცის და საგანმანათლებლო რესურსების დათვალიერება და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ ერთი ორგანიზაციის დათვალიერება და წარმომადგენლებთან გასაუბრება.

ვინაიდან აღნიშნულ დღეს ვერ მოხერხდა პრაქტიკული კომპონენტების განმახორციელებელი ორგანიზაციების სრულყოფილად დათვალიერება, ექსპერტთა ჯგუფის, ცენტრის წარმომადგენლის და დაწესებულების ადმინისტრაციის შეთანხმებით, დაინიშნა დამატებითი ჩართვა, რომელიც განხორციელდა 26 აპრილს და რომლის დროსაც მოხდა პრაქტიკული კომპონენტების განმახორციელებელი ორგანიზაციების (დამატებით კიდევ 2 ორგანიზაციის) მატერიალური ბაზის დათვალიერება და წარმომადგენლებთან გასაუბრება, შესაბამისად,

მხოლოდ ერთ პრაქტიკის ობიექტთან ვერ მოხერხდა ჩართვა, რადგან კოვიდი დაუდასტურდა წარმომადგენელს.

დაწესებულების მიერ წინა ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციები სრულად იქნა გათვალისწინებული. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა და დადასტურდა აღნიშნული საკითხი.

ხარვეზები არ გამოვლენილა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდაციები არ გაცემულა. დაფიქსირდა მე-2 სტანდარტის სრული შესაბამისობა. კოლეჯს სურს 20 სტუდენტის მიღება (თითო ჯგუფში 10 პირი), რისი შესაძლებლობაც ექსპერტებმა დაადასტურეს.

კოლეჯს აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს A ტიპის სასწავლო გარემო 15 პროფესიული სტუდენტისათვის; ხოლო B ტიპის სასწავლო გარემოსთვის გამოყოფილია 2 აუდიტორია: N208 და N213. აღნიშნული აუდიტორიების ფართიდან გამომდინარე, თითოეულში შესაძლებელია ერთდროულად 15 პროფესიული სტუდენტის განთავსება.

პროგრამაზე პროფესიული მასწავლებლების რაოდენობაა 30 პროფესიული მასწავლებელი. მათ შორის, ზოგადი და საერთო პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიულ-დარგობრივი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი, ქართული ენის მოდულის განხორციელებაში 1 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა რადგან შედეგების 30% გატანილია, თუ გაესაუბრნენ პრაქტიკის ობიექტებში სასწავლო პროცესის წარმმართველ პირებს.

დარგის ექსპერტმა თეა მახათელაშვილმა აღნიშნა, რომ სიღრმისეული გასაუბრება მოხდა პრაქტიკის ობიექტების პასუხისმგებელ პირებთან, რომელიც ჩართული იქნებიან პროგრამის განხორციელებაში და დადასტურდა მათი კვალიფიციურობა. ერთ-ერთი პირი კოლეჯის მეღვინეობის პროგრამის კურსდამთავრებულია, 2 წელია დასაქმებულია, ასევე მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება აქვს დისტილერიაში, აქვს ასევე კარგი თეორიული ცოდნა, არის საკმაოდ მჭერმეტყველი ადამიანი და შეძლებს პროგრამის სრულყოფილად განხორციელებას. ასევე იმედისმომცემი იყო ნატახტრის ქარხანაში წარმომადგენელთან გასაუბრება.

საბჭოს წარმომადგენელმა დაწესებულების სასწავლო გარემოების შესაბამისი მასალები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „სასმელების წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯს (ს/კ:236098851) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სასმელების წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 11).

12. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე ავტორიზაციის შესახებ საკითხი წარმოადგინეს ნანა შარაბიძემ და ხათუნა წერეთელმა.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №345251(12.04.2021წ) საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების განხორციელება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ჯგუფმა შეისწავლა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2021 წლის 15 მარტს წარმოდგენილი განაცხადი თანდართული დოკუმენტებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ დამატების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა დოკუმენტაციის წინასწარი შესწავლის შემდგომ, მოითხოვა გარკვეული დოკუმენტების დამატებით გადმოგზავნა, რაც განხორციელდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩართულობით და ასევე ცენტრის ჩართულობით დაიგეგმა და 22 აპრილს განხორციელდა დისტანციური გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციასთან, ხარისხის მენეჯერთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულების განმახორციელებელ პირებთან. ასევე, დისტანციურად განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „აღმზრდელი“ განკუთვნილი სასწავლო სივრცის გადამოწმება და მასში განთავსებული მატერიალური რესურსების, ასევე საბიბლიოთეკო სივრცის და საგანმანათლებლო რესურსების დათვალიერება.

ხარვეზები არ გამოვლენილა.

გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომელიც კოლეჯმა გაითვალისწინა და წარმოადგინა ინფორმაცია არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად:

2.1.1.6.

რეკომენდაცია: კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 15 მარტის N04-31 ბრძანებით დამტკიცებულ პროგრამაში „აღმზრდელი“ მიეთითოს ცვლილების შესახებ ინფორმაცია, დირექტორის 2021 წლის 16 აპრილის N04-51 ბრძანების შესაბამისად.

კოლეჯს სურს 30 პროფესიული სტუდენტის მიღება, გამოყოფილი სივრცის რესურსი შეადგენს 15 პროფესიულ სტუდენტს ერთი ჯგუფში, შესაბამისად, ორი ჯგუფის შემთხვევაში - 30 პროფესიულ სტუდენტს.

პროგრამაზე პროფესიული მასწავლებლების რაოდენობაა 18 პროფესიული მასწავლებელი. მათ შორის, ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 6 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიულ-დარგობრივი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი, ქართული ენის მოდულის განხორციელებაში 1 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ უდასტურდებათ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

საბჭოს წარმოდგინა დაწესებულების სასწავლო გარემოების შესაბამისი მასალები. დარგის ექსპერტმა, ხათუნა წერეთელმა აღნიშნა, რომ „აღმზრდელი“ მოდულის „პრაქტიკული პროექტი“ სწავლის შედეგების მიღწევა დაგეგმილია 2021 წლის 3 მარტს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორის, „ა(ა)იპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში“ შემავალი დაწესებულებების (ბაგა-ბაღები) ბაზაზე და ითვალისწინებს ერთდროულად არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტისთვის (ერთ ჯგუფად) პროგრამის აღნიშნული მოდულის რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელებას.

შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა რამდენად არგუმენტირებულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის საჭიროების დასაბუთება, რის პასუხადაც ნანა შარაბიძემ აღნიშნა, რომ დასაბუთება ნამდვილად არგუმენტირებულია, რამდენადაც მცხეთა-მთიანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2015-2021 წლებისთვის დოკუმენტის მიხედვით რეგიონში ფუნქციონირებს 59 საბავშვო ბაღი და მიმდინარეობს 7 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის პროცესი, რომელიც ყველა მოთხოვნილ თანამედროვე სტანდარტებს დააკმაყოფილებს. დაახლოებით 6 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას უტარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები. ბაღების მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროცესი მცხეთის მუნიციპალიტეტის დღის წესრიგში აყენებს დამატებითი კადრის მოძიების საკითხს. შესაბამისად კოლეჯი აღმზრდელის პროფესიული პროგრამის დამატებით უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრის მომზადებას, რაც ხელს შეუწყობს მათ დასაქმებას ახალ აშენებულ საბავშვო ბაღებში.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯს (ს/კ:236098851) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 12).

13. შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯისთვის „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

შპს მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯს საჯარო განხილვაზე წარმოადგენდა ზვიად არძენაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ კოლეჯის დირექტორი საბჭოს სხდომას ვერ ესწრებოდა და ცენტრში წარმოადგინეს შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნული დაადასტურეს ცენტრის წარმომადგენლებმა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე ავტორიზაციის შესახებ საკითხი წარმოადგინეს ლევან მადათოვმა და გიორგი ბერაიამ.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 30 მარტის №300605 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა, შპს მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯში (მარნეული, შოთა რუსთაველის 13ბ), „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით და „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიზანს წარმოადგენდა ყველა იმ გარემოების შესწავლა, რაც უკავშირდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 40 პროფესიული სტუდენტით გაზრდისთვის დაწესებულების შესაძლებლობების დადგენასა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასებას.

ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელობას და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. გაესაუბრნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლების“ მოდულების განმახორციელებელ პირებს, პროგრამის ხელმძღვანელს და შეამოწმეს მათი პირადი საქმეები. ექსპერტების მიერ განხორციელდა ასევე სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა და შესაბამის პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება. შემოწმდა დაწესებულების მატერიალური ბაზა, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკაში არსებული პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი ფონდი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. შემოწმდა პრაქტიკის ობიექტებთან დადებული მემორანდუმები/ხელშეკრულებები და განხორციელდა მათთან გასაუბრება ონლაინ რეჟიმში.

ექსპერტთა შეფასებით 2.2. კომპონენტი შეფასდა ნაწილობრივი შესაბამისობით და გაიცა შემდეგი შესაბამისობის რეკომენდაცია:

კლინიკური პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის გაფორმებული ხელშეკრულების პირობები განსაზღვრულია „საექთნო განათლების“ ჩარჩო დოკუმენტის მიერ, სადაც მითითებულია, რომ კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი ექთნისა და პროფესიული სტუდენტების/სტუდენტების თანაფარდობაა - 1/7. პროფესიული სტუდენტები/სტუდენტები კლინიკური მოდულების გავლისას პირადი დაცვის საშუალებების გარეშე არ დაიშვებიან.

საგანმანათლებლო დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს პრაქტიკის ობიექტის მიერ გამოყოფილი, პროფესიული სტუდენტების სწავლებაზე პასუხისმგებელი პერსონალის, ექთნის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, მათ შორის - მის ფუნქციებს, პასუხისმგებლობას, უფლება-მოვალეობებს, პროფესიული სტუდენტის წახალისებისა და პრობლემური ან/და სხვა საკითხის (რომელიც ეხება სწავლება-სწავლის პროცესსა და სწავლის შედეგების მიღწევას) განხილვის საკითხის დასმის უფლებამოსილებას.

„საექთნო განათლების“ ჩარჩო დოკუმენტის ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები დაწესებულებებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ არის დარეგულირებული და არ შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნებს.

ასევე გაიცა **განმავითარებელი რეკომენდაციები:**

1. კოლეჯს ეძლევა რეკომენდაცია განსაზღვროს კონკრეტული მოდულების განმახორციელებელი პირები და რომელ მასწავლებლებს მოიაზრებს საჭიროების შემთხვევაში ამ მოდულების განმახორციელებლად.
2. დაარეგულიროს ადმინისტრაციისა და პროგრამების ხელმძღვანელების სამუშაო განრიგი და განსაზღვროს რა დროს უთმობენ ისინი ადმინისტრაციულ საქმიანობას და რა დატვირთვით არიან ჩართული სწავლების პროცესში.
3. კლინიკური პრაქტიკის განხორციელების დაწყებამდე პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელმა პირებმა შერჩეულ ინსტრუქტორებს ჩაუტაროს ტრენინგები მოდულის განხორციელების სპეციფიკის, სწავლებისა და შეფასების მიმართულებებით.

დაწესებულებას სურს პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 80-ით, თუმცა, ობიექტური დათვალიერებით კოლეჯს გააჩნია „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამისათვის 3 აუდიტორია, თითოეული პროფესიული სტუდენტის 20-20 ადგილით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთი ჯგუფის კვირეული დატვირთვა შეადგენს 35-40 საათს, კოლეჯს აქვს შესაძლებლობა ერთდოულად აღნიშნულ პროგრამაზე ჰყავდეს 60 სტუდენტი ერთ ცვლაში. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების, პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. დარგის ექსპერტის, გიორგი ბერაიას განმარტებით, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით კოლეჯს მინიჭებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 40 სტუდენტის რაოდენობით, რაც შეადგენს 2 ჯგუფს. რეალური სასწავლო გარემოს შეფასების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ 20 სტუდენტით, რაც ჯამში შეადგენს 60 სტუდენტს.

ადამიანური რესურსების საკვალიფიკაციო მოთხოვნები ექსპერტების მიერ განხორციელდა კოლეჯთან დისტანციურ ჩართვამდე. „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული კომპონენტის განმახორციელებელი 20 პირია, თეორიული კომპონენტის თითოეული მოდულის განმახორციელებელი 2 ან 3 პირია. რომელთა რაოდენობა, საკვალიფიკაციო მოთხოვნები უზრუნველყოფს პროგრამის თეორიული კომპონენტის განხორციელების მდგრადობას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მხოლოდ 20 სტუდენტით გაზრდის შემთხვევაში.

რაც შეეხება კლინიკური (პრაქტიკული კომპონენტი) პრაქტიკის განმახორციელებელ პირებს, კოლეჯის მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებებიდან ირკვევა, რომ კლინიკური ობიექტები იღებენ ვალდებულებას ერთდროულად მიიღონ 20 პროფესიული სტუდენტი და ვალდებულნი არიან პრაქტიკის პროცესში ჩართონ კვალიფიცირებული სპეციალისტები-პრაქტიკის ინსტრუქტორები, რათა კოლეჯმა გააფორმოს მათთან ხელშეკრულებები.

კოლეჯმა წარმოადგინა კლინიკური პრაქტიკის განმახორციელებელი პირების სია და დოკუმენტაცია, სადაც „საექთნო განათლების“ ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ კლინიკური პრაქტიკის განმახორციელებელ პირების რაოდენობა და დატვირთვა ექსპერტთა მოსაზრებით საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მხოლოდ 20 სტუდენტით გაზრდის შემთხვევაში.

პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ რამოდენიმე მათგანი პროგრამაში ჩართულია, როგორც რამდენიმე (მაგალითად 11) თეორიული მოდულის განმახორციელებელი პირი. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის განმარტებით თითოეული მოდულის განმახორციელებელი 2-3 პირია, თუმცა ყველა მათგანი არ არის ჩართული სწავლების პროცესში, არამედ ზოგირთ მათგანს აქვს შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს სწავლება. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით ვერ ირკვევა ვინ არის კონკრეტული მოდულების განმახორციელებელი პირები და რომელია ის მასწავლებლები, რომელთაც შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში ჩაერთონ მოდულების განხორციელების პროცესში. აქედან გამომდინარე ვერ დგინდება პროფესიულ მასწავლებელთა ზუსტი დატვირთვები.

კოლეჯს მიეცა შემდეგი რეკომენდაცია განსაზღვროს კონკრეტული მოდულების განმახორციელებელი პირები და რომელ მასწავლებლებს მოიაზრებს საჭიროების შემთხვევაში ამ მოდულების განმახორციელებლად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „საექთნო განათლების“ განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დისტანციურ ჩართვამდე შემოწმდა მათი პირადი საქმეები. აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმების და მათთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლების“ განსახორციელებლად, პროფესიული განათლების მასწავლებლები, აყვანილნი არიან დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის საფუძველზე და აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია და კვლავაც გეგმავენ პროფესიული მასწავლებლების შემდგომ განვითარებას.

კლინიკური პრაქტიკის გამოცდილება ჯერ კოლეჯს არ გააჩნია.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კლინიკა „ჯეო ჰოსპიტალის“ თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის მოდულის განმახორციელებელ პირს, რომელმაც აღნიშნა, რომ მას აქვს სხვა კოლეჯის მიერ პრაქტიკის განხორციელების გამოცდილება, იცნობს მოდულის განხორციელების სპეციფიკას, როგორც სწავლების ასევე შეფასების მიმართულებით, რაც ექსპერტთა ჯგუფმა დამაჯერებელ პასუხად ჩათვალა.

კოლეჯს ეძლევა რეკომენდაცია კლინიკური პრაქტიკის განხორციელების დაწყებამდე პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელმა პირებმა შერჩეულ ინსტრუქტორებს ჩაუტაროს ტრენინგები მოდულის განხორციელების სპეციფიკის, სწავლებისა და შეფასების მიმართულებებით.

„საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის ასევე კლინიკა „ჯეო ჰოსპიტალის“ საექთნო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მას უდასტურდება დარგობრივი კომპეტენცია (პროფესიით არის ექთანი), თუმცა კოლეჯის მიერ არ არის დარეგულირებული პროგრამის ხელმძღვანელობასა და სწავლებაში ჩართულობას შორის დროის გადანაწილება.

კოლეჯს ეძლევა რეკომენდაცია დაარეგულიროს ადმინისტრაციისა და პროგრამების ხელმძღვანელების სამუშაო განრიგი და განსაზღვროს რა დროს უთმობენ ისინი ადმინისტრაციულ საქმიანობას და რა დატვირთვით არიან ჩართული სწავლების პროცესში. საბჭოს წარმოდგინა დაწესებულების სასწავლო გარემოების შესაბამისი მასალები.

კოლეჯის წარმომადგენელმა, ზვიადი არძენაძემ განმარტებულ პირთა დატვირთვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ერთ მოდულზე ერთდროულად რამდენიმე განმარტებულ პირია მითითებული პროგრამის მდგრადობის მიზნით.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პრობლემა მდგომარეობს შემდეგში, არ ჩანს კონკრეტულად ვინ არის ძირითადი განმარტებელი, ვინ ჩაერთვება რეალურად განმარტებაში და შესაბამისად ვერ ფასდება მასწავლებელთა დატვირთვა. ასევე შენიშნა, რომ ექთნების დეფიციტი საქართველოში ნამდვილად არის, ეს სხვადასხვა კვლევითაც დასტურდება. ასევე აღნიშნა, რომ კლინიკებშიც, რეალობაში არსებული მდგომარეობით, დიდი რაოდენობით პროფესიულ სტუდენტთა მიღება გარკვეულ ქაოსს ქმნის და არ ეთანხმება პირადად.

შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, ვინაიდან უკვე პროგრამა ხორციელდება, დაინტერესდა ხომ არ შეუსწავლიათ კლინიკური პრაქტიკის გავლის საკითხი, თუ როგორ ხორციელდება რეალურად, სთხოვა გაცემული რეკომენდაციის განმარტება პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

გიორგი ბერაიამ აღნიშნა, რომ კლინიკური სწავლება ჯერ არ დაწყებულა. კლინიკური სწავლებაში ჩართულ ინსტრუქტორებთან ხელშეკრულებები გაფორმებულია, ამ ნაწილში პრობლემა არ არის. ასევე გაფორმებულია ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან, თუმცა თვითონ ხელშეკრულება არ მოიცავს რიგ საკითხებს, რისი გათვალისწინებაც სავალდებულოა ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით და ამასთან დაკავშირებით გაიცა ექსპერტთა რეკომენდაცია.

ხელშეკრულების თაობაზე დაწესებულების წარმომადგენელმა დააფიქსირა პოზიცია, რომ 2018 წელსაც იგივე მოთხოვნა იყო ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული, რაც ამ დროისთვის და ორგანიზაცია იმ დროითვე ითვალისწინებდა ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას, რადგან 2018 წელსვე შეირჩა ექთნები, რომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაცვა უზრუნველყო კოლეჯმა.

გიორგი ბერაიას არგუმენტაციით, 2.2. შეფასდა ნაწილობრივი შეფასებით, რადგან პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში უნდა იყოს მის მიმართ წაყენებული მოთხოვნები გაწერილი, რასაც ადგენს დეტალურად ჩარჩო დოკუმენტი.

ზვიად არძენაძემ აღნიშნა, რომ ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია კოლეჯის მარეგულირებელი რიგი დოკუმენტები, მათ შორის პროგრამის დოკუმენტი, ამდენად მიიჩნევს, რომ მოთხოვნებს აკმაყოფილებს ხელშეკრულება, გარდა ამისა პროგრამამ ავტორიზაცია უპრობლემოდ გაიარა და ამ საკითხზე რეკომენდაცია არ ყოფილა. კოლეჯმა ახალი სტანდარტების მოლოდინში თავიდანვე იზრუნა, რომ გაფორმებულიყო არა მემორანდუმი, არამედ ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების თანახმად პარტნიორმა ორგანიზაციამ პროგრამა უნდა განახორციელოს პროგრამის და კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯს მიაჩნია, არსებული ხელშეკრულება ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნებს უკვე იზიარებს, თუ საბჭოს მოთხოვნა იქნება, კოლეჯი მზად არის შეიტანოს ცვლილებები მითითებული რეკომენდაციის საფუძველზე, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ 6 წლიან ხელშეკრულებებში.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ 2.2.1-ის ნაწილობრივი შესაბამისობის შეფასება შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ თუ არსებობს შესაბამისობის 18 თვიანი გეგმა, თუ ეს გეგმა არ არსებობს უნდა მითითებულიყო „არ შეესაბამება“, გარდა ამისა შენიშნა, რომ დასკვნის აღწერილობით ნაწილში არ არის საკმარისად არგუმენტირებული საკითხის პრობლემატიკა ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, იყო თუ არა აღნიშნული ხელშეკრულების განხილვა კონკრეტულად იმ კომპონენტში განსახილველი, რომელიც წარმოადგენდა აღნიშნული საქმისწარმოების შემოწმების ფარგლებს, ანუ არის თუ არა პირდაპირი ბმა სტანდარტის ამ კომპონენტსა და ხელშეკრულების საკითხს შორის, ასევე, დაინტერესდა თუ იქნა მოთხოვნილი ექსპერტების მიერ დამატებითი დოკუმენტაცია, კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტები, რაზეც საუბრობდა კოლეჯის წარმომადგენელი ან ასევე, პრაქტიკის ინსტრუქტორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ შემოწმების ფარგლებში, შესამოწმებელ 2.2. კომპონენტს ნამდვილად არ ეხება პარტნიორთან გაფორმებული ხელშეკრულება. შესაბამისად კოლეჯს წინასწარ ვერ ექნებოდა შესაბამისობის გეგმა. ასევე, აღნიშნა, რომ დამატებითი დოკუმენტები, კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტები ან პრაქტიკის ინსტრუქტორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები არ მოუთხოვიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ჩარჩო დოკუმენტში არ არის მითითებული, რომ ეს შეიძლება იყოს კონკრეტულად მხოლოდ პარტნიორთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

შორენა ჯაფარიძემ ამის დასტურად ციტირება მოახდინა ჩარჩო დოკუმენტიდან: „საგანმანათლებლო დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს პრაქტიკის ობიექტის მიერ გამოყოფილი პროფესიულ სტუდენტებისთვის სწავლებაზე პასუხისმგებელი პერსონალის, ექთნის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, მათ შორის მის ფუნქციებს, პასუხისმგებლობას, უფლება მოვალეობებს, პრაქტიკის ობიექტსა და საგანმანათლებლო დაწესებულების წინაშე”

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ შრომით სამართლებრივ ურთიერთობების ფარგლებში, ერთი ორგანიზაცია ვერ შეთანხმდება მეორე ორგანიზაციასთან, თუკი ამ ექთანთანაც არ გაფორმდა ხელშეკრულება. პირს თუ არ ეცნობა შრომითი კონტრაქტით ეს ვალდებულებები, ვერავინ ვერ დაავალდებულებს შეასრულოს ორგანიზაციებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები.

აღნიშნულ განმარტებას დაეთანხმა საბჭოს წევრი ქრისტინა რზგოევა, რომელსაც იურისტის კვალიფიკაცია აქვს.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტში ცვლილებები შესაბამისმა საბჭომ უკვე განიხილა და ახლო მომავალში ცნობილი გახდება კონკრეტულად რა ცვლილებები განხორციელდა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეაჯამა საკითხი, რომ ექსპერტთა ჯგუფმა სწორი და კვალიფიციური შეფასება ვერ მოახდინა შემოწმების ფარგლებში, როგორც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, ხელშეკრულების საკითხი და შემოწმების ფარგლები არ ებმის ერთმანეთს.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო 15 წუთი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯისთვის „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 1 (შორენა ჯაფარიძე)

გადაწყვეტილება:

შპს მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯს (ს/კ:434172584) დანართით განსაზღვრულ „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 60-ით (**დანართი 13**).

შორენა ჯაფარიძემ განმარტა თავისი გადაწყვეტილების მიზეზი, რაც განპირობებული იყო არა იმით, რომ ეთანხმებოდა ექსპერტების დასკვნაში მოცემულ შეფასებას, არამედ იმიტომ რომ ურთიერთ გამომრიცხავი ინფორმაცია იქნა წარმოდგენილი. ექსპერტებმა სრულად ვერ წარმოადგინეს ის გარემოებები, რომლებზეც იყო საუბარი, მეორეს მხრივ პირადად მისთვის უცნობია, რა სახის ხელშეკრულებებია გაფორმებული ინსტრუქტორ-ექთნებთან, რომელ ხელშეკრულებებზეც აპელირებდა დაწესებულების წარმომადგენელი.

ქრისტინა რზგოევამ აღნიშნა, რომ პირადად მისთვის გაურკვეველი რჩება როგორ დააკავშირეს ექსპერტებმა ხელშეკრულების საკითხი იმ კომპონენტთან, რომელიც შეაფასეს ნაწილობრივი შეფასებით. ექსპერტების მიერ ვერ იქნა შესწავლილი და სათანადოდ დაფიქსირებული მათი პოზიცია, რამდენადაც კოლეჯის განმარტებით არსებობს ინსტრუქტორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და ეს ხელშეკრულებები ავტორიზაციის დროსვე იქნა წარმოდგენილი. ქრისტინე რზგოევას პოზიციას დაეთანხმა საბჭოს წევრთა უმრავლესობა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ არგუმენტირებული არ იყო ექსპერტთა პოზიცია, არ იზიარებს მათ შეფასებას, არაკვალიფიციურად მიიჩნია დასკვნა, შუამდგომლობით მიმართა ცენტრს წარმოების შესწავლის თაობაზე რაიმე გადაცდომა ხომ არ დადასტურდა ექსპერტების მხრიდან ან დაწესებულების მხრიდან. შედეგები ეცნობოს საბჭოს და თუკი დაწესებულების მხრიდან შეცდომაში შემყვანი რაიმე ინფორმაცია იქნა მიწოდებული საბჭოსთვის, საბჭო იქონიებს შესაბამის რეაგირებას.

14. შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯისთვის „აღმზრდელის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე ავტორიზაციის შესახებ საკითხი წარმოადგინეს ლევან მადათოვმა და ხათუნა წერეთელმა.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 30 მარტის №301168 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა, შპს

მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯში „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით და „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია:

პროგრამის მდგრადობის მიზნით, სასურველია გაიზარდოს პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა.

დარგის ექსპერტმა, ხათუნა წერეთელმა განმარტა, რომ 2019 წლის 14 ივნისის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N124 გადაწყვეტილებით შპს „მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯს“ 6 წლის ვადით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელების უფლებამოსილება და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 40 ადგილით. „თითოეულ პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთების“ დოკუმენტის მიხედვით მიმდინარე სასწავლო პროცესში აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხული 40 პროფესიული სტუდენტიდან, რომელთა მიღებაც განხორციელდა 2019 – 2020 სასწავლო წლებში, 17 სტუდენტისათვის მიმდინარეობს პროგრამის შესაბამისი პროფესიული მოდულების სწავლების მეორე წელი და ეს ჯგუფი პროფესიულ პროგრამას დაასრულებს 2022 წლის შემოდგომაზე, ხოლო 18 სტუდენტი რომელიც ქართული ენის (ბ1) მოდულის შესწავლის პროცესშია აღმზრდელის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დაასრულებს 2023 წლის შემოდგომაზე.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება განაცხადიდან გამომდინარე აღწერს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ სტუდენტების ადგილების რაოდენობის 40 ადგილით გაზრდის საჭიროებას და შესაბამისად დაწესებულება გეგმავს 2021 წელს დამატებით მიიღოს 20 პროფესიული სტუდენტი და 2022 წელს კიდევ 20 პროფესიული სტუდენტი.

დაწესებულების 2019–2021 წლების მონაცემების მიხედვით მხოლოდ 4 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელდა სტუდენტთა მიღება. ვინაიდან დაწესებულების პრაქტიკიდან გამომდინარე „ბუღალტრული აღრიცხვის“ და „საოფისე საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები არ წარმოადგენს მოთხოვნად პროფესიებს, მისი მატერიალური რესურსი უნდა გადანაწილდეს აქტუალურ პროფესიებზე, კერძოდ „საოფისე საქმის“ განხორციელებისათვის საჭირო A გარემო გამოყენებულ უნდა იქნას „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაზრდილი კონტიგენტით განხორციელების მიზნებისათვის.

მოდულების განხორციელების ძირითადი დატვირთვა მოდის A და B ტიპის სასწავლო გარემოზე. დაწესებულებას აღმზრდელის პროფესიული პროგრამისთვის გამოყოფილი აქვს 2 აუდიტორია: №1 და №7. აღნიშნული აუდიტორიების ფართიდან გამომდინარე, თითოეულში შესაძლებელია ერთდროულად 20 პროფესიული სტუდენტის განთავსება. სწავლის პროცესი დაგეგმილია ცვლებში. დაწესებულება დღის განმავლობაში, ორ ცვლაში გეგმავს თითოეულ აუდიტორიაში 40 პროფესიული სტუდენტისათვის სასწავლო პროცესის ორგანიზებას.

პროგრამისთვის კოლეჯს აქვს ორი B გარემო. თითოეულში განთავსებულია 20 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის და ერთი მასწავლებლის კომპიუტერი. პსდ–ს მიერ წარმოდგენილია B გარემოს გამტარუნარიანობის ცხრილი, რითაც პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდილ სტუდენტთათვის დასტურდება B გარემოს

გამტარუნარიანობა. პსდ-ს მიერ წარმოდგენილ აუდიტორიებში განთავსებულია მოდულის განსახორციელებლად საჭირო ყველა მატერიალური რესურსი. დაწესებულების მიერ შემუშავებულ „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ 2.5 და 2.6 მუხლების შესაბამისად მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ერთი სასწავლო A და B გარემოს არსებობის შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ გარემოში შესაძლებელია ერთდროულად იმდენი მოდულის განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეული საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს. ექპერტთა ჯგუფი ეთანხმება პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდას 20 სტუდენტით.

საბჭოს წარმოუდგინა დაწესებულების სასწავლო გარემოების შესაბამისი მასალები.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ შემადგენელი მოდულების „გაცნობითი პრაქტიკა“ და „პრაქტიკული პროექტი“ სწავლის შედეგების მიღწევა დაგეგმილია 2018 წლის 11 სექტემბერს 6 წლის ვადით გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრის) ბაზაზე და პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნებისთვის ითვალისწინებს ერთდროულად არაუმეტეს 20 პროფესიული სტუდენტისთვის პროგრამის აღნიშნული მოდულების რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელებას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნებისთვის დაწესებულებამ დასაქმებული მასწავლებლების რიცხვი არ გაზარდა. შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „აღმზრდელი“ ჰყავს ზოგადი და პროფესიული მოდულების განმახორციელებელი 18 პერსონალი. თითოეული მოდულის განმახორციელებელი 2 ან 3 პირია. რომელთა რაოდენობა, საკვალიფიკაციო მოთხოვნები უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მხოლოდ 20 სტუდენტით გაზრდის შემთხვევაში. პსდ-ს ჰყავს როგორც ზოგადი ასევე პროფესიული/დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პერსონალი რომლებსაც შეუძლიათ თავისუფლად სამ 20 კაციან ჯგუფში ერთდროულად დღის პირველ და მეორე ცვლაში ასწავლონ როგორც ზოგადი ასევე პროფესიული/დარგობრივი მოდულები.

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ ხელმძღვანელად განსაზღვრულია სფეროში შესაბამისი სამუშაო გამოცდილების მქონე პირი, რომელიც წარმოადგენს ქ.მარნეულის N3 ბაგა-ბაღის გამგე-მენეჯერს. მას უდასტურდება დარგობრივი კომპეტენცია, თუმცა დაწესებულების მიერ არ არის დარეგულირებული პროგრამის ხელმძღვანელობასა და სწავლებაში ჩართულობას შორის დროის გადანაწილება. პროგრამის განმახორციელებელი პირები ასევე დღის მანძილზე 9სთ დატვირთვით ბაღში არიან დაკავებული, ამავდროულად პროგრამის სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის მიხედვით დამატებითი პირები არ წარმოუდგენიათ ახალ განმახორციელებლად. გამგესთან გასაუბრების მიხედვით, ბაღში ამ პირებს ანაცვლებენ დამხმარე მასწავლებლებით, რათა პროგრამის განმახორციელებმა მოახერხონ სასწავლო პროცესში ჩართვა.

ზვიადი არმენაძემ განმახორციელებელ პირთა დატვირთვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ერთ მოდულზე ერთდროულად რამდენიმე განმახორციელებელი პირია მითითებული პროგრამის მდგრადობის მიზნით. დაადასტურა, რომ ეს განმახორციელებელი პირები ამავდროულად არიან პრაქტიკის ობიექტის თანამშრომლები და მათ განრიგზეცაა

დამოკიდებული რომელი პირი ჩაერთვება სასწავლო პროცესში კონკრეტული მომენტისათვის. პრაქტიკის ობიექტი თავის მხრივ ხელს უწყობს მათ სრულყოფილად იქნენ სასწავლო პროცესში ჩართულები, ამდენად დამხმარე მასწავლებლებიც კი აყავთ ბაღში, რომ ამ პირების ჩანაცვლება მოხდეს იმ დროს, როცა პროგრამის სასწავლო პროცესში ხდება მათი ჩართვა. აქვე აღნიშნა, რომ დამხმარე მასწავლებლებად უკვე აიყვანეს კოლეჯის რამდენიმე კურსდამთავრებული.

შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ რეკომენდაცია დასკვნაში დაფიქსირებულია როგორც განმავითარებელი რეკომენდაცია - პროგრამის მდგრადობის მიზნით, სასურველია გაიზარდოს პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა. ასევე, ექსპერტთა მიერ 2.2 კომპონენტი შეფასებულია მეტწილი შესაბამისობით. შესაბამისად არ ეთანხმება ექსპერტთა შეფასებას.

შეფასებასთან დაკავშირებით ზვიად არძენაძემ აღნიშნა, რომ არგუმენტირებულ პოზიციაშიც წარმოადგინეს ორგანიზაციის პოზიცია, არ ეთანხმებიან ექსპერტთა მიერ 2.2 კომპონენტის მეტწილი შესაბამისობის შეფასებას. შენიშნა, რომ განმახორციელებელ პირთა კვალიფიკაციის შესახებ დეტალურად ფლობს დარგის ექსპერტი ინფორმაციას, რამდენადაც ჩართული იყო ავტორიზაციის ვიზიტის დროსაც ამ პროგრამის შემოწმებაში, რაც შეეხება რაოდენობის გაზრდასთან ბმაში მათი დატვირთვის რაოდენობას, განმარტა, რომ თითოეულ მოდულზე არაერთი პირია განსაზღვრული, რაც არის იმის გარანტი, რომ პროგრამის განხორციელებას საფრთხე არ ექმნება ერთდორულად რამდენიმე ჯგუფის მიღების დროსაც კი. ასევე შენიშნა, რომ განმახორციელებლებიდან 5 პირს შეუძლია ყველა დარგობრივი მოდულის სწავლება, აქვთ შესაბამისი კომპეტენცია, ამდენად არ იზიარებს ექსპერტთა პოზიციას, თუმცა საბჭოს მიერ თუ ჩაინიშნება ამ საკითხზე მონიტორინგი, დაწესებულება მზადაა თანამშრომლობისთვის. აქვე აღნიშნა, რომ მარნეულში ახალი ბაღი შედის ექსპლუატაციაში, კოლეჯი უკვე თანამშრომლობს მასთან და იგეგმება მათთან დასაქმებული პირების ჩართვაც პროგრამის განხორციელებაში, უკვე გააფორმეს მათთან ხელშეკრულებებიც. თუმცა აღნიშნა, რომ კვირეული საათობრივი რაოდენობის და აუდიტორიების რაოდენობის გათვალისწინებით, კოლეჯი ეთანხმება ექსპერტის მოსაზრებას დამატებით 20 ადგილით გაზრდის თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯისთვის „აღმზრდელის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: შპს მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯს (ს/კ:434172584) დანართით განსაზღვრულ „აღმზრდელის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 60-ით (**დანართი 14**).

საკითხის კენჭისყრის დასრულების შემდგომ, საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ საბჭოს სხდომა დადგენილზე მეტ ხანს გაგრძელდა, რაც ონლაინ რეჟიმის დრო კიდევ მეტ დატვირთვას ქმნის, საბჭოს თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია საბჭოს შესაძლებლობებიდან გამომდინარე, საბჭოს სხდომაზე განეხილათ დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-19 საკითხის ჩათვლით, ხოლო დღის წესრიგით გათვალისწინებული

დანარჩენი საკითხები (მე-20 - 27-ე საკითხები) განხილულიყო მომდევნო დღეს ჩანიშნულ საბჭოს სხდომაზე. დაინტერესდა, ხომ არ გამოიწვევდა საკითხების გადადება ადმინისტრაციული წარმოების ვადების დარღვევას, რაზეც საბჭოს სამდივნოსგან მიიღო პასუხი, რომ არ გამოიწვევდა. ამდენად, საბჭოს სამდივნოს ეთხოვა, მომდევნო სხდომა დაწყებულიყო ამ საკითხებით და საბჭომ ბოდიში გადაუხადა აღნიშნული საკითხების წარმომადგენელ დაწესებულებებს.

15. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-სთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე ავტორიზაციის შესახებ საკითხი წარმოადგინეს ქეთევან ბოტკოველმა და ალექსანდრე კეკელიძემ.

2021 წლის 01 აპრილის №313753 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ში „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ბრძანების საფუძველი გახდა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ს მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადი "კომპიუტერული ქსელი და სისტემების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, დისტანციურად ჩართვამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა,

ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელობას და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად განიხილეს დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ დამატებასთან და ზღვრული რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხები. გაესაუბრნენ პროფესიული საგანმანათლებლო მოდულების განმახორციელებელ პირებს, პროგრამის ხელმძღვანელს. ექსპერტების მიერ განხორციელდა ასევე სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა და შესაბამის პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება. შემოწმდა დაწესებულების მატერიალური ბაზა, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკაში არსებული პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი ფონდი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადით, სტანდარტი შეფასებულია „სრული შესაბამისობით“, რასაც ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება. განმავითარებელი და

შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა. კოლეჯი პროგრამაზე ითხოვს 90 სტუდენტის რაოდენობას, აქედან 90-ვე სურს განისაზღვროს ინტეგრირებულ პროგრამაზე, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები.

წარმოადგინა შესაბამისი ფოტომასალა. პროგრამისთვის გამოყოფილია შესაბამისი 5 B გარემო და C გარემო. გარემოები სრულად აღჭურვილია. დაწესებულებამ წარმოადგინა ცხრილები აუდიტორიების დატვირთვის თაობაზე, რომლის მიხედვით არის აღნიშნული მოთხოვნილი რაოდენობის მიღების შესაძლებლობა.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჩარჩო დოკუმენტით დადგენილ სარეკომენდაციო მინიმალურ მოთხოვნებზე ბევრად მეტი შესაძლებლობების კომპიუტერული ტექნიკა აქვს წარმოდგენილი, რაც მისასაღებელია დარგის ექსპერტის მხრიდან.

კოლეჯის დირექტორმა, ია ერაქემ აღნიშნა, რომ გასულ წელს დაიწყო პროგრამის ანალოგიური შინაარსის ერთწლიანი პროგრამა საპილოტე რეჟიმში, რომელზეც მაღალი მოთხოვნა დაფიქსირდა. აუდიტორიების აღჭურვა მოხდა დარგის საჭიროებებზე ორიენტირებულად. აქვე აღნიშნა, რომ პროგრამის დაფინანსებაში სახელმწიფოს როლმა მნიშვნელოვნად გაზარდა სტუდენტთა მოთხოვნა და იმედოვნებს, პროგრამა წარმატებით განხორციელდება.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-სთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს (ს/კ:406037550) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (დანართი 15)

16. სსიპ - კოლეჯ „თეთნულდისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე ავტორიზაციის შესახებ საკითხი წარმოადგინეს ზაირა ბერიძემ და ალექსანდრე კეკელიძემ.

სსიპ კოლეჯ „თეთნულდის“ მიერ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილ იქნა განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამატების შესახებ. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 8 აპრილის N 338819 ბრძანებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება განახორციელოს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, სასწავლო პროცესის მენეჯერს. ექსპერტების მიერ განხორციელდა კოლეჯის ონლაინ დათვალიერება: მატერიაური რესურსების, სასწავლო აუდიტორიების და ბიბლიოთეკის ნახვა. შედგა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, როგორც დარგობრივი მოდულების, ასევე ინტეგრირებული მოდულების ფარგლებში. გასაუბრება გაიმართა დისტანციურ რეჟიმში.

2020 წელს დაწესებულება აპირებდა მომცემული პროგრამის დამატებას და განხორციელებას მოდულური (ინტეგრირებული) მიდგომით, წინა წარმოების პროცესში გამოიკვეთა გარკვეული უზუსტობები და ხარვეზები რის გამოც არ მიეცათ პროგრამის დამატების საშუალება, რაც ძირითადად უკავშირდებოდა ადამიანური რესურსების რაოდენობას, რაც ვერ უზრუნველყოფდა პროგრამის მდგრადობას. ამ დროისთვის უკვე დამატებულია ერთი პირი და ხარვეზი არ ფიქსირდება.

მიმდინარე წარმოების ფარგლებში ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა წინა წარმოების შედეგები და ასევე შესწავლილი იქნა ის რეკომენდაციები, რომელიც გაცემული იყო ექსპერტების მიერ და ეხლა უვე დასტურდება მისი შესაბამისობა, კერძოდ:

წინა წარმოების ფარგლებში დამოვლენილი იყო ხარვეზი:

ინდიკატორი 2.2.1.2 - განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა ვერ უზრუნველყოფს „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. დაწესებულებას პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის ჰყავს მხოლოდ ერთი განმახორციელებელი. არსებობს ალბათობა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელი ისარგებლებს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებებით, როგორიცაა ანაზღაურებადი თუ არაანაზღაურებადი შვებულება, გამოიყენებს საავადმყოფო ფურცელს, გადავა სხვა, მისთვის უფრო ხელსაყრელ სამსახურში და სხვა. ამ გარემოებების დადგომით საფრთხე ექმნება პროგრამის განხორციელების მდგრადობას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საკითხი დაწესებულებას არ აქვს შეტანილი შესაბამისობის გეგმაში.

ინდიკატორი 2.2.1.3 - პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირის პირადი საქმის გადამოწმების შედეგად, ექსპერტებმა დაადგინეს, რომ აღნიშნულ განმახორციელებელს არ აქვს სწავლის შედეგების შესაბამისი კვალიფიკაცია ან სამუშაო გამოცდილება. გასაუბრების დროს განმახორციელებელმა ექსპერტებს განუცხადა, რომ ამ მომენტისთვის მას არ აქვს პროფესიული მოდულების განხორციელების კომპეტენცია, თუმცა ის სწავლობს Cisco CCNA-ს კურსზე და აპირებს Windows Server-ის და Linux-ის კურსები გავლას, რის შემდეგაც შეძლებს პროფესიული მოდულების განხორციელებას.

იმის გათვალისწინებით, რომ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მოდულები მოიცავს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამ სხვადასხვა მიმართულებას (კომპიუტერული ქსელი, Windows სერვერი და ლინუქსი), ასევე სწავლის დაწყების სავარაუდო დრო არის 2020 წლის ოქტომბერი და არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში, პროფესიული მოდულები იწყება სწავლის დაწყებიდან 28-ე სასწავლო კვირაში, ექსპერტებმა დაადგინეს, რომ სასწავლო პროცესის

დაწყებამდე აღნიშნული განმახორციელებელი ვერ შეძლებს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საკითხი დაწესებულებას არ აქვს შეტანილი შესაბამისობის გეგმაში.

წარმოების ფარგლებში უკვე დადასტურდა, რომ ინდიკატორები 2.2.1.2 და 2.2.1.3 შესრულებულ ია, კერძოდ პროგრამის დარგობრივი მოდულების განმახორციელებელთა რაოდენობა გაიზარდა შესაბამისი კადრით, რომელიც დასტურდება როგორც გასაუბრებით ასევე პირადი საქმის გაცნობით ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

წინა წარმოების დროს გაცემული შესაბამისობის რეკომენდაცია:

ინდიკატორი 2.2.1.1

შესაბამისობის გეგმის თანახმად შეიძინოს მატერიალური რესურსის ის ნაწილი, რომლის შესყიდვაც ვერ მოასწრო ექსპერტების ვიზიტისთვის. აღნიშნული საკითხი დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმაში, შეფასებული აქვს, როგორც მეტწილი შესაბამისობა და აღჭურვილობების შესყიდვას გეგმავს 2020 წლის ივლისის პერიოდში. რადგან სასწავლო პროცესის დაწყების სავარაუდო

დრო არის 2020 წლის ოქტომბერი, დაწესებულება შეძლებს მითითებული აღჭურვილობების შესყიდვას და პროგრამის განხორციელებას სრულყოფილად. შესაბამისად ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულების შეფასებას, რომ აღნიშნული ინდიკატორი მეტწილად შესაბამისია.

- შესრულებულია წინა წელს გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციები:

ინდიკატორი 2.1.1.8 - მოახდინოს „სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის“ დანართის ადაპტირება სრულად - შესრულებულია.

ინდიკატორი 2.2.1.4 - პროგრამის ხელმძღვანელისთვის შეიმუშაოს თანამდებობრივი ინსტრუქცია/სამუშაო აღწერილობა, სადაც უფრო დეტალურად იქნება გაწერილი მისი ფუნქცია-მოვალეობები, საჭირო უნარები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები - დაწესებულებას აქვს გარკვეული ცვლილება გაკეთებული დაწესებულების დირექტორის მიერ 2020 წლის 22 დეკემბრის 02/65 ბრძანებით დამტკიცებულ წესში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი,“ მუხლი 5 - პროგრამის ხელმძღვანელი, სადაც პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები არის წარმოდგენილი.

ინდიკატორი 2.3.1.1 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კონტექსტში გამოიყენოს კურსდამთავრებულთა დასაქმების, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება / შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი და გაწეროს შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტში - დაწესებულებას აქვს გარკვეული ცვლილება გაკეთებული დაწესებულების დირექტორის მიერ 2020 წლის 22 დეკემბრის 02/65 ბრძანებით დამტკიცებულ წესში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი“.

ინდიკატორი 2.4.1.5 - მესტიის მუნიციპალიტეტში მოიძიოს პრაქტიკის ობიექტი/ობიექტები, რომლის დახმარებითაც შეძლებს პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამის პრაქტიკული ნაწილის სწავლის შედეგების დაფარვას.

- გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში სწორად მიუთითოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, მიუთითოს კონკრეტულად რომელი მოდულის ფარგლებშია გაფორმებული მემორანდუმი და ასახოს სტუდენტების კონკრეტული რაოდენობა.

დაწესებულება პროგრამას ახორციელებს საკუთარ ბაზაზე არსებული რესურსებით, პრაქტიკის ობიექტებთან არ თანამშრომლობს ამ პროგრამის ფარგლებში, შესაბამისად პრაქტიკის ობიექტების ჩართულობა ვერ შემოწმდება.

ინდიკატორი 2.4.2.1 - შესაბამისობაში მოიყვანოს „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის“ მე-3 და მე-10 მუხლებით განსაზღვრული პირობები შეფასების ინსტრუმენტის შექმნაზე და შერჩევაზე პასუხისმგებელ პირებთან დაკავშირებით.

- დააზუსტოს და შესაბამისობაში მოიყვანოს „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის“ მე-9 მუხლით და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-10 მუხლით განსაზღვრული პირობები და ვადები პროფესიულ სტუდენტთა დამატებით შეფასებასთან დაკავშირებით. ასევე, სასურველია მიეთითოს განმეორებით გამოცდაზე გამოყენებული ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაცია და ნამუშევრის გასწორების ვადები.

- დააზუსტოს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-10 მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული ჩანაწერი სწავლის შედეგების დადასტურებასთან დაკავშირებით.

რეგულაციებში გაწეროს დუალური და ინტეგრირებული პროგრამების შეფასების სისტემის შესახებ - შესრულებულია

ინდიკატორი 2.4.2.2 - დახვეწოს ვერიფიკაციის და ვალიდაციის მექანიზმები - წინასწარი შეფასების საფუძველზე განისაზღვროს ვერიფიკატორის სამუშაოს მოცულობა, არსებული რესურსები და ამის გათვალისწინებით დადგინდეს რამდენი ინსტრუმენტის/მტკიცებულების ვერიფიკაციაა შესაძლებელი; რისკების ანალიზის საფუძველზე შეირჩეს ის ინსტრუმენტები და მტკიცებულებები, რომელთა ვერიფიკაციაც აუცილებელია; მნიშვნელოვანია დეტალურად გაიწეროს შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია - რეგულაციები განახლებულია

ინდიკატორი 2.4.2.4 - რეგულაციაში ასახოს განმავითარებელი შეფასების ჩატარების და მის ფარგლებში სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიწოდების ფორმა - რეგულაციები განახლებულია თუმცა დამატებითი ინფორმაცია ამ ქვეპუნქტის დეტალურად არ იკითხება და ზოგადი სახის ჩანაწერად რჩება.

ახალი ვიზიტის ფარგლებში უკვე დაფიქსირდა სრული შესაბამისობა და მხოლოდ ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია :

ინდიკატორი 2.2.1.1

დაწესებულებას აქვს შესაბამისი ლაბორატორია მოდულისათვის „მეცნიერება და ტექნოლოგიების“, თუმცა დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის დროს ლაბორატორიაში არ იყო დამონტაჟებული ჰაერის გამწოვი სისტემები (მაგ., გამწოვი კარადა), აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტების მხრიდან გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია.

შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა გამწოვი კარადის არ ქონა ახდენს თუ არა სტანდარტის შეფასებაზე გავლენას.

აღნიშნულთან დაკავშირებით ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ შესაბამის აღჭურვილობის ჩამონათვალში გამწოვი კარადა არ იყო, ამდენად ხარვეზის საფუძველი არ არის. თუმცა სამსახურის მიერ ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა აღნიშნული კარადის საჭიროება და აღნიშნულის თაობაზე მიმართა განათლების სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტს. სამსახურმა პასუხად მიიღო წერილი, რომ რეკომენდირებულია იყოს გამწოვი კარადა ამ მოდულის განხორციელებისთვის. აღჭურვილობის ჩამონათვალში არ შესულა ცვლილება, თუმცა ყველა კოლეჯს ეცნობა ეს ინფორმაცია, რათა სასწავლო პროცესის დაწყებამდე უზრუნველყონ შესაბამის გარემოში

აღნიშნული კარადის დამონტაჟება. ამდენად, ექსპერტებს მიეცათ რეკომენდაცია, დასკვნებში აღნიშნულთან დაკავშირებით ამ ეტაპზე შემოიფარგლონ განმავითარებელი ხასიათის რეკომენდაციით.

კოლეჯის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ გამწოვი კარადა უკვე შესყიდვის პროცესშია, კოლეჯი უკვე აწარმოებს მოლაპარაკებას კომპანიასთან შპს mymobile+-თან და სასწავლო პროცესის დაწყებამდე იქნება შესყიდული ეს კარადა.

მარიამ ჩაგელიშვილი დაინტერესდა რა ღირს აღნიშნული კარადა, რაზეც მიიღო პასუხი, რომ ამ შემთხვევაში 4300 ლარი ჯდება შესყიდვა.

დარგის ექსპერტმა, ალექსანდრე კეკენაძემ წარმატება უსურვა პროგრამას. აღნიშნა, რომ დამატებითი პედაგოგი კოლეჯისთვის დიდი შენაძენია, განმახორციელებლბებთან გასაუბრებით დადგინდა კვალიფიკაცია და მზაობა, სალექციო საათებში იმყოფებოდნენ კოლეჯში.

საბჭოს წარმოდგინა დაწესებულების სასწავლო გარემოების შესაბამისი მასალები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი „თეთნულდისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

სსიპ კოლეჯი „თეთნულდის“ (ს/კ:235891512) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (დანართი 16).

17. ა(ა)იპ - კოლეჯი „იკაროსისთვის“ „ღონისძიების ორგანიზების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე ავტორიზაციის შესახებ საკითხი წარმოადგინეს მანანა მოისწრაფიშვილმა და მავო ჯაოშვილმა.

ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსის“ მიერ ა(ა)იპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში 2021 წლის 25 მარტს წარმოდგენილ იქნა განაცხადი "ღონისძიების ორგანიზების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 14 აპრილის N 357624 ბრძანებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ღონისძიების ორგანიზების“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

2021 წლის 23 აპრილს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ღონისძიების ორგანიზება“ დისტანციური ვიზიტი, პლატფორმა Zoom-ის გამოყენებით. ავტორიზაციის ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, ბიბლიოთეკარს, დაათვალიერეს დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიმართებაში კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ბიბლიოთეკა. ვიზიტის ფარგლებში ასევე განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებთან და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან გასაუბრება.

აღნიშნა, რომ დასკვნაში ხარვეზები და რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.

პროგრამისთვის ითხოვს 90 პროფესიული სტუდენტის ზღვრულ რაოდენობას, აქედან 45 ადგილის განსაზღვრა სურს ინტეგრირებულ პროგრამაზე, რასაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი. ექსპერტმა დაასახელა პროგრამის მონაცემები.

შენიშნა, რომ დაწესებულებას იმაზე მეტი აღჭურვილობა აქვს, ვიდრე პროგრამის მიხედვით საჭიროა. გამოყოფილია კოლეჯში მოწყობილია 4 A, 2 B და 3 C გარემო შესაბამისი აღჭურვილობით, ჯგუფში 15-15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ადგილებით. A და B გარემო აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები). C გარემო (ინტეგრირებული სწავლებისთვის) - წარმოადგენს ლაბორატორიულ კაბინეტს, სადაც განთავსებულია სამუშაო ქიმიური მაგიდები, ლაბორატორიული სკამები, გამწოვი მოწყობილობა, კარადა ქიმიური ჭურჭლისთვის, კარადა რეაქტივებისათვის და სხვა პროგრამისათვის საჭირო მასალა-ნედლეული, ხოლო პროგრამის ფარგლებში დარგობრივი პრაქტიკული უნარების გამოსამუშავებლად კოლეჯში მოწყობილია 2 C გარემო, სადაც განთავსებულია, ერთი მხრივ, ბარ-რესტორნის აღჭურვილობა, მეორე მხრივ, ღონისძიების გაფორმებისთვის საჭირო ტექნიკური აპარატურა: ხმის გამამდიერებელი, მიქშერი, მიკროფონი.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით მოთხოვნილი კვოტის შესაბამისად დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სასტუმროსთან „King David“, სს „გუდვილთან“, სასტუმროსთან „ამბასადორი“, შპს „გგმ“-თან მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა“ პროფესიული ექსკურსიის ორგანიზების მიზნით.

პროგრამა ითვალისწინებს ორ არჩევით მოდულს: „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ და „ღონისძიების ორგანიზება“, რომელთა საჭიროების შესახებ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ინფორმაცია პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების ფარგლებში და ისინი ლოგიკურ ბმაშია შინაარსობრივად როგორც პროგრამის მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, ასევე პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

პროგრამას 33 პროფესიული განათლების მასწავლებელი ჰყავს. მათ შორის პროფესიულ დარგობრივ მოდულებს განახორციელებს 6 პროფესიული მასწავლებელი, რომელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი 9 მოდულის მიხედვით საკმარისია.

ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლები შეირჩა განათლების და მეცნიერების სამინისტროს მონაწილეობით და მათ ჩაუტარდათ მიზნობრივი ტრენინგ კურსები მოდულების გამხორციელების მიდგომების ათვისების მიზნით.

საბჭოს წარმოდგინა დაწესებულების სასწავლო გარემოების შესაბამისი მასალები.

დარგის ექსპერტმა მაკო ჯაოშვილმა აღნიშნა, რომ სრული შესაბამისობა დაადასტურეს ექსპერტებმა. შენიშნა, რომ როგორც დარგის ექსპერტი მიესალმება ამ პროგრამის დამატებას, რამეთო პროგრამა მეტად აქტუალურია ონლაინ რეჟიმშიც კი.

კოლეჯის დირექტორი დაეთანხმა დარგის ექსპერტს პროგრამის აქტუალობის საკითხზე. აღნიშნა, რომ თანამშრომლობდნენ ქალაქ თბილისის მერიასთან, დამსაქმებლებთან, რომელთა პოზიციით, გამოირკვა ამ მიმართულებით კადრების მომზადების სურვილი. აღნიშნა, რომ ამ მიმართულების პროგრამას კოლეჯი აქამდე არ ახორციელებდა. კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესთან, რომლებიც ასევე განიცდიან ამ ტიპის კადრების სიმცირეს. კოლეჯი გეგმავს თითოეულ მიღებაზე ერთი ჯგუფის მიღებას, მონაცვლეობით, 30 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებულ პროგრამაზე ან 30 პროფესიული სტუდენტი არაინტეგრირებულ პროგრამაზე. მესამე წელს იქნება პროგრამაზე მაქსიმალური რაოდენობა - 90 პროფესიული სტუდენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - კოლეჯ „იკაროსისთვის“ „ლონისძიების ორგანიზების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

ა(ა)იპ - კოლეჯ „იკაროსს“ (ს/კ:211351071) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ლონისძიების ორგანიზების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (დანართი 17)

18. სსიპ კოლეჯ „მერმისისთვის“ „სარესტორნო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

სსიპ კოლეჯ „მერმისს“ საჯარო განხილვაზე წარმოადგენდა ნანა ნამგალაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ კოლეჯის დირექტორი საბჭოს სხდომას ვერ ესწრებოდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო და ცენტრში წარმოადგინეს შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნული დაადასტურეს ცენტრის წარმომადგენლებმა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ

საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე ავტორიზაციის შესახებ საკითხი წარმოადგინეს ნანა შარაბიძემ და ზაირა ბერიძემ.

სსიპ კოლეჯ „მერმისი“ მიერ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილ იქნა განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „სარესტორნო მოსახურება“ დამატების შესახებ. ცენტრის დირექტორის №357622 (14.04.2021წ.), ბრძანებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება განახორციელოს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

2021 წლის 22 აპრილს ჩატარდა დისტანციური ვიზიტი, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, სასწავლო პროცესის მენეჯერს. ექსპერტების მიერ განხორციელდა კოლეჯის ონლაინ დათვალიერება: მატერიალური რესურსების, სასწავლო აუდიტორიების და ბიბლიოთეკის ნახვა. შედგა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, როგორც დარგობრივი მოდულების, ასევე ინტეგრირებული მოდულების ფარგლებში.

დაწესებულება ითხოვს 40 პროფესიულ სტუდენტს, 40-ვეს ინტეგრირებული პროგრამისთვის, რასაც ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფი. დაწესებულება ახორციელებს სასტუმრო, რესტორანი, კვება ჩარჩო დოკუმენტის ყველა სხვა მიმართულებას და ეს არის ბოლო მიმართულება და ერთგვარი წრე იკვრება მომსახურების შეთავაზებისთვის.

კოლეჯს პროგრამისთვის გამოყოფილი აქვს A/B, B. 4C და 2A/C გარემო ინტეგრირებული მოდულებისთვის.

დასკვნაში დაფიქსირდა მე-2 სტანდარტის სრული შესაბამისობა.

